178
1977

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საბჭოთა სამართალი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

1977 5

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მხატვარი გ. მაისურაძე

საბჭოთა სამართალი № 5

1977 წელი

სექტემბერი — ოქტომბერი

ჟურნალი გამოდის 1926 წლის 1 მარტიდან

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, პროკურატურისა და უმაღლესი სასამართლოს ორგანო
ორთვიური ჟურნალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი) 3

კონსტიტუცია მოქმედებს, ცოცხლობს, მუშაობს 33

ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკთა პოლიტიკური სწავლება

თ. წერეთელი — სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია და სოციალისტური კანონიერების ამოცანები 38

დ. სუხიტაშვილი — თვითნებური მშენებლობა და სამოქალაქო უფლებები . . 47

დისკუსია, პოლემიკა, რეპლიკა

გ. ტყეშელიაძე — ერთი სადავო საკითხის გამო 59

ო. გამყრელიძე — ღავეთანხმოთ თუ არა ა. ხონიაკინას წინადადებას? . . . 68

ფ. ე. ძერჟინსკის დაბადების 100 წლისთავისათვის

ვ. ბენიძე — რევოლუციის კეთილშობილი რაინდი 74

ს. ვისოცკი — ცოცხლებს შორის გაუჩინარებულნი 82

ინფორმაცია 86

ნეკროლოგი

მ. ყ. ლომიძე 93

ზ. რატიანი — ღვაწლმოსილი 94

1355

კ. მარქსის სახ. სახ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლიკ.
ბიბლიოთეკა

СОДЕРЖАНИЕ

Конституция (Основной Закон) Союза Советских Социалистических Республик 3

Конституция действует, живет, работает 33

ПОЛИТИЧЕСКАЯ УЧЕБА РАБОТНИКОВ АДМИНИСТРАТИВНЫХ ОРГАНОВ

Т. Церетели — Новая Конституция Союза ССР и задачи социалистической законности 38

Д. Сухиташвили — Самовольное строительство и гражданские правомочия 47

ДИСКУССИИ, ПОЛЕМИКА, РЕПЛИКИ

Г. Ткешелиадзе — Об одном спорном вопросе 59

О. Гамкрелидзе — Согласиться или нет с предложением А. Хонякиной? . 68

К 100-ЛЕТИЮ СО ДНЯ РОЖДЕНИЯ Ф. Э. ДЗЕРЖИНСКОГО

В. Бенидзе — Благородный рыцарь революции 74

С. Высоцкий — Пропавшие среди живых 82

Информация 86

Некролог

М. К. Ломидзе 93

З. Ратиани — Память старшего друга 94

1973 წლის იანვრიდან პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების სისტემაში შეისწავლება ახალი საგანი — განვითარებული სოციალიზმის კონსტიტუცია. იმათ დასახმარებლად, ვინც ამ საგანს შეისწავლის, ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“ გამოაქვეყნებს რამდენიმე მასალას. წინამდებარე ნომერში ვაქვეყნებთ პროფ. თ. წერეთლის სტატიას „სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია და სოციალისტური კანონიერების ამოცანები“ (იხ. გვ. 38-46).

სარედაქციო კოლეგია

ო. კაციტაძე, (მთ. რედაქტორი), ბ. ბარათაშვილი
თ. დადიანი, ლ. თალაკვაძე, გ. ინწკირველი,
აკ. კარანაძე, მ. ლომიძე, მ. ლეკვეიშვილი, გ. ჟვანია,
გ. ტყეშელიაძე, ვ. ქვაჩახია, ა. შუშანაშვილი,
თ. წერეთელი, ს. ჯორბენაძე,

შეკვ. № 3133
ტირაჟი 18.050
უე 04332

© „საბჭოთა სამართალი“, 1977 წ.

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პროსპ. 103. ტელ. 95-58-87; 95-88-49

გადაეცა წარმოებას 19/X-77 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 23/XII-77 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/16; ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 6, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 8,4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 8,87.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის

კონსტიტუცია

(ძირითადი კანონი)

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, რომელიც რუსეთის მუშებმა და გლეხებმა მოახდინეს კომუნისტური პარტიისა და მისი მეთაურის ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით, დაამხო კაპიტალისტთა და მემამულეთა ძალაუფლება, დაამსხვრია ჩაგვრის ბორკილები, დაამყარა პროლეტარიატის დიქტატურა და შექმნა საბჭოთა სახელმწიფო — ახალი ტიპის სახელმწიფო, რევოლუციის მონაპოვართა დაცვის, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის ძირითადი იარაღი. დაიწყო კაცობრიობის მსოფლიო-ისტორიული შემობრუნება კაპიტალიზმიდან სოციალიზმისაკენ.

საბჭოთა ხელისუფლებამ, რომელმაც გაიმარჯვა სამოქალაქო ომში, მოიგერია იმპერიალისტური ინტერვენცია, უღრმესი სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნები განახორციელა, სამუდამოდ მოუღო ბოლო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას, კლასობრივ ანტაგონიზმსა და ეროვნულ შუღლს. საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანებამ სსრ კავშირად გაამრავლა ქვეყნის ხალხთა ძალები და შესაძლებლობანი სოციალიზმის მშენებლობაში. დამკვიდრდა წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრება, მშრომელთა მასების ნამდვილი დემოკრატია. კაცობრიობის ისტორიაში პირველად შეიქმნა სოციალისტური საზოგადოება.

სოციალიზმის ძლიერების მკაფიო გამოვლინება იყო საბჭოთა ხალხის, მისი შეიარაღებული ძალების უჭკნობი გმირობა, რომლებმაც ისტორიული გამარჯვება მოიპოვეს დიდ სამამულო ომში. ამ გამარჯვებამ განამტკიცა სსრ კავშირის ავტორიტეტი და საერთაშორისო პოზიციები, შექმნა ახალი ხელშემწყობი შესაძლებლობანი სოციალიზმის ძალების ზრდის, ეროვნული განთავისუფლების, ქვეყნად დემოკრატიისა და მშვიდობისათვის.

განაგრძობდნენ რა აღმშენებლობითს საქმიანობას, საბჭოთა კავშირის მშრომელებმა უზრუნველყვეს ქვეყნის სწრაფი და ყოველმხრივი განვითარება, სოციალისტური წყობილების სრულყოფა. განმტკიცდა მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და სახალხო ინტელიგენციის კავშირი, სსრ კავშირის ერებისა და ეროვნებების მეგობრობა. შეიქმნა საბჭოთა საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური და იდეური ერთიანობა, რომლის წამყვანი ძალაა მუშათა კლასი. საბჭოთა სახელმწიფომ შეასრულა პროლეტარიატის დიქტატურის ამოცანები და საერთო-სახალხო სახელმწიფო გახდა. გაიზარდა მთელი ხალხის ავანგარდის — კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირში აშენდა განვითარებული სოციალისტური საზოგადოება. ამ ეტაპზე, როცა სოციალიზმი უკვე საკუთარ საფუძველზე ვითარდება, სულ უფრო სრულად ვლინდება ახალი წესწყობილების აღმშენებლობითი ძალები, სოციალისტური ცხოვრების წესის უპირატესობანი. მშრომელები სულ უფრო ფართოდ სარგებლობენ დიადი რევოლუციური მონაპოვრების ნაყოფით.

ეს არის საზოგადოება, რომელშიც შექმნილია მძლავრი საწარმოო ძალები, მოწინავე მეცნიერება და კულტურა, განუხრელად უმჯობესდება ხალხის კეთილდღეობა, სულ უფრო ხელშემწყობი პირობები ექმნება პიროვნების ყოველმხრივ განვითარებას.

ეს არის მომწიფებულ სოციალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობათა საზოგადოება, რომელშიც ყველა კლასისა და სოციალური ფენის დაახლოების, ყველა ერისა და ეროვნების იურიდიული და ფაქტობრივი თანასწორობის, მათი ძმური თანამშრომლობის საფუძველზე შეიქმნა ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა — საბჭოთა ხალხი.

ეს არის მშრომელთა — პატრიოტთა და ინტერნაციონალისტთა მაღალი ორგანიზებულობის, იდეურობისა და შეგნებულობის საზოგადოება.

ეს არის საზოგადოება, რომლის ცხოვრების კანონია ყველას ზრუნვა თითოეულის კეთილდღეობისათვის და თითოეულის ზრუნვა ყველას კეთილდღეობისათვის.

ეს არის ნამდვილი დემოკრატიის საზოგადოება, რომლის პოლიტიკური სისტემა უზრუნველყოფს მთელი საზოგადოებრივი საქმეების ეფექტიან მართვას, მშრომელთა სულ უფრო აქტიურ მონაწილეობას სახელმწიფო ცხოვრებაში, მოქალაქეთა რეალურ უფლებათა და თავისუფლებათა შესამენებას მათს მოვალეობებთან და პასუხისმგებლობასთან საზოგადოების წინაშე.

განვითარებული სოციალისტური საზოგადოება კანონზომიერი ეტაპია კომუნიზმისაკენ მიმავალ გზაზე.

საბჭოთა სახელმწიფოს უზენაესი მიზანია ააშენოს უკლასო კომუნისტური საზოგადოება, რომელშიც განვითარდება საზოგადოებრივი კომუნისტური თვითმმართველობა. სოციალისტური საერთო-სახალხო სახელმწიფოს მთავარი ამოცანებია: შექმნას კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სრულყოს სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობანი და გარდაქმნას ისინი კომუნისტურ ურთიერთობებად, აღზარდოს კომუნისტური საზოგადოების ადამიანი, აამაღლოს მშრომელთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონე, უზრუნველყოს ქვეყნის უშიშროება, ხელი შეუწყოს მშვიდობის განმტკიცებასა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას.

საბჭოთა ხალხი,

ხელმძღვანელობს რა მეცნიერული კომუნიზმის იდეებით და ერთგულია რა თავისი რევოლუციური ტრადიციებისა,

ეყრდნობა რა სოციალიზმის დიად სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ მონაპოვრებს,

ისწრაფვის რა კიდევ უფრო განავითაროს სოციალისტური დემოკრატია,

ითვალისწინებს რა სსრ კავშირის, როგორც სოციალიზმის მსოფლიო სისტემის შემადგენელი ნაწილის, საერთაშორისო მდგომარეობას და შეგნებული აქვს რა თავისი ინტერნაციონალური პასუხისმგებლობა,

იცავს რა 1918 წლის პირველი საბჭოთა კონსტიტუციის, 1924 წლის სსრ კავშირის კონსტიტუციისა და 1936 წლის სსრ კავშირის კონსტიტუციის იდეებისა და პრინციპების მემკვიდრეობითობას,

ამკვიდრებს სსრ კავშირის საზოგადოებრივი წესწყობილებისა და პოლიტიკის საფუძვლებს, ადგენს მოქალაქეთა უფლებებს, თავისუფლებებსა და მოვალეობებს, სოციალისტური საერთო-სახალხო სახელმწიფოს ორგანიზაციის პრინციპებსა და მიზნებს და აცხადებს მათ ამ კონსტიტუციით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

I. სსრ კავშირის საზოგადოებრივი წესწყობილებისა და პოლიტიკის საფუძვლები

თავი 1.

პოლიტიკური სისტემა

მუხლი 1. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი არის სოციალისტური საერთო-სახალხო სახელმწიფო, რომელიც მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის, ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების მშრომელთა ნებასა და ინტერესებს გამოხატავს.

მუხლი 2. სსრ კავშირში მთელი ძალაუფლება ხალხს ეკუთვნის.

ხალხი სახელმწიფო ხელისუფლებას ახორციელებს სახალხო დეპუტატების საბჭოების მეშვეობით, რომლებიც სსრ კავშირის პოლიტიკურ საფუძველს შეადგენენ.

ყველა სხვა სახელმწიფო ორგანო ექვემდებარება სახალხო დეპუტატთა საბჭოების კონტროლს და ანგარიშვალდებულია მათ წინაშე.

მუხლი 3. საბჭოთა სახელმწიფოს ორგანიზაციასა და საქმიანობას საფუძვლად უდევს დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპი — ქვემოდან ზემოთ სახელმწიფო ხელისუფლების ყველა ორგანოს არჩევითობა, მათი ანგარიშვალდებულება ხალხისადმი, ქვემდგომი ორგანოებისათვის ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებათა სავალდებულობა. დემოკრატიული ცენტრალიზმი ერთიან ხელმძღვანელობას უხამებს ადგილობრივ ინიციატივასა და შემოქმედებითს აქტიურობას, თითოეული სახელმწიფო ორგანოსა და თანამდებობის პირის პასუხისმგებლობას დაკისრებული საქმისათვის.

მუხლი 4. საბჭოთა სახელმწიფო და მისი ყველა ორგანო მოქმედებენ სოციალისტური კანონიერების საფუძველზე, უზრუნველყოფენ მართლწესრიგის, საზოგადოების ინტერესების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას.

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები და თანამდებობის პირნი მოვალენი არიან იცავდნენ სსრ კავშირის კონსტიტუციასა და საბჭოთა კანონებს.

მუხლი 5. სახელმწიფო ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხები საყოველთაო-სახალხოდ განიხილება, აგრეთვე გადაეცემა საყოველთაო-სახალხო კენჭისყრისათვის (რეფერენდუმისათვის).

მუხლი 6. საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალა, მისი პოლიტიკური სისტემის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ბირთვია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ხალხისთვის არსებობს და ხალხს ემსახურება.

მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებით შეიარაღებული კომუნისტური პარტია განსაზღვრავს საზოგადოების განვითარების გენერალურ პერსპექტივას, სსრ კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკის გეზს, ხელმძღვანელობს საბჭოთა ხალხის დიად აღმშენებლობითს საქმიანობას, გეგმაზომიერ, მეცნიერულად დასაბუთებულ ხასიათს ანიჭებს მის ბრძოლას კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

ყველა პარტიული ორგანიზაცია მოქმედებს სსრ კავშირის კონსტიტუციის ფარგლებში.

მუხლი 7. პროფესიული კავშირები, სრულიად საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირი, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები თავიანთ საწესდებო ამოცანების შესაბამისად მონაწილეობენ სახელმწიფო და საზოგადოებრივი საქმეების მართვაში, პოლიტიკური, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული საკითხების გადაწყვეტაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 8. შრომითი კოლექტივები მონაწილეობენ სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეთა განხილვასა და გადაწყვეტაში, წარმოებისა და სოციალური განვითარების დაგეგმვაში, კადრების მომზადებასა და განაწილებაში, საწარმოთა და დაწესებულებათა მართვის, შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესების, იძ სახსრების გამოყენების საკითხთა განხილვასა და გადაწყვეტაში, რომლებიც განკუთვნილია წარმოების განვითარებისათვის, აგრეთვე სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და მატერიალური წახალისებისათვის.

შრომითი კოლექტივები ავითარებენ სოციალისტურ შეჯიბრებას, ხელს უწყობენ მუშაობის მოწინავე მეთოდების გავრცელებას, შრომის დისციპლინის განმტკიცებას, თავიანთ წევრებს ზრდიან კომუნისტური ზნეობის სულისკვეთებით, ზრუნავენ მათი პოლიტიკური შეგნებულობის, კულტურისა და პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

მუხლი 9. საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური სისტემის განვითარების ძირითადი მიმართულებაა სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი გაფართოება: მოქალაქეთა სულ უფრო ფართო მონაწილეობა სახელმწიფოსა და საზოგადოების საქმეთა მართვაში, სახელმწიფო აპარატის სრულყოფა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტიურობის ამაღლება, სახალხო კონტროლის გაძლიერება, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი საფუძვლის განმტკიცება, საჯაროობის გაფართოება, საზოგადოებრივი აზრის მუდამ გათვალისწინება.

თავი 2.

ეკონომიკური სისტემა

მუხლი 10. სსრ კავშირის ეკონომიკური სისტემის საფუძველს შეადგენს წარმოების საშუალებათა სოციალისტური საკუთრება სახელმწიფო (საერთოსახალხო) და საკოლმეურნეო-კოოპერაციული საკუთრების ფორმით.

სოციალისტური საკუთრებაა აგრეთვე პროფკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ქონება, რომელიც მათ საწესდებო ამოცანების განსახორციელებლად სჭირდებათ.

სახელმწიფო იცავს სოციალისტურ საკუთრებას და ქმნის მისი შემდგომი ზრდის პირობებს.

არავის არა აქვს უფლება პირადი გამორჩენის და სხვა ანგარებითი მიზნით იყენებდეს სოციალისტურ საკუთრებას.

მუხლი 11. სახელმწიფო საკუთრება მთელი საბჭოთა ხალხის საერთო კუთვნილება, სოციალისტური საკუთრების ძირითადი ფორმაა.

მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს საკუთრებას შეადგენს: მიწა, მისი წიაღი, წყალი, ტყე. სახელმწიფოს ეკუთვნის წარმოების ძირითადი საშუალებანი მრეწველობაში, მშენებლობასა და სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საშუალებანი, ბანკები, სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული სავაჭრო, კომუნალური და სხვა საწარმოების ქონება, ძირითადი საქალაქო საბინაო ფონდი, აგრეთვე სახელმწიფოს ამოცანათა განხორციელებისათვის საჭირო სხვა ქონება.

მუხლი 12. კოლმეურნეობებისა და სხვა კოოპერაციული ორგანიზაციების, მათი გაერთიანებების საკუთრებაა წარმოების საშუალებანი და სხვა ქონება, რომელიც სჭირდებათ მათ საწესდებო ამოცანების განხორციელებისათვის.

მიწა, რომელიც კოლმეურნეობებს უკავიათ, მათ აქვთ მიჩენილი უსასყიდლო და უვადო სარგებლობისათვის.

სახელმწიფო ხელს უწყობს საკოლმეურნეო-კოოპერაციული საკუთრების განვითარებას და მის დაახლოებას სახელმწიფო საკუთრებასთან.

კოლმეურნეობები, ისევე როგორც სხვა მიწათმოსარგებლენი, ვალდებული არიან ეფექტიანად იყენებდნენ მიწას, უფრთხილდებოდნენ მას, ზრდიდნენ მის ნაყოფიერებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 13. სსრ კავშირის მოქალაქეების პირადი საკუთრების საფუძველს შეადგენს შრომითი შემოსავალი. პირად საკუთრებაში შეიძლება იყოს საყოფაცხოვრებო, პირადი მოხმარების, კეთილმოწყობისა და დამხმარე საოჯახო მეურნეობის საგნები, საცხოვრებელი სახლი და შრომითი დანაზოგი. მოქალაქეთა პირად საკუთრებას და მისი მემკვიდრეობის უფლებას სახელმწიფო იცავს.

მოქალაქეებს შეუძლიათ სარგებლობისათვის იქონიონ მიწის ნაკვეთები, რომლებიც მათ კანონით დადგენილი წესით ეძლევათ დამხმარე მეურნეობის გაძღოლისათვის (პირუტყვისა და ფრინველის შენახვის ჩათვლით), მებაღეობისა და მებოსტნეობისათვის, აგრეთვე ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის. მოქალაქენი ვალდებული არიან რაციონალურად გამოიყენონ მათთვის მიცემული მიწის ნაკვეთები. სახელმწიფო და კოლმეურნეობები ხელს უწყობენ მოქალაქეებს დამხმარე მეურნეობის გაძღოლაში.

ქონება, რომელიც პირად საკუთრებად ან სარგებლობისათვის აქვთ მოქალაქეებს, არ შეიძლება იყოს არაშრომითი შემოსავლის მიღების წყარო, გამოყენებულ იქნეს საზოგადოების ინტერესების საზიანად.

მუხლი 14. საზოგადოებრივი სიმდიდრის ზრდის, ხალხისა და თითოეული საბჭოთა ადამიანის კეთილდღეობის გაუმჯობესების წყაროა საბჭოთა ადამიანების შრომა, რომელიც თავისუფალია ექსპლოატაციისაგან.

შესაბამისად სოციალიზმის პრინციპისა: „თითოეულისაგან — უნარის მიხედვით, თითოეულს — შრომის მიხედვით“, სახელმწიფო ახორციელებს კონტროლს შრომისა და მოხმარების ოდენობისადმი. იგი განსაზღვრავს დასაბეგრი შემოსავლის გადასახადის ოდენობას.

საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა და მისი შედეგები განსაზღვრავენ ადამიანის მდგომარეობას საზოგადოებაში. სახელმწიფო ერთმანეთს უხამებს მატერიალურ და მორალურ სტიმულებს, ახალისებს ნოვატორობას, შრომისადმი შემოქმედებითს დამოკიდებულებას და ხელს უწყობს იმას, რომ შრომა პირველ სასიცოცხლო მოთხოვნილებად გადაექცეს ყოველ საბჭოთა ადამიანს.

მუხლი 15. სოციალიზმის დროს საზოგადოებრივი წარმოების უზენაესი მიზანია ყველაზე სრულად დაკმაყოფილოს ადამიანთა მზარდი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებანი.

სახელმწიფო ეყრდნობა მშრომელთა შემოქმედებითს აქტიურობას, სოციალისტურ შეჯიბრებას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევებს, სრულყოფს ეკონომიკისადმი ხელმძღვანელობის ფორმებსა და მეთოდებს და უზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერების ზრდას, წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებას, სახალხო მეურნეობის დინამიკურ, გეგმაზომიერ და პროპორციულ განვითარებას.

მუხლი 16. სსრ კავშირის ეკონომიკა შეადგენს ერთიან სახალხო-სამეურნეო კომპლექსს, რომელიც ქვეყნის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წარმოების, განაწილებისა და გაცვლის ყველა რგოლს მოიცავს.

ეკონომიკის ხელმძღვანელობა ხორციელდება ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების საფუძველზე, დარგობრივი და ტერიტორიული პრინციპების გათვალისწინებით, ისეთ პირობებში, როცა ცენტრალიზებული მართვა შეხამებულია საწარმოების, გაერთიანებებისა და სხვა ორგანიზაციების სამეურნეო დამოუკიდებლობასთან და ინიციატივასთან. ამასთან აქტიურად გამოიყენება სამეურნეო ანგარიში, მოგება, თვითღირებულება, სხვა ეკონომიკური ბერკეტები და სტიმულები.

მუხლი 17. სსრ კავშირში კანონის შესაბამისად ნებადართულია ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა შინამრეწველურ-ხელოსნური სარეწების, სოფლის მეურნეობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში, აგრეთვე საქმიანობის სხვა სახეობანი, რომლებიც დაფუძნებულია მხოლოდ და მხოლოდ მოქალაქეთა და მათი ოჯახის წევრთა პირად შრომაზე. სახელმწიფო აწესრიგებს ინდივიდუალურ შრომითს საქმიანობას, უზრუნველყოფს მის გამოყენებას საზოგადოების ინტერესებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 18. ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესებისათვის სსრ კავშირში ხორციელდება საჭირო ღონისძიებანი მიწისა და მისი წიაღის, წყლის რესურსების, მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს დაცვისა და მეცნიერულად დასაბუთებული, რაციონალური გამოყენების მიზნით, ჰაერისა და წყლის სისუფთავის შენარჩუნების, ბუნებრივ სიმდიდრეთა აღდგენა-გამრავლებისა და გარემო ბუნების გაუმჯობესების მიზნით.

თავი 3.

სოციალური განვითარება და კულტურა

მუხლი 19. სსრ კავშირის სოციალურ საფუძველს შეადგენს მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის ურღვევი კავშირი.

სახელმწიფო ხელს უწყობს საზოგადოების სოციალური ერთგვაროვნობის გაძლიერებას — კლასობრივი განსხვავებების, ქალაქსა და სოფელს, გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავებების მოსპობას, სსრ კავშირის ყველა ერისა და ეროვნების ყოველმხრივ განვითარებასა და დაახლოებას.

მუხლი 20. შესაბამისად კომუნისტური იდეალისა: „თითოეულის თავისუფალი განვითარება ყველას თავისუფალი განვითარების პირობაა", სახელმწიფო მიზნად ისახავს გააფართოოს რეალური შესაძლებლობანი მოქალაქეთა მიერ თავიანთი შემოქმედებითი ძალების, უნარისა და ნიჭის გამოყენებისათვის, პიროვნების ყოველმხრივი განვითარებისათვის.

მუხლი 21. სახელმწიფო ზრუნავს შრომის პირობების გაუმჯობესებისა და დაცვისათვის, მისი მეცნიერული ორგანიზაციისათვის, მძიმე ფიზიკური შრომის შემცირების, ხოლო შემდეგ მისი მთლიანად განდევნისათვის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში საწარმოო პროცესთა კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საფუძველზე.

მუხლი 22. სსრ კავშირში თანამიმდევრულად ხორციელდება პროგრამა, რომლის მიზანია, რომ სასოფლო-სამეურნეო შრომა გადაიქცეს ინდუსტრიული შრომის ნაირსახეობად; გაფართოვდეს სოფლად სახალხო განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და კომუნალური მეურნეობის დაწესებულებათა ქსელი; გარდაიქმნას სოფლები კეთილმოწყობილ დაბებად.

მუხლი 23. შრომის ნაყოფიერების ზრდის საფუძველზე სახელმწიფო განუხრელად ახორციელებს კურსს, რომ აამაღლოს შრომის ანაზღაურების დონე, მშრომელთა რეალური შემოსავალი.

საბჭოთა ადამიანების მოთხოვნილებების უფრო სრულად დაკმაყოფილების მიზნით იქმნება მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები. საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების ფართო მონაწილეობით სახელმწიფო უზრუნველყოფს ამ ფონდების ზრდასა და სამართლიან განაწილებას.

მუხლი 24. სსრ კავშირში მოქმედებს და ვითარდება ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და კომუნალური მეურნეობის სახელმწიფო სისტემები.

სახელმწიფო ხელს უწყობს კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობას მოსახლეობის მომსახურების ყველა სფეროში, იგი ხელს უწყობს მასობრივი ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებას.

მუხლი 25. სსრ კავშირში არსებობს და იხვეწება სახალხო განათლების ერთიანი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მოქალაქეთა ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიულ მომზადებას, ემსახურება ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდას, სულიერ და ფიზიკურ განვითარებას, ამზადებს მას შრომისა და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 26. საზოგადოების მოთხოვნილებათა შესაბამისად სახელმწიფო უზრუნველყოფს მეცნიერების ვეგმაზომიერ განვითარებას და მეცნიერული კადრების მომზადებას, ორგანიზაციას უწევს მეცნიერული კვლევის შედეგების დანერგვას სახალხო მეურნეობასა და ცხოვრების სხვა სფეროებში.

მუხლი 27. სახელმწიფო ზრუნავს იმისათვის, რომ დაიცვას, ამრავლოს და ფართოდ გამოიყენოს საზოგადოების სულიერი ღირებულებანი საბჭოთა ადამიანების ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდისათვის, მათი კულტურული დონის ამაღლებისათვის.

სსრ კავშირში ყოველნაირად ეწყობა ხელი პროფესიული ხელოვნებისა და ხალხური მხატვრული შემოქმედების განვითარებას.

თავი 4.

საგარეო პოლიტიკა

მუხლი 28. სსრ კავშირი განუხრელად ახორციელებს ლენინურ მშვიდობის პოლიტიკას, იღვწის ხალხთა უშიშროების განმტკიცებისა და ფართო საერთაშორისო თანამშრომლობისათვის.

სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის მიზანია უზრუნველყოს, რომ ხელშემწყობი საერთაშორისო პირობები შეექმნას სსრ კავშირში კომუნიზმის აშენებას, დაიცვას საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ინტერესები, განამტკიცოს მსოფლიო სოციალიზმის პოზიციები, მხარი დაუჭიროს ხალხთა ბრძოლას ეროვნული განთავისუფლებისა და სოციალური პროგრესისათვის, აღკვეთოს აგრესიული ომები, მიაღწიოს საყოველთაო და სრულ განიარაღებას და თანმიმდევრულად განახორციელოს სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი.

სსრ კავშირში ომის პროპაგანდა აკრძალულია.

მუხლი 29. სხვა სახელმწიფოებთან სსრ კავშირის ურთიერთობა დამყარებულია ისეთი პრინციპების დაცვის საფუძველზე, როგორიც არის: სუვერენული თანასწორობა; ძალის გამოყენებასა ან ძალით დამუქრებაზე ორმხრივი უარისთქმა; საზღვრების ურღვევობა; სახელმწიფოების ტერიტორიული მთლიანობა; დავის მშვიდობიანი გადაწყვეტა; საშინაო საქმეებში ჩაურევლობა; ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემა; ხალხთა თანასწორუფლებიანობა და თავიანთი ბედის გამგებლობის უფლება; სახელმწიფოთა თანამშრომლობა; საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებიდან და ნორმებიდან, სსრ კავშირის მიერ დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულებათა კეთილსინდისიერი შესრულება.

მუხლი 30. სსრ კავშირი, როგორც სოციალიზმის მსოფლიო სისტემის, სოციალისტური თანამეგობრობის შემადგენელი ნაწილი, ავითარებს და ამტკიცებს მეგობრობას და თანამშრომლობას, ამხანაგურ ურთიერთდახმარებას სოციალიზმის ქვეყნებთან სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპის საფუძველზე, აქტიურად მონაწილეობს ეკონომიკურ ინტეგრაციასა და შრომის საერთაშორისო სოციალისტურ დანაწილებაში.

თავი 5.

სოციალისტური სამშობლოს დაცვა

მუხლი 31. სოციალისტური სამშობლოს დაცვა სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს ფუნქციებს განეკუთვნება და მთელი ხალხის საქმეა.

სოციალისტურ მონაპოვართა, საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შრომის, სახელმწიფოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის მიზნით შექმნილია სსრ კავშირის შეიარაღებული ძალები და დაწესებულია საყოველთაო-სამხედრო ვალდებულება.

ხალხის წინაშე სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მოვალეობაა საიმედოდ დაიცვან სოციალისტური სამშობლო, მუდამ მზად იყვნენ ბრძოლისათვის, რომ დაუყოვნებლივ უკუაგდონ ნებისმიერი აგრესორი.

მუხლი 32. სახელმწიფო უზრუნველყოფს ქვეყნის უშიშროებასა და თავდაცვისუნარიანობას, აღჭურავს სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებს ყველა საჭირო საშუალებით.

სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, თანამდებობის პირებისა და მოქალაქეების მოვალეობებს ქვეყნის უშიშროების უზრუნველყოფისა და მისი თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საქმეში განსაზღვრავს სსრ კავშირის კანონმდებლობა.

II. სახელმწიფო და პიროვნება

თავი 6.

სსრ კავშირის მოქალაქეობა. მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობა

მუხლი 33. სსრ კავშირში დაწესებულია ერთიანი საკავშირო მოქალაქეობა. მოკავშირე რესპუბლიკის ყოველი მოქალაქე სსრ კავშირის მოქალაქეა.

საბჭოთა მოქალაქეობის შეძენისა და დაკარგვის საფუძველსა და წესს განსაზღვრავს კანონი სსრ კავშირის მოქალაქეობის შესახებ.

საზღვარგარეთ მყოფი სსრ კავშირის მოქალაქეები სარგებლობენ საბჭოთა სახელმწიფოს დაცვითა და მფარველობით.

მუხლი 34 სსრ კავშირის მოქალაქენი თანასწორი არიან კანონის წინაშე წარმომშობის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, რასობრივი და ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, საქმიანობის სახეობისა და ხასიათის, საცხოვრებელი ადგილისა და სხვა გარემოებების მიუხედავად.

სსრ კავშირის მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობა უზრუნველყოფილია ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში.

მუხლი 35. სსრ კავშირში ქალსა და მამაკაცს თანასწორი უფლებები აქვთ.

ამ უფლებათა განხორციელებას უზრუნველყოფს ქალებისათვის მამაკაცებთან თანასწორ შესაძლებლობათა მინიჭება განათლებისა და პროფესიული მომზადების მიღებაში, შრომაში, მის ანაზღაურებასა და სამსახურებრივ დაწინაურებაში, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ საქმიანობაში, აგრეთვე სპეციალური ღონისძიებანი ქალის შრომისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში; ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც საშუალებას აძლევენ ქალებს შრომა შეუხამონ დედობას; დედათა და ბავშვთა სამართლებრივი დაცვა, მატერიალური და მორალური მხარდაჭერა, მათ შორის ორსული ქალებისა და დედებისათვის ფასიანი შვებულებებისა და სხვა შეღავათების მიცემა, მცირეწლოვან ბავშვთა დედების სამუშაო დროის თანდათან შემცირება.

მუხლი 36. სსრ კავშირის სხვადასხვა რასისა და ეროვნების მოქალაქეებს თანასწორი უფლებები აქვთ.

ამ უფლებათა განხორციელებას უზრუნველყოფს სსრ კავშირის ყველა ერისა და ეროვნების ყოველმხრივი განვითარებისა და დაახლოების პოლიტიკა, მოქალაქეთა აღზრდა საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, დედაენისა და სსრ კავშირის სხვა ხალხების ენების გამოყენების შესაძლებლობა.

მოქალაქეთა უფლებების ყოველგვარი პირდაპირი თუ არაპირდაპირი შეზღუდვა, რასობრივი და ეროვნული ნიშნების მიხედვით მოქალაქეთა პირდაპირი თუ არაპირდაპირი უპირატესობების დაწესება, ისევ როგორც რა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სობრივი ან ეროვნული განსაკუთრებულობის, შუღლისა ან უგულებელყოფის ყოველგვარი ქადაგება, — კანონით ისჯება.

მუხლი 37. უცხოელ მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს სსრ კავშირში გარანტირებული აქვთ კანონით გათვალისწინებული უფლებანი და თავისუფლებანი, მათ შორის იმის უფლება, რომ მიმართონ სასამართლოს და სხვა სახელმწიფო ორგანოებს მათი კუთვნილი პირადი, ქონებრივი, ოჯახური და სხვა უფლებების დასაცავად.

სსრ კავშირის ტერიტორიაზე მყოფი უცხოელი მოქალაქენი და მოქალაქეობის არმქონე პირნი მოვალენი არიან პატივი სცენ სსრ კავშირის კონსტიტუციას და დაიცვან საბჭოთა კანონები.

მუხლი 38. სსრ კავშირი თავშესაფრის უფლებას აძლევს უცხოელებს, რომლებსაც დევნიან მშრომელთა ინტერესებისა და მშვიდობის საქმის დაცვისათვის, რევოლუციურ და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში მონაწილეობისათვის, პროგრესული საზოგადოებრივ-პოლიტიკური, მეცნიერული ან სხვაგვარი შემოქმედებითი საქმიანობისათვის.

თავი 7.

სსრ კავშირის მოქალაქეთა ძირითადი უფლებანი, თავისუფლებანი და მოვალეობანი

მუხლი 39. სსრ კავშირის მოქალაქეებს სრულად აქვთ მინიჭებული სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და პირადი უფლებები და თავისუფლებები, რომლებიც გამოცხადებულია და გარანტირებულია სსრ კავშირის კონსტიტუციითა და საბჭოთა კანონებით. სოციალისტური წესწყობილება უზრუნველყოფს უფლებათა და თავისუფლებათა გაფართოებას, მოქალაქეთა ცხოვრების პირობების განუწყვეტელ გაუმჯობესებას სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების პროგრამების შესრულების კვალობაზე.

მოქალაქეთა მიერ უფლებებისა და თავისუფლებების გამოყენება არ უნდა ვნებდეს საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესებს და სხვა მოქალაქეთა უფლებებს.

მუხლი 40. სსრ კავშირის მოქალაქეებს აქვთ შრომის უფლება, — ანუ უფლება მიიღონ გარანტირებული სამუშაო მისი რაოდენობისა და ხარისხის შესაბამისი შრომის ანაზღაურებით, რომელიც არ უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ დაწესებულ მინიმალურ ოდენობაზე ნაკლები, — მათ შორის უფლება — აირჩიონ პროფესია, საქმიანობისა და სამუშაოს სახეობა მოწოდების, უნარის, პროფესიული მომზადების, განათლების შესაბამისად და საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა გათვალისწინებით.

ამ უფლებას უზრუნველყოფს მეურნეობის სოციალისტური სისტემა, საწარმოო ძალების განუხრელი ზრდა, უფასო პროფესიული სწავლება, შრომის კვალიფიკაციის ამაღლება და ახალ სპეციალობათა სწავლება, პროფესიული ორიენტაციისა და შრომითი მოწყობის სისტემათა განვითარება.

მუხლი 41. სსრ კავშირის მოქალაქეებს აქვთ დასვენების უფლება.

ამ უფლებას უზრუნველყოფს მუშა-მოსამსახურეთათვის არა უმეტეს 41-საათიანი სამუშაო კვირის დაწესება და მთელი რიგი პროფესიებისა და წარმოებებისათვის დადგენილი შემცირებული სამუშაო დღე, ღამით მუშაობის შემცირებული ხანგრძლივობა; ყოველწლიური ფასიანი შვებულებების მიცემა, ყოველკვირეული დასვენების დღეები, აგრეთვე კულტურულ-საგანმანათლებლო და გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა ქსელის გაფართოება, მასობრივი სპორტის, ფიზიკური კულტურისა და ტურიზმის განვითარება; საცხოვრებელ ადგილზე დასვენების ხელშემწყობი შესაძლებლობებისა და თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენების სხვა პირობების შექმნა.

კოლმეურნეთა სამუშაო დროისა და დასვენების ხანგრძლივობას აწესრიგებენ კოლმეურნეობები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 42. სსრ კავშირის მოქალაქეებს აქვთ ჯანმრთელობის დაცვის უფლება.

ამ უფლებას უზრუნველყოფს ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო დაწესებულებათა მიერ გაწეული უფასო კვალიფიციური სამედიცინო დახმარება; მოქალაქეთა სამკურნალო და ჯანმრთელობის გასაკაჟებელ დაწესებულებათა ქსელის გაფართოება; უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის განვითარება და სრულყოფა; ფართო პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელება; გარემოს გაჯანსაღების ღონისძიებანი; განსაკუთრებული ზრუნვა მუშათა ჯანმრთელობისათვის, მათ შორის აკრძალვა ბავშვთა შრომისა, რომელიც დაკავშირებული არ არის სწავლებასა და შრომითს აღზრდასთან; დაავადებათა თავიდან აცილებისა და შემცირების, მოქალაქეთა ხანგრძლივი აქტიური ცხოვრების უზრუნველსაყოფად მიმდინარე მეცნიერული კვლევის განვითარება.

მუხლი 43. სსრ კავშირის მოქალაქეებს სიბერეში, ავადმყოფობის, შრომისუნარიანობის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგვის, აგრეთვე მარჩენლის დაკარგვის შემთხვევაში აქვთ მატერიალური უზრუნველყოფის უფლება.

ამ უფლებას უზრუნველყოფს მუშების, მოსამსახურეებისა და კოლმეურნეების სოციალური დაზღვევა, დახმარება დროებითი შრომისუუნარობის გამო; პენსიები ასაკის, ინვალიდობისა და მარჩენლის დაკარგვის გამო, რომლებიც გაიცემა სახელმწიფოსა და კოლმეურნეობების ხარჯზე; იმ მოქალაქეთა შრომითი მოწყობა, რომლებმაც ნაწილობრივ დაკარგეს შრომის უნარი; ზრუნვა მარტოხელა ღრმად მოხუცებული მოქალაქეებისა და ინვალიდებისათვის; სოციალური უზრუნველყოფის სხვა ფორმები.

მუხლი 44. სსრ კავშირის მოქალაქეებს აქვთ ბინის უფლება.

ამ უფლებას უზრუნველყოფს სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის განვითარება და დაცვა, კოოპერაციული და ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის ხელშეწყობა, კეთილმოწყობილი ბინების მშენებლობის პროგრამის განხორციელების კვალობაზე გამოყოფილი საცხოვრებელი ფართობის სამართლიანი განაწილება საზოგადოებრივი კონტროლის გაწევით, აგრეთვე ბინის ქირისა და კომუნალური მომსახურების გადასახდელის სიმცირე. სსრ კავშირის მოქალაქენი მოვალენი არიან გაუფრთხილდნენ მათთვის მიცემულ ბინას.

მუხლი 45. სსრ კავშირის მოქალაქეებს აქვთ განათლების უფლება.

ამ უფლებას უზრუნველყოფს ყველა სახეობის უფასო განათლება, ახალგაზრდობის საყოველთაო-სავალდებულო საშუალო განათლების განხორციელება, პროფესიულ-ტექნიკური, საშუალო სპეციალური და უმაღლესი განათლების ფართოდ განვითარება ცხოვრებასთან და წარმოებასთან სწავლების კავშირის საფუძველზე; დაუსწრებელი და საღამოს განათლების განვითარება; სახელმწიფო სტიპენდიებისა და შეღავათების მიცემა მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის; სასკოლო სახელმძღვანელოების უფასო გაცემა; სკოლაში დედაენაზე სწავლების შესაძლებლობა; თვითგანათლების პირობების შექმნა.

მუხლი 46. სსრ კავშირის მოქალაქეებს აქვთ კულტურის მიღწევებით სარგებლობის უფლება.

ამ უფლებას უზრუნველყოფს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ფონდებში არსებული სამამულო და მსოფლიო კულტურის ღირებულებათა საყოველთაო მისაწვდომობა; ქვეყნის ტერიტორიაზე კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა განვითარება და თანაბარზომიერი განლაგება; ტელევიზიისა და რადიოს, წიგნის გამოცემის საქმისა და პერიოდული პრესის, უფასო ბიბლიოთეკების ქსელის განვითარება; საზღვარგარეთის სახელმწიფოებთან კულტურული გაცვლის გაფართოება.

მუხლი 47. სსრ კავშირის მოქალაქეებს კომუნისტური მშენებლობის მიზნების შესაბამისად გარანტირებული აქვთ მეცნიერული, ტექნიკური და მხატვრული შემოქმედების თავისუფლება. ამას უზრუნველყოფს მეცნიერული კვლევის, საგამომგონებლო და რაციონალიზატორული საქმიანობის ფართოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამლა, ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარება. სახელმწიფო ქმნის საამისოდ საჭირო მატერიალურ პირობებს, მხარს უჭერს ნებაყოფლობითს საზოგადოებებსა და შემოქმედებითს კავშირებს, ორგანიზაციას უწევს გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვას სახალხო მეურნეობასა და ცხოვრების სხვა სფეროებში.

ავტორთა, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა უფლებებს სახელმწიფო იცავს.

მუხლი 48. სსრ კავშირის მოქალაქეებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეთა მართვაში, საერთო-სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის კანონებისა და გადაწყვეტილებების განხილვასა და მიღებაში.

ამ უფლებას უზრუნველყოფს შესაძლებლობა აირჩიონ და არჩეულ იქნენ სახალხო დეპუტატთა საბჭოებსა და სხვა არჩევითს სახელმწიფო ორგანოებში, მონაწილეობა მიიღონ საყოველთაო-სახალხო განხილვასა და კენჭისყრაში, სახალხო კონტროლში, სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების მუშაობაში, შრომითს კოლექტივებში და საცხოვრებელ ადგილას გამართულ კრებებში.

მუხლი 49. სსრ კავშირის ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს შეიტანოს სახელმწიფო ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში წინადადებანი მათი საქმიანობის გაუმჯობესების შესახებ, გააკრიტიკოს მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი.

თანამდებობის პირნი მოვალენი არიან დადგენილ ვადაში განიხილონ მოქალაქეთა წინადადებანი და განცხადებანი, გასცენ მათ პასუხი და მიიღონ საჭირო ზომები.

კრიტიკისათვის დევნა აკრძალულია. კრიტიკისათვის მდევნელი პირნი პასუხისგებაში მიეცემიან.

მუხლი 50. ხალხის ინტერესების შესაბამისად და სოციალისტური წყობილების განმტკიცება-განვითარების მიზნით სსრ კავშირის მოქალაქეებს გარანტირებული აქვთ სიტყვის, ბეჭდვითი სიტყვის, კრებების, მიტინგების, ქუჩაში მსვლელობისა და დემონსტრაციების თავისუფლებანი.

ამ პოლიტიკურ თავისუფლებათა განხორციელებას უზრუნველყოფს მშრომელებისა და მათი ორგანიზაციებისათვის საზოგადოებრივი შენობების, ქუჩებისა და მოედნების დათმობა, ინფორმაციის ფართო გავრცელება, პრესის, ტელევიზიისა და რადიოს გამოყენების შესაძლებლობა.

მუხლი 51. კომუნისტური მშენებლობის მიზნების შესაბამისად სსრ კავშირის მოქალაქეებს უფლება აქვთ გაერთიანდნენ საზოგადოებრივ ორგანიზაციებად, რომლებიც ხელს უწყობენ პოლიტიკური აქტივობისა და თვითმოქმედების განვითარებას, მათი მრავალფეროვანი ინტერესების დაკმაყოფილებას.

საზოგადოებრივ ორგანიზაციებს გარანტირებული აქვთ პირობები თავიანთი საწესდებო ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის.

მუხლი 52. სსრ კავშირის მოქალაქეებს გარანტირებული აქვთ სინდისის თავისუფლება, ანუ უფლება — სწამდეთ ნებისმიერი რელიგია ან არ სწამდეთ არავითარი რელიგია, ასრულებდნენ რელიგიურ კულტებს ან ეწეოდნენ ათეისტურ პრობაგანდას. შუღლისა და სიძულვილის გაღვივება რელიგიურ სარწმუნოებებთან დაკავშირებით აკრძალულია.

სსრ კავშირში ეკლესია გამოყოფილია სახელმწიფოსაგან და სკოლა — ეკლესიისაგან.

მუხლი 53. ოჯახს სახელმწიფო იცავს.

ქორწინებას საფუძვლად უდევს ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი თანხმობა; მეუღლეები მთლიანად თანასწორნი არიან ოჯახურ ურთიერთობაში.

სახელმწიფო ზრუნავს ოჯახისათვის იმ გზით, რომ ქმნის და ავითარებს საბავშვო დაწესებულებათა ფართო ქსელს, აწყობს და სრულყოფს საყოფაცხოვრებო და საზოგადოებრივი კვების სამსახურებს, გასცემს დახმარებას ბავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვის დაბადების გამო, აძლევს მრავალშვილიან ოჯახებს დახმარებასა და შეღავათებს, აგრეთვე უწევს ოჯახს სხვა დახმარებასა და შემწეობას.

მუხლი 54. სსრ კავშირის მოქალაქეებს გარანტირებული აქვთ პიროვნების ხელშეუხებლობა. არ შეიძლება ვისიმე დაპატიმრება ისე, თუ არ იქნა საფუძველი — სასამართლოს გადაწყვეტილება ან პროკურორის სანქცია.

მუხლი 55. სსრ კავშირის მოქალაქეებს გარანტირებული აქვთ ბინის ხელშეუხებლობა. არავის არა აქვს უფლება კანონიერი საფუძვლის უქონლად შევიდეს ბინაში იქ მცხოვრებ პირთა ნების საწინააღმდეგოდ.

მუხლი 56. მოქალაქეთა პირად ცხოვრებას, მიმოწერის, სატელეფონო საუბრებისა და სატელეგრაფო შეტყობინების საიდუმლოს კანონი იცავს.

მუხლი 57. მოქალაქეთა პიროვნების პატივისცემა, მის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა ყველა სახელმწიფო ორგანოს, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და თანამდებობის პირების მოვალეობაა.

სსრ კავშირის მოქალაქეებს აქვთ პატიოსნებისა და ღირსების, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, პირადი თავისუფლებისა და ქონების ხელყოფისაგან სასამართლო დაცვის უფლება.

მუხლი 58. სსრ კავშირის მოქალაქეებს უფლება აქვთ გაასაჩივრონ თანამდებობის პირების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების მოქმედება. საჩივრები განხილულ უნდა იქნეს კანონით დადგენილი წესით და განსაზღვრულ ვადებში.

თანამდებობის პირთა მოქმედება, რომელიც არღვევს კანონს, ამეტებს უფლებამოსილებას, ლახავს მოქალაქეთა უფლებებს, შეიძლება კანონით დადგენილი წესით გასაჩივრდეს სასამართლოში.

სსრ კავშირის მოქალაქეებს უფლება აქვთ აინაზღაურონ ზარალი, რომელიც მათ უკანონო მოქმედებით მიაყენეს სახელმწიფო და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, აგრეთვე თანამდებობის პირებმა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას.

მუხლი 59. უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელება განუყოფელია მოქალაქის მიერ თავის მოვალეობათა შესრულებისაგან.

სსრ კავშირის მოქალაქე ვალდებულია იცავდეს სსრ კავშირის კონსტიტუციასა და საბჭოთა კანონებს, პატივს სცემდეს სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს, ღირსეულად ატარებდეს სსრ კავშირის მოქალაქის მაღალ წოდებას.

მუხლი 60. სსრ კავშირის თითოეული შრომისუნარიანი მოქალაქის მოვალეობა და ღირსების საქმეა კეთილსინდისიერად შრომობდეს საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობის არჩეულ დარგში, იცავდეს შრომის დისციპლინას. საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისათვის თავის არიდება შეუთავსებელია სოციალისტური საზოგადოების პრინციპებთან.

მუხლი 61. სსრ კავშირის მოქალაქე მოვალეა უფრთხილდებოდეს და განამტკიცებდეს სოციალისტურ საკუთრებას. სსრ კავშირის მოქალაქის მოვალეობაა ებრძოდეს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცებასა და მფლანგველობას, უფრთხილდებოდეს სახალხო დოვლათს.

სოციალისტური საკუთრების ხელმყოფი პირები ისჯებიან კანონის შესაბამისად.

მუხლი 62. სსრ კავშირის მოქალაქე მოვალეა იცავდეს საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესებს, ხელს უწყობდეს მისი ძლიერებისა და ავტორიტეტის განმტკიცებას.

სოციალისტური სამშობლოს დაცვა სსრ კავშირის თითოეული მოქალაქის წმიდათაწმიდა ვალია.

სამშობლოს ღალატი უმძიმესი დანაშაულია ხალხის წინაშე.

მუხლი 63. სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების რიგებში სამხედრო სამსახური საბჭოთა მოქალაქეების საპატიო მოვალეობაა.

მუხლი 64. სსრ კავშირის თითოეული მოქალაქის მოვალეობაა პატივს სცემდეს სხვა მოქალაქეთა ეროვნულ ღირსებას, განამტკიცებდეს საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს ერთა და ეროვნებათა მეგობრობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 65. სსრ კავშირის მოქალაქე მოვალეა პატივს სცემდეს სხვა პირთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. შეურიგებელი იყოს ანტისაზოგადოებრივი საქციელისადმი, ყოველნაირად უწყობდეს ხელს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას.

მუხლი 66. სსრ კავშირის მოქალაქენი მოვალენი არიან ზრუნავდნენ შვილების აღზრდისათვის, ამზადებდნენ მათ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისათვის, ზრდიდნენ სოციალისტური საზოგადოების ღირსეულ წევრებად. შვილები მოვალენი არიან ზრუნავდნენ მშობლებისათვის და ეხმარებოდნენ მათ.

მუხლი 67. სსრ კავშირის მოქალაქენი მოვალენი არიან უფრთხილდებოდნენ ბუნებას, იცავდნენ მის სიმდიდრეებს.

მუხლი 68. ისტორიული ძეგლებისა და სხვა კულტურულ ღირებულებათა შენარჩუნებისათვის ზრუნვა სსრ კავშირის მოქალაქეთა ვალი და მოვალეობაა.

მუხლი 69. სსრ კავშირის მოქალაქის ინტერნაციონალური მოვალეობაა ხელს უწყობდეს სხვა ქვეყნების ხალხებთან მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარებას, საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნებასა და განმტკიცებას.

III. სსრ კავშირის ეროვნულ-სახელმწიფო წყობილება

თავი 8.

სსრ კავშირი საკავშირო სახელმწიფოა

მუხლი 70. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი ერთიანი საკავშირო მრავალეროვანი სახელმწიფოა, რომელიც შეიქმნა სოციალისტური ფედერალიზმის პრინციპის საფუძველზე, ერების თავისუფალი თვითგამორკვევისა და თანასწორუფლებიანი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ნებაყოფლობითი გაერთიანების შედეგად.

სსრ კავშირი განასახიერებს საბჭოთა ხალხის სახელმწიფო ერთიანობას, აკავშირებს ყველა ერსა და ეროვნებას კომუნიზმის ერთობლივი მშენებლობის მიზნით.

მუხლი 71. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში გაერთიანებული არიან:

რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა,
უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა,
ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა,
უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა,
ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა,
საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა,
აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა,
ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა,
მოლდავეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა,
ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა,
ყირგიზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა,
ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა,
სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა,
თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა,
ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.

მუხლი 72. ყოველ მოკავშირე რესპუბლიკას დატოვებული აქვს სსრ კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლება.

მუხლი 73. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის გამგე-

ლობას, მისი სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების სახით, განეკუთვნება:

1) სსრ კავშირის შემადგენლობაში ახალი რესპუბლიკების მიღება; მოკავშირე რესპუბლიკათა შემადგენლობაში ახალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქების შექმნის დამტკიცება;

2) სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრების დადგენა და მოკავშირე რესპუბლიკებს შორის საზღვრების შეცვლის დამტკიცება;

3) სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების ორგანიზაციისა და საქმიანობის ზოგადი საწყისების დაწესება;

4) სსრ კავშირის მთელ ტერიტორიაზე საკანონმდებლო რეგულირების ერთიანობის უზრუნველყოფა, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლების დაწესება;

5) ერთიანი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელება, ქვეყნის ეკონომიკის ხელმძღვანელობა; მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ძირითადი მიმართულებებისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და დაცვის ზოგად ღონისძიებათა განსაზღვრა; სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების შემუშავება და დამტკიცება; მათი შესრულების ანგარიშების დამტკიცება;

6) სსრ კავშირის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის შემუშავება და დამტკიცება; მისი შესრულების ანგარიშის დამტკიცება; ფულისა და კრედიტის სისტემის ერთიანი ხელმძღვანელობა; დადგენა გადასახადებისა და შემოსავლისა, რომლებიც ხმარდება სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის შექმნას; ფასებისა და შრომის ანაზღაურების დარგში პოლიტიკის განსაზღვრა;

7) სახალხო მეურნეობის დარგების, საკავშირო დაქვემდებარების გაერთიანებებისა და საწარმოების ხელმძღვანელობა; საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების დარგების საერთო ხელმძღვანელობა;

8) ზავისა და ომის საკითხები, სსრ კავშირის სუვერენიტეტის, სახელმწიფო საზღვრებისა და ტერიტორიის დაცვა, თავდაცვის ორგანიზაცია, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობა;

9) სახელმწიფო უშიშროების უზრუნველყოფა;

10) სსრ კავშირის წარმომადგენლობა საერთაშორისო ურთიერთობაში; სსრ კავშირის ურთიერთობა უცხოეთის სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან; უცხოეთის სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მოკავშირე რესპუბლიკების ურთიერთობის ზოგადი წესის დადგენა და კოორდინაცია; საგარეო ვაჭრობა და საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სხვა სახეობანი სახელმწიფო მონოპოლიის საფუძველზე;

11) კონტროლი სსრ კავშირის კონსტიტუციის დაცვისადმი და სსრ კავშირის კონსტიტუციასთან მოკავშირე რესპუბლიკათა კონსტიტუციების შესაბამისობის უზრუნველყოფა;

12) საერთო-საკავშირო მნიშვნელობის სხვა საკითხთა გადაწყვეტა.

მუხლი 74. სსრ კავშირის კანონებს თანაბარი ძალა აქვთ ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიაზე. საერთო-საკავშირო კანონისაგან მოკავშირე რესპუბლიკის კანონის განსხვავების შემთხვევაში მოქმედებს სსრ კავშირის კანონი.

მუხლი 75. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ტერიტორია ერთიანია და შეიცავს მოკავშირე რესპუბლიკების ტერიტორიებს.

სსრ კავშირის სუვერენიტეტი ვრცელდება მთელ მის ტერიტორიაზე.

თავი 9.

მოკავშირე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა

მუხლი 76. მოკავშირე რესპუბლიკა არის სუვერენული საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო, რომელიც სხვა საბჭოთა რესპუბლიკებთან გაერთიანდა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის კონსტიტუციის 73-ე მუხლში აღნიშნულ ფარგლებს გარეთ მოკავშირე რესპუბლიკა დამოუკიდებლად ახორციელებს სახელმწიფო ხელისუფლებას თავის ტერიტორიაზე.

მოკავშირე რესპუბლიკას აქვს თავისი კონსტიტუცია, რომელიც შეესაბამება სსრ კავშირის კონსტიტუციას და ითვალისწინებს რესპუბლიკის თავისებურებებს.

მუხლი 77. მოკავშირე რესპუბლიკა მონაწილეობს სსრ კავშირის გამგებლობას მიკუთვნებული საკითხების გადაწყვეტაში სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, სსრ კავშირის მთავრობასა და სსრ კავშირის სხვა ორგანოებში.

მოკავშირე რესპუბლიკა თავის ტერიტორიაზე უზრუნველყოფს კომპლექსურ ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას, ხელს უწყობს ამ ტერიტორიაზე სსრ კავშირის უფლებამოსილების განხორციელებას, ასრულებს სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების გადაწყვეტილებებს.

მოკავშირე რესპუბლიკა მის გამგებლობაში შემავალ საკითხებზე კოორდინაციას უწევს და აკონტროლებს საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა საქმიანობას.

მუხლი 78. მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორია არ შეიძლება შეიცვალოს მისი თანხმობის გარეშე. მოკავშირე რესპუბლიკებს შორის საზღვრები შეიძლება შეიცვალოს შესაბამისი რესპუბლიკების ურთიერთშეთანხმებით, რომელიც უნდა დამტკიცოს სსრ კავშირმა.

მუხლი 79. მოკავშირე რესპუბლიკა განსაზღვრავს თავის სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, რაიონულ დაყოფას და წყვეტს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის სხვა საკითხებს.

მუხლი 80. მოკავშირე რესპუბლიკას უფლება აქვს ურთიერთობა დაამყაროს უცხოეთის სახელმწიფოებთან, დაუდოს მათ ხელშეკრულებანი და გაუცვალოს დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლები, მონაწილეობდეს საერთაშორისო ორგანიზაციათა საქმიანობაში.

მუხლი 81. მოკავშირე რესპუბლიკათა სუვერენულ უფლებებს იცავს სსრ კავშირი.

თავი 10.

ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა

მუხლი 82. ავტონომიური რესპუბლიკა მოკავშირე რესპუბლიკის შემადგენლობაშია.

ავტონომიური რესპუბლიკა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკის უფლებათა ფარგლებს გარეთ დამოუკიდებლად წყვეტს მის გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებს.

ავტონომიურ რესპუბლიკას აქვს თავისი კონსტიტუცია, რომელიც სსრ კავშირის კონსტიტუციასა და მოკავშირე რესპუბლიკის კონსტიტუციას შეესაბამება და ითვალისწინებს ავტონომიური რესპუბლიკის თავისებურებებს.

მუხლი 83. ავტონომიური რესპუბლიკა მონაწილეობს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკის გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხთა გადაწყვეტაში სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების მეშვეობით სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკის შესაბამისად.

ავტონომიური რესპუბლიკა უზრუნველყოფს კომპლექსურ ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას თავის ტერიტორიაზე, ხელს უწყობს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკის უფლებამოსილების განხორციელებას ამ ტერიტორიაზე, ახორციელებს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების გადაწყვეტილებებს.

ავტონომიური რესპუბლიკა მის გამგებლობაში შემავალ საკითხებზე კოორდინაციას უწევს და აკონტროლებს საკავშირო და რესპუბლ[illegible] [illegible]

ქ. მარ[illegible]

შირე რესპუბლიკის) დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საქმიანობას.

მუხლი 84. ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორია არ შეიძლება შეიცვალოს მისი თანხმობის გარეშე.

მუხლი 85. რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკაში შედიან ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები: ბაშკირეთის, ბურიატეთის, დაღესტნის, ყაბარდო-ბალყარეთის, ყალმუხეთის, კარელიის, კომის, მარეთის, მორდვეთის, ჩრდილოეთ ოსეთის, თათრეთის, ტუვის, უდმურტეთის, ჩაჩნეთ-ინგუშეთის, ჩუვაშეთის, იაკუტიისა.

უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაშია ყარაყალპაყეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაშია აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები.

აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაშია ნახიჩევანის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.

თავი 11.

ავტონომიური ოლქი და ავტონომიური ოკრუგი

მუხლი 86. ავტონომიური ოლქი მოკავშირე რესპუბლიკის ან მხარის შემადგენლობაშია. ავტონომიური ოლქის შესახებ კანონს იღებს მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს წარდგინებით.

მუხლი 87. რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკაშია: ადიღეს, მთიანი ალთაის, ებრაელთა, ყარაჩაი-ჩერქეზეთის, ხაკასეთის ავტონომიური ოლქები.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაშია სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.

აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაშია მთიანი ყარაბახის ავტონომიური ოლქი.

ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაშია მთიანი ბადახშანის ავტონომიური ოლქი.

მუხლი 88. ავტონომიური ოკრუგი მხარის ან ოლქის შემადგენლობაშია. ავტონომიური ოკრუგების შესახებ კანონს იღებს მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო.

IV. სახალხო დეპუტატთა საბჭოები და მათი არჩევის წესი

თავი 12.

სახალხო დეპუტატთა საბჭოების სისტემა და საქმიანობის პრინციპები

მუხლი 89. სახალხო დეპუტატთა საბჭოები — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო, მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოები, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოები, სახალხო დეპუტატთა სამხარეო და საოლქო საბჭოები, ავტონომიური ოლქებისა და ავტონომიური ოკრუგების სახალხო დეპუტატთა საბჭოები, სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქების რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოები — სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ერთიან სისტემას შეადგენენ.

მუხლი 90. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, მოკავშირე რესპუბლიკების

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმაღლესი საბჭოებისა და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების უფლებამოსილების ვადა ხუთი წელია.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების უფლებამოსილების ვადა ორ-ნახევარი წელია.

სახალხო დეპუტატთა საბჭოების არჩევნები ინიშნება არაუგვიანეს ორი თვისა შესაბამისი საბჭოების უფლებამოსილების ვადის გასვლამდე.

მუხლი 91. სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოების გამგებლობას მიკუთვნებული უმნიშვნელოვანესი საკითხები განიხილება და წყდება მათ სესიებზე.

სახალხო დეპუტატთა საბჭოები ირჩევენ მუდმივ კომისიებს, ქმნიან აღმასრულებელ და განმკარგულებელ, აგრეთვე სხვა მათ წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოებს.

მუხლი 92. სახალხო დეპუტატთა საბჭოები ქმნიან სახალხო კონტროლის ორგანოებს, რომელიც სახელმწიფო კონტროლს უხამებს მშრომელთა საზოგადოებრივ კონტროლს საწარმოებში, კოლმეურნეობებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში.

სახალხო კონტროლის ორგანოები კონტროლს უწევენ სახელმწიფო გეგმებისა და დავალებების შესრულებას; ებრძვიან სახელმწიფო დისციპლინის დარღვევებს, კუთხურობის, საქმისადმი უწყებრივი მიდგომის გამოვლინებებს, უყაირათობასა და მფლანგველობას, საქმის გაჭიანურებასა და ბიუროკრატიზმს; ხელს უწყობენ სახელმწიფო აპარატის მუშაობის სრულყოფას.

მუხლი 93. სახალხო დეპუტატთა საბჭოები უშუალოდ და მათ მიერ შექმნილი ორგანოების მეშვეობით ხელმძღვანელობენ სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ყველა დარგს, იღებენ გადაწყვეტილებებს, უზრუნველყოფენ მათს შესრულებას, კონტროლს უწევენ გადაწყვეტილებათა განხორციელებას.

მუხლი 94. სახალხო დეპუტატთა საბჭოების საქმიანობას საფუძვლად უდევს საკითხების კოლექტიური, თავისუფალი, საქმიანი განხილვა და გადაწყვეტა, საჯაროობა, აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოების, საბჭოების მიერ შექმნილი სხვა ორგანოების რეგულარული ანგარიშგება საბჭოებისა და მოსახლეობის წინაშე, მოქალაქეთა ფართო ჩაბმა მათს მუშაობაში.

სახალხო დეპუტატთა საბჭოები და მათ მიერ შექმნილი ორგანოები სისტემატურად აცნობებენ მოსახლეობას თავიანთ მუშაობასა და მიღებულ გადაწყვეტილებებს.

თავი 13.

საარჩევნო სისტემა

მუხლი 95. სახალხო დეპუტატთა ყველა საბჭოს დეპუტატებს ირჩევენ საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით.

მუხლი 96. დეპუტატთა არჩევნები საყოველთაოა: სსრ კავშირის ყველა მოქალაქეს, რომელსაც 18 წელი შეუსრულდა, უფლება აქვს აირჩიოს და იყოს არჩეული, გარდა იმ პირებისა, რომლებიც კანონით დადგენილი წესით ცნობილი არიან შეშლილებად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად შეიძლება არჩეულ იქნეს სსრ კავშირის მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა 21 წელი.

მუხლი 97. დეპუტატთა არჩევნები თანასწორია: ყოველ ამომრჩეველს მხოლოდ ერთი ხმა აქვს; ყველა ამომრჩეველი თანასწორ საფუძველზე მონაწილეობს არჩევნებში.

მუხლი 98. დეპუტატთა არჩევნები პირდაპირია: სახალხო დეპუტატთა ყველა საბჭოს დეპუტატებს მოქალაქეები უშუალოდ ირჩევენ.

მუხლი 99. დეპუტატთა არჩევნების დროს კენჭისყრა ფარულია: ამომრჩეველთა ნება-სურვილის გამოვლინებისადმი კონტროლი არ დაიშვება.

მუხლი 100. დეპუტატობის კანდიდატთა დასახელების უფლება აქვთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, პროფესიული კავშირების, სრულიად საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ორგანიზაციებს, კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, შრომითს კოლექტივებს, აგრეთვე სამხედრო მოსამსახურეთა კრებებს ჯარის ნაწილებში.

სსრ კავშირის მოქალაქეებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის გარანტირებულია დეპუტატობის კანდიდატთა პოლიტიკური, საქმიანი და პირადი თვისებების თავისუფალი და ყოველმხრივი განხილვა, აგრეთვე კრებებზე, პრესაში, ტელევიზიითა და რადიოთი აგიტაციის უფლება.

სახალხო დეპუტატთა საბჭოების არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებულ ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

მუხლი 101. სახალხო დეპუტატთა საბჭოების დეპუტატებს საარჩევნო ოლქების მიხედვით ირჩევენ.

სსრ კავშირის მოქალაქე, როგორც წესი, არ შეიძლება არჩეულ იქნეს ორზე მეტ სახალხო დეპუტატთა საბჭოში.

საბჭოების არჩევნების ჩატარებას უზრუნველყოფენ საარჩევნო კომისიები, რომლებიც საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივებისა და ჯარის ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა კრებების მიერ წარგზავნილი წარმომადგენლებისაგან იქმნება.

სახალხო დეპუტატთა საბჭოების არჩევნების ჩატარების წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონები.

მუხლი 102. ამომრჩევლები განაწესებს აძლევენ თავიანთ დეპუტატებს.

სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოები განიხილავენ ამომრჩეველთა განაწესებს, ითვალისწინებენ მათ ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების შემუშავებისა და ბიუჯეტის შედგენის დროს, ორგანიზაციას უწევენ განაწესების შესრულებას და აცნობებენ მოქალაქეებს მათს რეალიზაციას.

თავი 14.

სახალხო დეპუტატი

მუხლი 103. დეპუტატები ხალხის სრულუფლებიანი წარმომადგენლები არიან სახალხო დეპუტატთა საბჭოებში.

დეპუტატები მონაწილეობენ საბჭოების მუშაობაში და წყვეტენ სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის საკითხებს, უზრუნველყოფენ საბჭოების გადაწყვეტილებათა განხორციელებას, კონტროლს უწევენ სახელმწიფო ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობას.

თავის საქმიანობაში დეპუტატი ხელმძღვანელობს საერთო-სახელმწიფო ინტერესებით, ითვალისწინებს საარჩევნო ოლქის მოსახლეობის მოთხოვნილებებს, იღვწის ამომრჩეველთა განაწესების შესრულებისათვის.

მუხლი 104. დეპუტატი თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას არ წყვეტს საწარმოო თუ სამსახურებრივ საქმიანობას.

საბჭოს სესიების დროს, აგრეთვე კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში დეპუტატის უფლებამოსილების განსახორციელებლად დეპუტატი თავისუფლდება საწარმოო თუ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან და ენახება საშუალო ხელფასი მუდმივ სამუშაო ადგილზე.

მუხლი 105. დეპუტატს უფლება აქვს შეკითხვით მიმართოს შესაბამის სახელმწიფო ორგანოებსა და თანამდებობის პირებს, რომლებიც ვალდებული არიან უპასუხონ ამ შეკითხვას საბჭოს სესიაზე.

დეპუტატს უფლება აქვს მიმართოს ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოს, საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციას დეპუტატის საქმიანობის საკითხებზე და მონაწილეობა მიიღოს მის მიერ აღძრული საკით-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხეების განხილვაში. შესაბამისი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები ვალდებული არიან დაუყოვნებლივ მიიღონ დეპუტატი და განიხილონ მისი წინადადებანი დადგენილ ვადაში.

მუხლი 106. დეპუტატისათვის უზრუნველყოფილია მის უფლება-მოვალეობათა დაუბრკოლებელი და ეფექტიანი განხორციელების პირობები.

დეპუტატის ხელშეუხებლობა, აგრეთვე დეპუტატის საქმიანობის სხვა გარანტიები დადგენილია კანონით დეპუტატთა სტატუსის შესახებ და სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სხვა საკანონმდებლო აქტებით.

მუხლი 107. დეპუტატი ვალდებულია ანგარიში ჩააბაროს თავისი მუშაობისა და საბჭოს მუშაობის შესახებ ამომრჩევლებს, აგრეთვე კოლექტივებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომლებმაც იგი დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს.

დეპუტატი, რომელიც ვერ გაამართლებს ამომრჩეველთა ნდობას, ნებისმიერ დროს შეიძლება გაწვეული იქნეს ამომრჩეველთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

V. სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოები

თავი 15.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო

მუხლი 108. სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია წყვეტდეს ყველა საკითხს, რომლებიც ამ კონსტიტუციით სსრ კავშირის გამგებლობას განეკუთვნება.

სსრ კავშირის კონსტიტუციის მიღებას, კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანას; სსრ კავშირის შემადგენლობაში ახალი რესპუბლიკების მიღებას, ახალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქების შექმნის დამტკიცებას; სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების, სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტისა და მათი შესრულების ანგარიშების დამტკიცებას; უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებული სსრ კავშირის ორგანოების შექმნას მხოლოდ და მხოლოდ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო ახორციელებს.

სსრ კავშირის კანონები მიიღება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ ან საყოველთაო-სახალხო კენჭისყრით (რეფერენდუმით), რომელიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით ეწყობა.

მუხლი 109. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო შედგება ორი პალატისაგან: კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოსაგან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატები თანასწორუფლებიანი არიან.

მუხლი 110. კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოში დეპუტატთა თანაბარი რიცხვია.

კავშირის საბჭოს ირჩევენ საარჩევნო ოლქების მიხედვით, რომლებშიც მოსახლეობის თანაბარი რაოდენობაა.

ეროვნებათა საბჭოს ირჩევენ შემდეგი ნორმით: 32 დეპუტატს თითოეული მოკავშირე რესპუბლიკისაგან, 11 დეპუტატს თითოეული ავტონომიური რეს-

პუბლიკისაგან; 5 დეპუტატს თითოეული ავტონომიური ოლქისაგან და ერთ დეპუტატს თითოეული ავტონომიური ოკრუგისაგან.

კავშირის საბჭო და ეროვნებათა საბჭო მათ მიერ არჩეული სამანდატო კომისიების წარდგინებით იღებენ გადაწყვეტილებას დეპუტატთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ, არჩევნების კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში კი ცალკეული დეპუტატების არჩევნების ბათილად ცნობის შესახებ.

მუხლი 111. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თითოეული პალატა ირჩევს პალატის თავმჯდომარეს და მის ოთხ მოადგილეს.

კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარეები ხელმძღვანელობენ შესაბამისი პალატების სხდომებს და განაგებენ მათს შინაგანაწესს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების გაერთიანებულ სხდომებს რიგრიგობით უძღვებიან კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარეები.

მუხლი 112. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიებს იწვევენ წელიწადში ორჯერ.

რიგგარეშე სესიებს იწვევს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი თავისი ინიციატივით, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკის ან ერთ-ერთი პალატის დეპუტატთა სულ ცოტა მესამედის წინადადებით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესია შედგება პალატების ცალ-ცალკე და გაერთიანებული სხდომებისაგან, აგრეთვე პალატების მუდმივი კომისიების ან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კომისიების სხდომებისაგან, რომლებიც პალატების სხდომებს შუა პერიოდში ეწყობა. სესია იხსნება და იხურება პალატების ცალ-ცალკე ან გაერთიანებულ სხდომებზე.

მუხლი 113. საკანონმდებლო ინიციატივის უფლება სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში ეკუთვნით კავშირის საბჭოს, ეროვნებათა საბჭოს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, მოკავშირე რესპუბლიკებს მათი სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების სახით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კომისიებსა და მისი პალატების მუდმივ კომისიებს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს, სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს, სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს.

საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვთ აგრეთვე საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მათი საერთო-საკავშირო ორგანოების სახით.

მუხლი 114. კანონების პროექტებსა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განსახილველად შეტანილ სხვა საკითხებს განიხილავენ პალატები თავიანთ ცალ-ცალკე ან გაერთიანებულ სხდომებზე. საჭიროების შემთხვევაში კანონის პროექტი ან შესაბამისი საკითხი შეიძლება წინასწარი ან დამატებითი განხილვისათვის გადაეცეს ერთ, ანდა რამდენიმე კომისიას.

სსრ კავშირის კანონი მიღებულად ითვლება, თუ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თითოეულ პალატაში მას ხმას მისცემს პალატის დეპუტატთა საერთო რიცხვის უმრავლესობა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები და სხვა აქტები მიიღება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა საერთო რიცხვის უმრავლესობით.

კანონების პროექტები და სახელმწიფო ცხოვრების სხვა ყველაზე დიდმნიშვნელოვანი საკითხები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით, რომელიც მიღებულია მათი ინიციატივით ან მოკავშირე რესპუბლიკის წინადადებით, შეიძლება გამოტანილ იქნეს საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის.

მუხლი 115. კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს შორის უთანხმოების შემთხვევაში საკითხი გადასაწყვეტად გადაეცემა შემთანხმებელ კომისიას, რომელსაც პალატები ქმნიან პარიტეტულ საწყისებზე, რის შემდეგაც საკითხს განმეორებით განიხილავენ კავშირის საბჭო და ეროვნებათა საბჭო გაერთიანებულ სხდომაზე. თუ ვერც ამ შემთხვევაში მიაღწევენ თანხმობას, მაშინ საკითხს გადაიტანენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს შემდგომი სესიის განსახილველად ან უმაღლესი საბჭო გადასცემს ამ საკითხს საყოველთაო-სახალხო კენჭისყრისათვის (რეფერენდუმისათვის).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 116. სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები და სხვა აქტები ქვეყნდება მოკავშირე რესპუბლიკების ენებზე და მათ ხელს აწერენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე და მდივანი.

მუხლი 117. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს უფლება აქვს შეკითხვით მიმართოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, მინისტრებსა და სხვა იმ ორგანოების ხელმძღვანელებს, რომლებსაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო ქმნის. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ან თანამდებობის პირი, რომელსაც შეკითხვით მიმართეს, მოვალენი არიან არაუგვიანეს სამი დღისა ზეპირი ან წერილობითი პასუხი გასცენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმდინარე სესიაზე.

მუხლი 118. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს სისხლის სამართლის პასუხისგებაში ვერ მისცემენ, ვერ დააპატიმრებენ ან სასამართლო წესით ადმინისტრაციულ სასჯელს ვერ დაადებენ, თუ არ იქნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თანხმობა, ხოლო სესიებს შუა პერიოდში — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თანხმობა.

მუხლი 119. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო პალატების გაერთიანებულ სხდომაზე ირჩევს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მუდმივმოქმედ ორგანოს, რომელიც მთელ თავის საქმიანობაში ანგარიშვალდებულია მის წინაშე და კონსტიტუციით გათვალისწინებულ ფარგლებში ახორციელებს სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს ფუნქციებს უმაღლესი საბჭოს სესიებს შუა პერიოდში.

მუხლი 120. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ირჩევენ დეპუტატებისაგან შემდეგი შემადგენლობით: უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, თავმჯდომარის პირველი მოადგილე, თავმჯდომარის თხუთმეტი მოადგილე — თითო-თითო ყოველი მოკავშირე რესპუბლიკისაგან, პრეზიდიუმის მდივანი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 21 წევრი.

მუხლი 121. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი:

1) ნიშნავს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს;

2) იწვევს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიებს;

3) კოორდინაციას უწევს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატათა მუდმივი კომისიების საქმიანობას;

4) კონტროლს უწევს სსრ კავშირის კონსტიტუციის დაცვას და უზრუნველყოფს, რომ მოკავშირე რესპუბლიკათა კონსტიტუციები და კანონები შეესაბამებოდეს სსრ კავშირის კონსტიტუციასა და კანონებს;

5) განმარტავს სსრ კავშირის კანონებს;

6) ახდენს სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიკაციასა და დენონსაციას;

7) აუქმებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების დადგენილებებსა და განკარგულებებს, თუ ისინი არ შეესაბამება კანონს;

8) აწესებს სამხედრო წოდებებს, დიპლომატიურ რანგებსა და სხვა სპეციალურ წოდებებს; ანიჭებს უმაღლეს სამხედრო წოდებებს, დიპლომატიურ რანგებსა და სხვა სპეციალურ წოდებებს;

9) აწესებს სსრ კავშირის ორდენებსა და მედლებს; აწესებს სსრ კავშირის საპატიო წოდებებს; აჯილდოებს სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით; ანიჭებს სსრ კავშირის საპატიო წოდებებს;

10) აძლევს სსრ კავშირის მოქალაქეობას, წყვეტს სსრ კავშირის მოქალაქეობიდან გასვლისა და სსრ კავშირის მოქალაქეობის ჩამორთმევის, თავშესაფრის მიცემის საკითხებს;

11) გამოსცემს საერთო-საკავშირო აქტებს ამნისტიის შესახებ და ახორციელებს შეწყალებას;

12) ნიშნავს სსრ კავშირის დიპლომატიურ წარმომადგენლებს უცხოეთის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში და გამოიწვევს მათ იქიდან;

13) იღებს მასთან აკრედიტებული უცხოეთის სახელმწიფოთა დიპლომატიური წარმომადგენლების რწმუნებულებისა და გაწვევის სიგელებს;

14) ქმნის სსრ კავშირის თავდაცვის საბჭოს და ამტკიცებს მის შემადგენლობას, ნიშნავს და ცვლის სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების უმაღლეს სარდლობას;

15) აცხადებს სამხედრო წესებს ცალკეულ ადგილებში ან მთელ ქვეყანაში სსრ კავშირის დაცვის ინტერესებისათვის;

16) აცხადებს საერთო ან ნაწილობრივ მობილიზაციას;

17) სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიებს შუა პერიოდში სსრ კავშირზე სამხედრო თავდასხმის შემთხვევაში ან აგრესიისაგან ერთობლივი თავდაცვის საერთაშორისო სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების აუცილებლობის შემთხვევაში აცხადებს ომის მდგომარეობას;

18) ახორციელებს სსრ კავშირის კონსტიტუციითა და კანონებით დადგენილ სხვა უფლებამოსილებას.

მუხლი 122. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს უმაღლესი საბჭოს სესიებს შუა პერიოდში მორიგ სესიაზე დასამტკიცებლად შემდგომი წარდგინების პირობით:

1) შეაქვს საჭიროების შემთხვევაში ცვლილებები სსრ კავშირის მოქმედ საკანონმდებლო აქტებში;

2) ამტკიცებს მოკავშირე რესპუბლიკებს შორის საზღვრების შეცვლას;

3) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებით ქმნის და აუქმებს სსრ კავშირის სამინისტროებსა და სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტებს;

4) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით თანამდებობიდან ათავისუფლებს და ნიშნავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში შემავალ ცალკეულ პირებს.

მუხლი 123. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი გამოსცემს ბრძანებულებებს და იღებს დადგენილებებს.

მუხლი 124. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი თავის უფლებამოსილებას ინარჩუნებს სსრ კავშირის ახლად არჩეული უმაღლესი საბჭოს მიერ ახალი პრეზიდიუმის შექმნამდე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წინა შემადგენლობის პრეზიდიუმმა სსრ კავშირის ახლად არჩეული უმაღლესი საბჭო უნდა მოიწვიოს არჩევნებიდან არაუგვიანეს ორი თვისა.

მუხლი 125. კავშირის საბჭო და ეროვნებათა საბჭო დეპუტატებისაგან ირჩევენ მუდმივ კომისიებს იმისათვის, რომ მათ წინასწარ განიხილონ და მოამზადონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს გამგებლობას მიკუთვნებული საკითხები, აგრეთვე ხელი შეუწყონ სსრ კავშირის კანონებისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და მისი პრეზიდიუმის სხვა გადაწყვეტილებების განხორციელებას, კონტროლი გაუწიონ სახელმწიფო ორგანოებისა და ორგანიზაციების საქმიანობას. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატებს შეუძლიათ აგრეთვე შექმნან ერთობლივი კომისიები პარიტეტულ საწყისებზე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო, როცა საჭიროდ მიაჩნია, ქმნის ნებისმიერი საკითხის გამო საგამოძიებო, სარევიზიო და სხვა კომისიებს.

ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანო, ორგანიზაცია და თანამდებობის პირი ვალდებულია შეასრულოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კომისიებისა და მისი პალატების კომისიების მოთხოვნები, წარუდგინოს მათ საჭირო მასალები და დოკუმენტები.

კომისიების რეკომენდაციები აუცილებლად უნდა განიხილონ სახელმწიფო და საზოგადოებრივმა ორგანოებმა, დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა. განხილვის შედეგები ან მიღებული ღონისძიებები კომისიებს უნდა ეცნობოს დადგენილ ვადაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 126. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო კონტროლს უწევს მის წინაშე ანგარიშვალდებულ ყველა სახელმწიფო ორგანოს საქმიანობას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო ქმნის სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტს, რომელიც მეთაურობს სახალხო კონტროლის ორგანოების სისტემას.

სახალხო კონტროლის ორგანოების საქმიანობის ორგანიზაციასა და წესს განსაზღვრავს კანონი სსრ კავშირში სახალხო კონტროლის შესახებ.

მუხლი 127. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და მისი ორგანოების საქმიანობის წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი და სსრ კავშირის სხვა კანონები, რომლებიც სსრ კავშირის კონსტიტუციის საფუძველზე გამოიცემა.

თავი 16.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

მუხლი 128. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო — სსრ კავშირის მთავრობა — სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოა.

მუხლი 129. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ქმნის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე შემდეგი შემადგენლობით: სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის პირველი მოადგილეები და მოადგილეები, სსრ კავშირის მინისტრები, სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში თანამდებობის მიხედვით შედიან მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს შეუძლია სსრ კავშირის მთავრობის შემადგენლობაში შეიყვანოს სსრ კავშირის სხვა ორგანოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო თავის უფლებამოსილებას იხსნის სსრ კავშირის ახლად არჩეული უმაღლესი საბჭოს წინაშე მის პირველ სესიაზე.

მუხლი 130. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წინაშე, ხოლო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიებს შუა პერიოდში — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო თავისი მუშაობის შესახებ რეგულარულად აბარებს ანგარიშს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს.

მუხლი 131. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო უფლებამოსილია გადაწყვიტოს სახელმწიფო მმართველობის ყველა საკითხი, რომლებიც სსრ კავშირის გამგებლობაშია, რამდენადაც ეს საკითხები კონსტიტუციის თანახმად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის კომპეტენციაში არ შედის.

თავის უფლებამოსილების ფარგლებში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო:

1) უზრუნველყოფს სახალხო მეურნეობისა და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელობას; შეიმუშავებს და ახორციელებს ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და კულტურის ამაღლების უზრუნველყოფის, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების, ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და დაცვის, ფულისა და კრედიტის სისტემის განმტკიცების, ფასების ერთიანი პოლიტიკის გატარების, შრომის ანაზღაურების, სოციალური უზრუნველყოფის, სახელმწიფო დაზღვევისა და აღრიცხვა-სტატისტიკის ერთიანი სისტემის ორგანიზაციის ღონისძიებებს; ახდენს სამრეწველო, სამშენებლო, სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და გაერთიანებების, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმოების, ბანკების, აგრეთვე საკავში-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რო დაქვემდებარების სხვა ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მართვის ორგანიზებას;

2) შეიმუშავებს და სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში შეაქვს სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმდინარე და პერსპექტიული სახელმწიფო გეგმები, სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტი; იღებს ზომებს სახელმწიფო გეგმებისა და ბიუჯეტის განხორციელებისათვის; სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს წარუდგენს ანგარიშებს გეგმებისა და ბიუჯეტის შესრულების შესახებ;

3) ახორციელებს ღონისძიებებს სახელმწიფო ინტერესების დასაცავად, სოციალისტური საკუთრებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველსაყოფად და დასაცავად;

4) იღებს ზომებს სახელმწიფო უშიშროების უზრუნველსაყოფად;

5) საერთო ხელმძღვანელობას უწევს სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მშენებლობას, განსაზღვრავს ნამდვილ სამხედრო სამსახურში გასაწვევ მოქალაქეთა ყოველწლიურ კონტინგენტებს;

6) ახორციელებს საერთო ხელმძღვანელობას უცხოეთის სახელმწიფოებთან ურთიერთობის, საგარეო ვაჭრობის, საზღვარგარეთის ქვეყნებთან სსრ კავშირის ეკონომიკური, მეცნიერულ-ტექნიკური და კულტურული თანამშრომლობის დარგში; იღებს ზომებს სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებების შესრულების უზრუნველსაყოფად; ამტკიცებს მთავრობათა შორის საერთაშორისო ხელშეკრულებებს და ახდენს მათ დენონსაციას;

7) ქმნის საჭიროების შემთხვევაში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან სამეურნეო, სოციალურ-კულტურული და თავდაცვითი მშენებლობის საქმეთა კომიტეტებს, მთავარ სამმართველოებსა და სხვა უწყებებს.

მუხლი 132. სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხებისა და სახელმწიფო მართვის სხვა საკითხების გადასაწყვეტად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მუდმივი ორგანოს სახით მოქმედებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმი, რომლის შემადგენლობაში შედიან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის პირველი მოადგილეები და მოადგილეები.

მუხლი 133. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის კანონებისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხვა გადაწყვეტილებების საფუძველზე და მათ შესასრულებლად გამოსცემს დადგენილებებსა და განკარგულებებს და ამოწმებს მათ შესრულებას. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების შესრულება სავალდებულოა სსრ კავშირის მთელ ტერიტორიაზე.

მუხლი 134 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს უფლება აქვს იმ საკითხებზე, რომლებიც სსრ კავშირის გამგებლობას განეკუთვნება, შეაჩეროს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების დადგენილებათა და განკარგულებათა შესრულება, აგრეთვე გააუქმოს სსრ კავშირის სამინისტროების, სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტების, მისი საქვეუწყებო სხვა ორგანოების აქტები.

მუხლი 135. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო აერთიანებს და წარმართავს საერთო-საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროებისა და სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტების, მისი საქვეუწყებო სხვა ორგანოების მუშაობას.

საერთო-საკავშირო სამინისტროები და სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტები უშუალოდ ან მათ მიერ შექმნილი ორგანოების მეშვეობით ხელმძღვანელობენ მათთვის მინდობილ მმართველობის დარგებს ან ახორციელებენ დარგთაშორის მართვას სსრ კავშირის მთელ ტერიტორიაზე.

საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროები და სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტები მათთვის მინდობილ მმართველობის დარგებს ხელმძღვანელობენ ან დარგთშორის მართვას ახორციელებენ. როგორც წესი, მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამისი სამინისტროებისა და სახელმწიფო კომიტე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტების, სხვა ორგანოების მეშვეობით და უშუალოდ მართავენ საკავშირო დაქვემდებარების ცალკეულ საწარმოებსა და გაერთიანებებს. რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოებისა და გაერთიანებების საკავშირო დაქვემდებარებაში გადაცემის წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

სსრ კავშირის სამინისტროებსა და სახელმწიფო კომიტეტებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა მათთვის მინდობილი მმართველობის სფეროების მდგომარეობისა და განვითარებისათვის; თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემენ აქტებს სსრ კავშირის კანონების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხვა გადაწყვეტილებების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების საფუძველზე და მათ შესასრულებლად; ორგანიზაციას უწევენ და ამოწმებენ მათ შესრულებას.

მუხლი 136. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და მისი პრეზიდიუმის კომპეტენციას, მათი საქმიანობის წესს, მინისტრთა საბჭოს ურთიერთობას სხვა სახელმწიფო ორგანოებთან, აგრეთვე საერთო-საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროებისა და სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტების ნუსხას კონსტიტუციის საფუძველზე განსაზღვრავს კანონი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შესახებ.

VI. მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების აგებულების საფუძვლები

თავი 17.

მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოები

მუხლი 137. მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო.

მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია გადაწყვიტოს ყველა საკითხი, რომლებიც მოკავშირე რესპუბლიკის განმგებლობაშია სსრ კავშირის კონსტიტუციისა და მოკავშირე რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისად.

მოკავშირე რესპუბლიკის კონსტიტუციის მიღებას, კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანას, მოკავშირე რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების, სახელმწიფო ბიუჯეტისა და მათი შესრულების ანგარიშების დამტკიცებას; მის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების შექმნას ახორციელებს მხოლოდ და მხოლოდ მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო.

მოკავშირე რესპუბლიკის კანონები მიიღება მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ ან სახალხო კენჭისყრით (რეფერენდუმით), რომელიც მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით ეწყობა.

მუხლი 138. მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ირჩევს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს — მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მუდმივმოქმედ ორგანოს, რომელიც ანგარიშვალდებულია მის წინაშე მთელ თავის

საქმიანობაში. მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობასა და უფლებამოსილებას განსაზღვრავს მოკავშირე რესპუბლიკის კონსტიტუცია.

მუხლი 139. მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ქმნის მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს — მოკავშირე რესპუბლიკის მთავრობას — მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს აღმასრულებელ და განმკარგულებელ ორგანოს.

მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებულია მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წინაშე, ხოლო უმაღლესი საბჭოს სესიებს შუა პერიოდში — მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე.

მუხლი 140. მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო გამოსცემს დადგენილებებსა და განკარგულებებს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების საფუძველზე და მათ შესასრულებლად, ორგანიზაციას უწევს და ამოწმებს მათ შესრულებას.

მუხლი 141. მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს უფლება აქვს შეაჩეროს ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების დადგენილებათა და განკარგულებათა შესრულება, გააუქმოს სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო, საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების) საბჭოების, ავტონომიური ოლქების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების, ხოლო მოკავშირე რესპუბლიკებში, რომლებსაც საოლქო დაყოფა არა აქვთ, — სახალხო დეპუტატთა რაიონული და შესაბამისი საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებანი და განკარგულებანი.

მუხლი 142. მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო აერთიანებს და წარმართავს მოკავშირე რესპუბლიკის საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, მისი საქვეუწყებო სხვა ორგანოების მუშაობას.

მოკავშირე რესპუბლიკის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროები და სახელმწიფო კომიტეტები ხელმძღვანელობენ მათთვის მინდობილ მმართველობის დარგებს ან ახორციელებენ დარგთაშორის მართვას, ექვემდებარებიან რა როგორც მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, ისე სსრ კავშირის შესაბამის საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროს ან სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტს.

რესპუბლიკური სამინისტროები და სახელმწიფო კომიტეტები ხელმძღვანელობენ მათთვის მინდობილ მმართველობის დარგებს ან ახორციელებენ დარგთაშორის მართვას, ექვემდებარებიან რა მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს.

თავი 18.

ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოები

მუხლი 143. ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო.

ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მიღებას, კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანას, ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების, აგრეთვე სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცებას; მის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების შექმნას ახორციელებს მხოლოდ და მხოლოდ ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტონომიური რესპუბლიკის კანონებს იღებს ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო.

მუხლი 144. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ირჩევს ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს და ქმნის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს — ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას.

თავი 19.

სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოები

მუხლი 145. მხარეებში, ოლქებში, ავტონომიურ ოლქებში, ავტონომიურ ოკრუგებში, რაიონებში, ქალაქებში, ქალაქის რაიონებში, დაბებში, სასოფლო დასახლებულ პუნქტებში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებია შესაბამისი სახალხო დეპუტატთა საბჭოები.

მუხლი 146. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები წყვეტენ ადგილობრივი მნიშვნელობის ყველა საკითხს საერთო-სახელმწიფო ინტერესებისა და საბჭოს ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეთა ინტერესების შესაბამისად, ახორციელებენ ზემდგომი სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებებს, ხელმძღვანელობენ ქვემდგომი სახალხო დეპუტატთა საბჭოების საქმიანობას, მონაწილეობენ რესპუბლიკური და საერთო-საკავშირო მნიშვნელობის საკითხების განხილვაში, შეაქვთ მათ გამო წინადადებანი.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები ხელმძღვანელობენ თავიანთ ტერიტორიაზე სახელმწიფო სამეურნეო და სოციალურ-კულტურულ მშენებლობას; ამტკიცებენ ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებსა და ადგილობრივ ბიუჯეტს; ხელმძღვანელობენ მათდამი დაქვემდებარებულ სახელმწიფო ორგანოებს, საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს; უზრუნველყოფენ კანონების შესრულებას, სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის, მოქალაქეთა უფლებების დაცვას; ხელს უწყობენ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას.

მუხლი 147. თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები უზრუნველყოფენ კომპლექსურ ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას თავის ტერიტორიაზე; კონტროლს უწევენ ამ ტერიტორიაზე განლაგებული ზემდგომი დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ კანონმდებლობის დაცვას; კოორდინაციასა და კონტროლს უწევენ მათს საქმიანობას მიწათსარგებლობის, ბუნების დაცვის, მშენებლობის, შრომითი რესურსების გამოყენების, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების, მოსახლეობის სოციალურ-კულტურული, საყოფაცხოვრებო და სხვა მომსახურების დარგში.

მუხლი 148. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები იღებენ გადაწყვეტილებებს მათთვის სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. ადგილობრივი საბჭოების გადაწყვეტილებათა შესრულება სავალდებულოა საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებული ყველა საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციისათვის, აგრეთვე თანამდებობის პირებისა და მოქალაქეებისათვის.

მუხლი 149. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოებია აღმასრულებელი კომიტეტები, რომლებსაც ისინი დეპუტატებისაგან ირჩევენ.

აღმასრულებელი კომიტეტები წელიწადში ერთხელ მაინც ანგარიშს აბარებენ საბჭოებს, რომლებმაც ისინი აირჩიეს, აგრეთვე შრომითი კოლექტივებისა და საცხოვრებელ ადგილას მოქალაქეთა კრებებს.

მუხლი 150. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები უშუალოდ ანგარიშვალდებული არიან როგორც მათი ამრჩევი საბჭოს, ისე ზემდგომი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოს წინაშე.

VII. მართლმსაჯულება, არბიტრაჟი და საპროკურორო ზედამხედველობა

თავი 20.

სასამართლო და არბიტრაჟი

მუხლი 151. სსრ კავშირში მართლმსაჯულებას ახორციელებს მხოლოდ სასამართლო.

სსრ კავშირში მოქმედებენ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო, მოკავშირე რესპუბლიკათა უმაღლესი სასამართლოები, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოები, სამხარეო, საოლქო, საქალაქო სასამართლოები, ავტონომიური ოლქების სასამართლოები, ავტონომიური ოკრუგების სასამართლოები, რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოები, აგრეთვე სამხედრო ტრიბუნალები შეიარაღებულ ძალებში.

მუხლი 152. სსრ კავშირში ყველა სასამართლო იქმნება მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა არჩევითობის საწყისებზე.

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეებს რაიონის (ქალაქის) მოქალაქეები ირჩევენ საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით ხუთი წლის ვადით. რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულებს ირჩევენ მოქალაქეთა კრებებზე მათს სამუშაო ან საცხოვრებელ ადგილას ღია კენჭისყრით ორ-ნახევარი წლის ვადით.

ზემდგომ სასამართლოებს სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოები ირჩევენ ხუთი წლის ვადით.

სამხედრო ტრიბუნალების მოსამართლეებს ირჩევს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ხუთი წლის ვადით, ხოლო სახალხო მსაჯულებს — სამხედრო მოსამსახურეთა კრებები ორნახევარი წლის ვადით.

მოსამართლეები და სახალხო მსაჯულები პასუხისმგებელი არიან ამომრჩევლების ან ამრჩევი ორგანოების წინაშე, ანგარიშს აბარებენ მათ და შეიძლება მათ მიერ გაწვეულ იქნენ კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 153. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო ორგანოა და, კანონით დადგენილ ფარგლებში, ზედამხედველობას უწევს სსრ კავშირის სასამართლოების, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკათა სასამართლოების სასამართლო საქმიანობას.

სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს ირჩევს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო თავმჯდომარის, მისი მოადგილეების, წევრებისა და სახალხო მსაჯულების შემადგენლობით. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს შემადგენლობაში თანაბრებობის მიხედვით შედიან მოკავშირე რესპუბლიკათა უმაღლესი სასამართლოების თავმჯდომარეები.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს საქმიანობის ორგანიზაციასა და წესს განსაზღვრავს კანონი სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს შესახებ.

მუხლი 154. სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეების განხილვა ყველა სასამართლოში ხდება კოლეგიურად, პირველი ინსტანციის სასამართლოში — სახალხო მსაჯულთა მონაწილეობით. სახალხო მსაჯულებს მართლმსაჯულების განხორციელების დროს მოსამართლის ყველა უფლება აქვთ.

მუხლი 155. მოსამართლეები და სახალხო მსაჯულები დამოუკიდებელი არიან და მხოლოდ კანონს ემორჩილებიან.

მუხლი 156. სსრ კავშირში მართლმსაჯულება ხორციელდება კანონისა და სასამართლოს წინაშე მოქალაქეთა თანასწორობის საწყისებზე.

მუხლი 157. საქმის გარჩევა ყველა სასამართლოში ღიაა. სასამართლოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დახურულ სხდომაზე საქმეთა მოსმენა დასაშვებია მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევებში, ამასთან სამართალწარმოების ყველა წესის დაცვით.

მუხლი 158. ბრალდებულისათვის უზრუნველყოფილია დაცვის უფლება.

მუხლი 159. სამართალწარმოება მიმდინარეობს მოკავშირე ან ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის, ავტონომიური ოკრუგის ენაზე ან მოცემული ადგილის მოსახლეობის უმრავლესობის ენაზე. საქმის მონაწილე პირებისათვის, რომლებმაც არ იციან მიმდინარე სამართალწარმოების ენა, უზრუნველყოფილია თარჯიმნის მეშვეობით საქმის მასალების სრული გაცნობისა და სასამართლო მოქმედებაში მონაწილეობის უფლება, სასამართლოში დედაენაზე გამოსვლის უფლება.

მუხლი 160. არავინ არ შეიძლება ცნობილ იქნეს ბრალეულად დანაშაულის ჩადენაში, აგრეთვე დაედოს სისხლისსამართლებრივი სასჯელი, თუ არა სასამართლოს განაჩენით და კანონის შესაბამისად.

მუხლი 161. მოქალაქეებისა და ორგანიზაციებისათვის იურიდიული დახმარების გასაწევად მოქმედებენ ადვოკატთა კოლეგიები. კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში მოქალაქენი უფასოდ იღებენ იურიდიულ დახმარებას.

ადვოკატურის საქმიანობის ორგანიზაციასა და წესს განსაზღვრავს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

მუხლი 162. სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა სამართალწარმოებაში დასაშვებია საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების წარმომადგენელთა მონაწილეობა.

მუხლი 163. საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს შორის სამეურნეო დავას წყვეტენ სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოები მათი კომპეტენციის ფარგლებში.

სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების საქმიანობის ორგანიზაციასა და წესს განსაზღვრავს კანონი სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟის შესახებ.

თავი 21.

პროკურატურა

მუხლი 164. ყველა სამინისტროს, სახელმწიფო კომიტეტისა და უწყების, საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოების, კოლმეურნეობების, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, თანამდებობის პირების, აგრეთვე მოქალაქეების მიერ კანონების ზუსტი და ერთგვაროვანი შესრულებისადმი უმაღლესი ზედამხედველობა ეკისრებათ სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს და მისდამი დაქვემდებარებულ პროკურორებს.

მუხლი 165. სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს ნიშნავს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო, რომლის წინაშეც იგი პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებულია, ხოლო უმაღლესი საბჭოს სესიებს შუა პერიოდში — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე.

მუხლი 166. მოკავშირე რესპუბლიკების, ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, ოლქებისა და ავტონომიური ოლქების პროკურორებს ნიშნავს სსრ კავშირის გენერალური პროკურორი. ავტონომიური ოკრუგების პროკურორებს, რაიონულ და საქალაქო პროკურორებს ნიშნავენ მოკავშირე რესპუბლიკათა პროკურორები და ამტკიცებს სსრ კავშირის გენერალური პროკურორი.

მუხლი 167. სსრ კავშირის გენერალური პროკურორისა და ყველა ქვემდგომი პროკურორის უფლებამოსილების ვადაა ხუთი წელი.

მუხლი 168. პროკურატურის ორგანოები თავიანთ უფლებამოსილებას ყოველგვარი ადგილობრივი ორგანოსაგან დამოუკიდებლად ახორციელებენ და მხოლოდ სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს ემორჩილებიან.

პროკურატურის ორგანოების საქმიანობის ორგანიზაციასა და წესს განსაზღვრავს კანონი სსრ კავშირის პროკურატურის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

VIII. სსრ კავშირის გერბი, ალამი, ჰიმნი და დედაქალაქი

მუხლი 169. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელმწიფო გერბი წარმოადგენს ნამგლისა და ურის გამოსახულებას მზის სხივებით გაცისკროვნებული დედამიწის ფონზე, გარშემოვლებულია თავთავებით და მოკავშირე რესპუბლიკების ენებზე აწერია: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“. გერბის ზედა ნაწილში ხუთქიმიანი ვარსკვლავია.

მუხლი 170. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელმწიფო ალამი წარმოადგენს მართკუთხა წითელ ქსოვილს, რომლის ზემო კუთხეში, ტართან გამოსახულია ოქროს ნამგალი და ურო და მათ ზემოთ—ოქროს არშიაშემოვლებული ხუთქიმიანი ვარსკვლავი. სიგანის შეფარდება სიგრძესთან — 1:2.

მუხლი 171. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელმწიფო ჰიმნს ამტკიცებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

მუხლი 172. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დედაქალაქია მოსკოვი.

IX. სსრ კავშირის კონსტიტუციის მოქმედება და მისი შეცვლის წესი

მუხლი 173. სსრ კავშირის კონსტიტუციას უმაღლესი იურიდიული ძალა აქვს. ყველა კანონი და სახელმწიფო ორგანოების სხვა აქტები გამოიცემა სსრ კავშირის კონსტიტუციის საფუძველზე და მის შესაბამისად.

მუხლი 174. სსრ კავშირის კონსტიტუციის შეცვლა ხდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, რომელსაც მიიღებს თითოეული პალატის დეპუტატთა საერთო რიცხვის სულ ცოტა ორი მესამედის უმრავლესობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონსტიტუცია მოქმედებს, ცხოვრობს, მუშაობს

1977 წლის 7 ოქტომბერი ოქროს ასოებით ჩაიწერა საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიაში. ამ დღეს სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მეშვიდე სესიამ, რომელმაც გამოხატა მთელი ჩვენი ხალხის ნება-სურვილი, მიიღო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ახალი კონსტიტუცია, განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მანიფესტი, პირველი საერთო-სახალხო სახელმწიფოს ძირითადი კანონი. „გაივლის წლები, ათწლეულები, — თქვა სესიაზე თავის საბოლოო სიტყვაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ-ა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა, — მაგრამ ოქტომბრის ეს დღე სამუდამოდ დარჩება ხალხის მეხსიერებაში როგორც ხალხის ხელისუფლების ლენინური პრინციპების ნამდვილი გამარჯვების მკაფიო დადასტურება. და რაც უფრო წინ წაიწევს ჩვენი საზოგადოება კომუნიზმის მშენებლობის გზაზე, მით უფრო სრულად გამოიკვეთება ახალ კონსტიტუციაში ასახული სოციალისტური დემოკრატიის — ხალხის ხელისუფლების, ხალხის ინტერესებისათვის ხელისუფლების უდიდესი შემოქმედებითი შესაძლებლობანი“[1].

სოციალისტური სახელმწიფოს ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს, საბჭოთა პარლამენტის ამ ისტორიულ გადაწყვეტილებას წინ უძღოდა ახალი კონსტიტუციის საერთო-სახალხო განხილვა, რაც ჩვენი ხალხის პოლიტიკური სიმწიფის, კომუნისტური იდეალებისადმი მისი ერთგულებისა და პარტიის წინაშე მტკიცე დარაზმულობის ნაკაფიო და ამაღელვებელ დემონსტრაციად გადაიქცა. ხალხის ასეთი აქტიურობა ისტორიას არ ახსოვს. შეიძლება ითქვას, რომ კონსტიტუციის, თავის ცხოვრების ძირითადი კანონის შემოქმედი გახდა ქვეყნის ბატონ-პატრონი — საბჭოთა ხალხი. ეს ხაზგასმით აღინიშნა სესიაზე და ამას ადასტურებს რამდენიმე მონაცემიც: კონსტიტუციის განხილვაში მონაწილეობა მიიღო დაახლოებით ასორმოცმა მილიონნ-ა კაცმა, რაც ჩვენი ქვეყნის მოზრდილი მოსახლეობის ოთხ მეხუთედზე მეტია. სოფლად და ქალაქად გაიმართა მშრომელთა მილიონნახევარი კრება. პროექტი განიხილეს ოთხასორმოცდაათი ათასზე მეტ პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში, რომელთა კრებებზეც სიტყვით გან-ვიდა სამ მილიონზე მეტი კაცი. მშრომელთა დეპუტატების ყველა საბჭომ, ორ მილიონზე მეტმა დეპუტატმა იმსჯელა თავიანთ ფორუმებზე კონსტიტუციის პროექტის შესახებ. იგი განიხილეს საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შემოქმედებითი გაერთიანებების, კოოპერაციის წევრთა საერთო კრებებზე, ჯარის ნაწილებში, ხელისუფლების და მასობრივი ინფორმაციის ორგანოებში მშრომელთა ასეულ ათასობით წერილი იგზავნებოდა. სულ მიღებულ იქნა ოთხას ათასამდე წინადადება ცალკეული ნუხლის შეცვლის, შესწორებისა და რედაქციული გაუმჯობესების თაობაზე. თუ რაოდენ ღრმა აზრი ჰქონდა კონსტიტუციის პროექტის ასე მასშტაბუ-

---

1 ლ. ი. ბრეჟნევი, საბოლოო სიტყვა სსრ კავშირის მე-9 მოწვევის რიგგარეშე მე-7 სესიაზე, გაზეთი „კომუნისტი“, 1977 წლის 8 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად განხილვას, ეს იქიდან ჩანს, რომ საკონსტიტუციო კომისიამ ბევრი არსებითი, საგულისხმო და სასარგებლო ცვლილება შეიტანა კონსტიტუციაში, დაზუსტა და შეავსო ზოგიერთი დებულება, რედაქციულად დახვეწა პროექტი. ასეთი ცვლილება შეეხო 110 მუხლს, ერთი მუხლი კი ახლად შემუშავდა. ამის შედეგად ზოგიერთი მუხლი უფრო ნათლად ჩამოყალიბდა და გასაგები გახდა. ეს განსაკუთრებით შეეხება იმ მუხლებს, რომლებიც აწესრიგებს შრომას სოციალიზმის დროს, მშრომელთა კოლექტივების მნიშვნელობას, სახალხო დოვლათისადმი დამოკიდებულებას, აგრეთვე სოციალისტური დემოკრატიის საკითხებს.

კონსტიტუციის პროექტი მთელი მსოფლიოს საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში მოექცა. ოთხ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში მას გულმოდგინედ, დიდი ყურადღებით, ამხანაგურად განიხილავდენ მოძმე სოციალისტური ქვეყნები, რომლებისთვისაც კონსტიტუციის პროექტს მათი განვითარების პერსპექტივების განსაზღვრისათვის გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტი უყურადღებოდ არ დაუტოვებიათ კაპიტალისტური სამყაროს სახელმწიფო და პოლიტიკურ მოღვაწეებს, მასობრივი ინფორმაციის ორგანოებს, რომლებმაც ვერ დაუმალეს თავიანთ ხალხს, თუ რა დიდი უფლებებით და თავისუფლებებით აღჭურვა ახალმა კონსტიტუციამ საბჭოთა ადამიანები.

სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო კაპიტალისტური ქვეყნების კომპარტიათა პრესამ. საფუძვლიანი, ყოველმხრივი ანალიზის შედეგ მათ საუკეთესო შეფასება მისცეს ამ დიდმნიშვნელოვან პოლიტიკურ დოკუმენტს.

შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ სსრ კავშირის კონსტიტუციის განხილვა ნამდვილად საერთაშორისო ხასიათისა იყო.

ამის თაობაზე თავის გამოსვლაში 1977 წლის 4 ოქტომბერს ლ. ი. ბრეჟნევმა შემდეგი განაცხადა: „დიდი გულწრფელი ინტერესი და მხურვალე მოწონება, რომლითაც ჩვენი კონსტიტუციის პროექტს შეხვდენ მთელი მსოფლიოს მშრომელი მასები, სიამაყით გვივსებს გულს საბჭოთა ხალხის წარმატებებისათვის, გვეხმარება, რომ კიდევ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ მათი დიდი ინტერნაციონალური მნიშვნელობა“[2].

სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციაში საკანონმდებლო წესით არის განმტკიცებული სოციალისტური კანონიერების პრინციპი. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ჩვენს ქვეყანაში სულ უფრო მეტად იზრდება სამართლისა და კანონიერების სოციალური ღირებულება. კონსტიტუცია აწესებს, რომ საბჭოთა სახელმწიფო, ყველა მისი ორგანო, თანამდებობის ყველა პირი მოვალეა მთელ თავის საქმიანობაში განუხრელად იხელმძღვანელოს სოციალისტური კანონიერების პრინციპით, დაუდოს იგი საფუძვლად მართლწესრიგის განმტკიცებას, საზოგადოების ინტერესებისა და მოქალაქეთა უფლებების დაცვას. პირველად საბჭოთა კონსტიტუციის მშენებლობის პრაქტიკაში შეტანილია მუხლი, რომლის მიხედვითაც კონსტიტუციის ფარგლებშივე მოქმედებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია. ეს ლენინური პრინციპი, რომლი-

[2] ლ. ი. ბრეჟნევი, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) პროექტისა და მისი საყოველთაო სახალხო განხილვის შედეგების შესახებ, გაზეთი „კომუნისტი“, 1977 წლის 5 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაც ყოველთვის ხელმძღვანელობდა კომუნისტური პარტია, ამიერიდან ფიქსირებულია ქვეყნის ძირითად კანონში, სხვაგვარად, რომ ვთქვათ იგი საკონსტიტუციო მოთხოვნად იქცა.

სსრ კავშირი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოა. 1936 წლის კონსტიტუციის მიღების შემდეგ, ორმოცი წლის მანძილზე, ეროვნებათა ურთიერთდაახლოების, ახალი ისტორიული ერთობის — საბჭოთა ხალხის ჩამოყალიბების და ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის შედეგად ჩვენს ქვეყანაში ძირეული ცვლილებები მოხდა. საბჭოთა საზოგადოების მომავალი განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა თუ როგორ აისახებოდა ახალ კონსტიტუციაში ეს ცვლილებები. ზოგიერთის აზრით, საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების თანამედროვე ეტაპზე თითქოს აღარ იყო საჭირო მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკის არსებობა, წამოაყენეს წინადადება ერთიანი საბჭოთა ერის ცნების შემოღების შესახებ და სხვა. უპასუხა რა ამ წინადადებათა ავტორებს, ლ. ი. ბრეჟნევმა თავის მოხსენებაში სესიაზე შემდეგი განაცხადა: „ასეთ წინადადებათა მცდარობა აშკარაა. საბჭოთა ხალხის სოციალურ-პოლიტიკური ერთიანობა სულაც არ ნიშნავს ეროვნულ განსხვავებათა გაქრობას. ლენინური ეროვნული პოლიტიკის თანმიმდევრული განხორციელების მეოხებით ჩვენ სოციალიზმი რომ ავაშენეთ, ამავე დროს, ისტორიაში პირველად, წარმატებით გადავწყვიტეთ ეროვნული საკითხი. ურღვევია საბჭოთა ხალხის მეგობრობა. კომუნისტური მშენებლობის პროცესში განუხრელად მიმდინარეობს მათი დაახლოება, მათი სულიერი ცხოვრების ურთიერთგამდიდრება. მაგრამ ჩვენ საშიშ გზას დავადგებოდით, ხელოვნურად რომ დაგვეწყო ერების დაახლოების ამ ობიექტური პროცესის დაჩქარება“[3].

სსრ კავშირის ახალმა კონსტიტუციამ არა თუ შეკვეცა, არამედ შეინარჩუნა და ბევრი ახალი ნიშნითაც გაამდიდრა მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენიტეტი.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციით შობილი პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფო ამჟამად მსოფლიოში პირველ საერთო-სახალხო სახელმწიფოდ გადაიქცა და ეს კანონზომიერი მოვლენაა. სწორედ სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია განსაზღვრავს საერთო-სახალხო სახელმწიფოს მოღვაწეობის მაგისტრალურ მიმართულებებს. ამ სახელმწიფოს საბოლოო და უმაღლესი მიზანია უკლასო კომუნისტური საზოგადოების აშენება. ამ პირობებში საბჭოთა სახელმწიფო თავის მოქალაქეებს უზრუნველყოფს დღემდე არნახული უფლებებითა და თავისუფლებით, მაგრამ ამასთან ერთად ზრდის მათს პასუხისმგებლობასაც ნთელი საზოგადოების წინაშე. უფლება და მოვალეობა განუყოფელია. საერთო-სახალხო სახელმწიფოში არ შეიძლება ცალკეულმა ინდივიდმა თავისი უფლებები გამოიყენოს მთელი საზოგადოების წინააღმდეგ. უფლებების დანიშნულება ის როდია, რომ მან ზიანი მიაყენოს სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობას. ამიტომ არის, რომ ახალი კონსტიტუცია ზღუდავს ანტიხალხურ ელემენტებს, თუ ისინი შეეცდებიან თავიანთი უფლებები სოციალისტური სახელმწიფოს, საბჭოთა ხალხის საწინააღმდეგოდ გამოიყენონ. და ეს სავსებით კანონზომიერია.

---

[3] ლ. ი. ბრეჟნევი, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) პროექტისა და მისი საყოველთაო სახალხო განხილვის შედეგების შესახებ. გაზეთი „კომუნისტი“, 1977 წლის 5 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვას ერთი თავისებურება ჰქონდა. იგი გასცდა კონსტიტუციის ტექსტის ანალიზის ფარგლებს. არსებითად დიდი სჯა-ბაასი გაიმართა ჩვენი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი პრობლემების, განსაკუთრებით ნოუგვარებელი საკითხებისა და არსებულ ნაკლოვანებათა ირგვლივ. მშრომელთა კოლექტივები, ცალკეული მოქალაქენი თავიანთ წერილებში გულახდილად და მწვავედ აკრიტიკებდენ მმართველობის ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს იმის გამო, რომ ჯერ კიდევ არის ბიუროკრატიზმისა და უსულგულობის ფაქტები. ისინი სამართლიანად აღნიშნავდნენ, რომ ასეთი ანტიპოდები შეუთავსებელია ცხოვრების საბჭოურ წესთან და აყენებდნენ საქმიან წინადადებებს მუშაობის ნკვეთრად გაუმჯობესებისათვის.

მშრომელთა ბევრ წერილში იგრძნობოდა შეშფოთება იმის გამო, რომ ყველგან ჯერ კიდევ არ არის გაჩაღებული გადამწყვეტი ბრძოლა უდისციპლინობის, მუქთახორობის, ლოთობის, სხვა ანტისაზოგადოებრივი მოვლენების, აგრეთვე დამნაშავეობის წინააღმდეგ. თავის გამოსვლაში სსრ კავშირის მე-9 მოწვევის რიგგარეშე მეშვიდე სესიაზე ლ. ი. ბრეჟნევმა ანის თაობაზე თქვა: „მთელ რიგ წერილებში იუწყებიან აღმაშფოთებელ ფაქტებს, რომ ცალკეული თანამდებობის პირნი, ბოროტად იყენებენ თავიანთ სამსახურებრივ მდგომარეობას, გვაცნობებენ წამატების, თვალის ახვევის გზით სახელმწიფოს მოტყუების, მექრთამეობის შესახებ; ნშრომელთა მოთხოვნილებებისადმი უსულგულო, ფორმალური მიდგომის შესახებ; კრიტიკისათვის დევნის შემთხვევების შესახებ.

მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, ამხანაგებო, რომ ყველა ამგვარი ნიღებული ცნობა გულდასმით მოწმდება იმ მიზნით, რომ საჭირო ღონისძიებანი განვახორციელოთ, კერძოდ, კანონის მთელი სიმკაცრით დავსაჯოთ დამნაშავენი. და საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ჯეროვანი წესრიგის დამყარება იქ, სადაც იგი ჩვენში ირღვევა, — წარნოებაში, სახელმწიფო, საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ჩვენი საზოგადოების განვითარების დიდი რეზერვია. როცა ბოლოს მოვუღებთ ისეთ მოვლენას, როგორიც არის დაუდევრობა შრომაში, სოციალისტური საკუთრების განიავება, ფორმალურ-ბიუროკრატიული მიდგომა საქმისა და ადამიანებისადმი, ჩვენ დიდად დავაჩქარებთ ქვეყნის წინსვლას, მთელი ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებას“[4].

სამართალდამცველმა ორგანოებმა — პროკურატურამ, ნილიციამ, სასამართლომ ლ. ი. ბრეჟნევის ამ სახელმძღვანელო მითითებიდან საჭირო პრაქტიკულ-პოლიტიკური დასკვნები უნდა გამოიტანონ და უფრო შეურიგებელი, პრინციპული ბრძოლა გამოუცხადონ ყოველივე უცხოს ჩვენს გარშემო, განამტკიცონ სახელმწიფო, შრომის და საშემსრულებლო დისციპლინა, ყოველმხრივ დაიცვან საერთო-სახალხო საკუთრება დანაშაულებრივი ხელყოფისაგან, უზრუნველყონ პროდუქციის ხარისხის ამაღლების სამართლებრივი საშუალებებით მართვა, მექრთამეობის, თანამდებობრივი დანაშაულის, უკანონობის ამოძირკვა.

ადმინისტრაციული ორგანოებისათვის, რომელთა მოვალეობაა იდგნენ

---

4 ლ. ი. ბრეჟნევი, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) პროექტისა და მისი საყოველთაო სახალხო განხილვის შედეგების შესახებ, გაზეთი „კომუნისტი“, 1977 წლის 5 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლწესრიგის განმტკიცების, დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის მოწინავე ხაზზე, მთავარ მიმართულებად უნდა იქცეს საწარმოთალდარღვევათა პროფილაქტიკა, კუთხურობის, ვიწრო უწყებრივი მიდგომის აღკვეთა, რათა ის შემდეგ არ გადაიზარდოს სახელმწიფო დისციპლინის უფრო მძიმე დარღვევაში და დანაშაულშიც კი. ამ ამოცანების გადაწყვეტა კი შეუძლებელია, თუ არ გავაღრმავებთ საზოგადოებრიობასთან კავშირს. ცხოვრება გვიჩვენებს, რომ საშარმოთალდარღვევა უმთავრესად იქ ხდება, სადაც სუსტია აღმზრდელობითი მუშაობა, სადაც შემრიგებლობას იჩენენ ობივატელური ფსიქოლოგიისადმი, არ ზრუნავენ მშრომელთა კოლექტივების როლის ამაღლებისათვის და არ რაზმავენ ყველას საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის სულისკვეთებით.

რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოები დანაშაულის თავიდან აცილებაში სათანადოდ ვერ იყენებენ თავიანთ საიმედო მოკავშირეებს — ამხანაგურ სასამართლოებს, ნებაყოფლობითს სახალხო რაზმელებს, სახალხო კონტროლის ჯგუფებს და პოსტებს. ამასთან ერთად მშრომელთა ბევრი კოლექტივი ჩაბმული არ არის შრომა-გასწორების დაწესებულებებიდან დაბრუნებული პირების ხელახალი აღზრდის საქმეში.

ჩვენი ქვეყნის კონსტიტუცია, სსრ კავშირის ნე-9 მოწვევის რიგგარეშე მე-7 სესიაზე ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება, მარქსიზმ-ლენინიზმის უბადლო დოკუმენტებია და საზოგადოებრივი მეცნიერების განვითარებაში შეტანილი დიდი წვლილია. მისი მიღება ძალზე სერიოზულ ამოცანებს აყენებს საქართველოს სწავლული იურისტების წინაშე. ისინი მოვალენი არიან თავიანთი ფუნდამენტური გამოკვლევებით ყოველმხრივ დაამუშაონ, გააშუქონ ის თეორიული პრობლემები, რომლებიც გამომდინარეობს სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციიდან და ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებიდან. ამასთან ერთად მათ პრაქტიკული მონაწილეობა უნდა მიიღონ რესპუბლიკის, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციების შემუშავებაში, მათს განხილვაში. აქტიურად ითანამშრომლონ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან, რათა მოქმედი კანონმდებლობა გადაამუშაონ კონსტიტუციის შესაბამისად, აგრეთვე გამოცემისათვის კანონების კრებულების მოსამზადებლად.

1977 წლის 7 ოქტომბერს ახალმა კონსტიტუციამ დაიწყო მოქმედება, სიცოცხლე, მუშაობა. „ეს ნიშნავს — თქვა ლ. ი. ბრეჟნევმა, — რომ თითოეული მუხლი, თითოეული მისი დებულება მთლიანად უნდა დამკვიდრდეს ყველა სახელმწიფო ორგანოს, ყველა თანამდებობის პირის, ყველა საბჭოთა მოქალაქის საყოველთაო და ყოველდღიური საქმიანობის ცოცხალ პრაქტიკაში. ჩვენ კონსტიტუცია დეკორაციისათვის როდი შევქმენით. იგი უნდა სრულდებოდეს და შესრულდება ყველა მის ნაწილში. იგი უნდა გახდეს და კიდევაც გახდება სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარებისა და გაღრმავების მძლავრი საშუალება“[5]

—სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია ის შუქურაა, რომელიც მთელი ჩვენი პლანეტის ჩაგრულ ხალხებს უჩვენებს ექსპლოატაციისაგან თავის დაღწევის გზას, უჩვენებს მათ, რომ მომავალი კომუნიზმს ეკუთვნის.

---

[5] ლ. ი. ბრეჟნევი, საბოლოო სიტყვა სსრ კავშირის მე-9 მოწვევის რიგგარეშე მე-7 სესიაზე, გაზეთი „კომუნისტი“, 1977 წლის 8 ოქტომბერი.

სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია და სოციალისტური კანონიერების ამოცანები

პროფ. თ. წერეთელი

ყოველი ქვეყნის ცხოვრებაში სახელმწიფოს ძირითადი კანონის, კონსტიტუციის, მიღებას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭება. მაგრამ სრულიად განსაკუთრებული მოვლენაა საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღება, რომლის მნიშვნელობა სცდება ერთი ქვეყნის ფარგლებს და მსოფლიო-ისტორიულ ფაქტად გვევლინება. ეს გასაგებიცაა. საბჭოთა კავშირის 1977 წლის კონსტიტუცია იურიდიულად აფორმებს სრულიად ახალ, აღმავალ საფეხურს საბჭოთა სახელმწიფოს განვითარებაში, მეტად დიდმნიშვნელოვან ეტაპს სოციალისტური დემოკრატიის გაშლაში. იგი არის მსოფლიოში პირველი, განვითარებული სოციალიზმის კონსტიტუცია, რომელშიც აისახა მომწიფებულ სოციალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობათა კომუნისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობებად თანდათანობითი გადაზრდის პროცესი და პროლეტარიატის დიქტატურის სახელმიწფოს გადაზრდა საერთო-სახალხო სახელმწიფოდ.

ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვის დროს არაერთხელ იყო მითითებული, რომ იგი ცარიელ ადგილზე არ აღმოცენებულა, რომ მასში ასახულია ყველა ის ფუძემდებლური იდეა, რამაც 60 წლის გამოცდილებას გაუძლო, ლენინური დებულებები, პარტიის XXIV და XXV ყრილობათა გადაწყვეტილებები, წინა კონსტიტუციების ის ნორმები, რომლებმაც დღემდე შეინარჩუნა თავისი ცხოველმყოფელობა, საერთოდ, ყოველივე ის, რაც მისაღებია ჩვენი დღევანდელი სინამდვილისათვის. ერთ-ერთი ასეთი იდეა, რომელიც საბჭოთა სახელმწიფოს თან ახლავს მისი არსებობის პირველივე დღიდან — ეს არის სოციალისტური კანონიერების პრინციპი.

ვლადიმერ ილიას ძე ლენინი სოციალისტური კანონიერების, ან როგორც მაშინ ამბობდნენ „რევოლუციური კანონიერების“ პრინციპს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. ვ. ი. ლენინისათვის კანონიერება იყო ახალი რევოლუციური კანონმდებლობის სრულყოფილი სისტემის შექმნა და სამართლებრივი ნორმის მოთხოვნათა მკაცრად, განუხრელად და ერთგვაროვნად გატარება ცხოვრებაში, როგორც თანამდებობის პირების, ისე მოქალაქეების მიერ. ლენინის იდეებმა კანონიერების შესახებ გამოხატულება ჰპოვეს საბჭოთა ხელისუფლების პირველსავე დეკრეტებში, დადგენილებებში და პირველ საბჭოთა კონსტიტუციაში. ამ კონსტიტუციის თანახმად ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს უფლება ჰქონდათ გაეუქმებინათ ან შეეჩერებინათ ყოველი დადგენილება ან გადაწყვეტილება, რომელიც კანონებს ეწინააღმდეგებოდა. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების ერთი წლის თავზე, 1918 წლის 8 ნოემბერს, სრულიად რუსეთის საბჭოების საგანგებო ყრილობამ მიიღო სპეციალური დადგენილება „კანონების ზუსტად შესრულების შესახებ“. ამ დადგენილებას საფუძვლად დაედო ვლადიმერ ილიას ძე ლენინის მიერ 1918 წლის

2 ნოემბერს შედგენილი თეზისები, რომლებშიც მითითებული იყო, რომ „კანონიერება უნდა გაძლიერდეს (ან დაცული იქნეს უმკაცრესად), ვინაიდან რსფსრ-ის კანონთა საფუძვლები უკვე დადგენილია“[1].

სოციალისტური კანონიერების პრინციპს ჩვენს ქვეყანაში ყოველთვის ერთნაირი სიზუსტით და სიმკაცრით როდი იცავდნენ. იყო მომენტები, როდესაც მისი განხორციელება მეტად თუ ნაკლებად სუსტდებოდა. ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა მოხსენებაში სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ა. წ. მაისის პლენუმზე მოგვაგონა ის უკანონო რეპრესიები, სოციალისტური დემოკრატიის პრინციპის დარღვევები, პარტიული და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ლენინური ნორმებიდან გადახვევის ფაქტები, რასაც ადგილი ჰქონდა ჩვენი საზოგადოების ცხოვრების ცალკეულ წლებში. მოგვაგონა იმისათვის, რათა ეთქვა — ყოველივე ეს ანტიკონსტიტუციურია და არასდროს აღარ უნდა განმეორდესო.

იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც კანონიერების დარღვევას, ვითომდა, რაიმე სასარგებლო მიზნის მიღწევის აუცილებლობით ამართლებდნენ. არც თუ ისე შორეულ წარსულში აქა-იქ გაისმოდა ხმები, რომ ზოგიერთ შემთხვევაში კანონებმა უკან უნდა დაიხიონ და გზა დაუთმონ მიზანშეწონილებას, თუ ამას რაიმე უფრო მნიშვნელოვანი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესი მოითხოვსო. ამ მანკიერი შეხედულებით შეიარღებული ზოგიერთი თანამდებობის პირი, რომელიც თავს იმართლებდა თავისი ორგანიზაციის ყალბად გაგებული ინტერესებით (ზოგჯერ იგი ამას გულწრფელადაც აკეთებდა), მაგალითად, მეორე საწარმოდან საქონლის მიღების დაჩქარების მიზნით, ან რკინიგზიდან საქონლის დასატვირთად ვაგონების დროულად მიღებისათვის, ცდილობდა გადაეცა საწარმო-მიმწოდებლისათვის უკანონო გასამრჯელო ან სხვაგვარად გვერდი აევლო კანონისათვის. შესაძლებელია უშუალოდ იმ მომენტში კანონის ასეთმა გვერდის ავლამ მართლაც მისცეს უკანონოდ მოქმედს რაიმე სასურველი ეფექტი, მაგრამ იგი ამ ეფექტს აღწევს კანონიერების პრინციპის დარღვევით. ეს პრინციპი კი დიდი სოციალური ღირებულებაა და, საბოლოო ანგარიშით, საზოგადოებას (ზოგჯერ კი თვით იმასაც, ვინც იგი დაარღვია) ძვირად უჯდება. სამართლის ნორმების დარღვევას თან სდევს თვითნებობა, დისციპლინის მოშლა, სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის დეზორგანიზაცია, ნორმის დამრღვევი პიროვნების ზნეობრივი დეგრადაცია, ხოლო სხვა მოქალაქეთა თვალში კანონებისა და მთლიანად მართლწესრიგის გაუფასურება.

სოციალისტური კანონიერების განმტკიცების აუცილებლობას განსაკუთრებით დიდი ყურადღება მიექცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV და XXV ყრილობებზე. საანგარიშო მოხსენებაში XXIV ყრილობას სპეციალურად აღინიშნა: „ვერ შევურიგდებით კანონის დარღვევის თუ მისთვის გვერდის ავლის ვერავითარ ცდებს, როგორც უნდა ასაბუთებდნენ მათ. ვერ შევურიგდებით ვერც პიროვნების უფლებათა დარღვევას, მოქალაქის უფლებათა შელახვას“[2].

უკანასკნელი წლების განმავლობაში ბევრი რამ გაკეთდა სოციალისტური

---

1 ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 37. გვ. 129.

2 ლ. ი. ბრეჟნევი, მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობას, სკკპ XXIV ყრილობის მასალები, 1971. გვ. 103.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონიერების განმტკიცებისათვის. შეიქმნა მწყობრი სისტემა კანონთა ახალი საფუძვლებისა სხვადასხვა სფეროში, მუდმივად უმჯობესდება და სრულყოფილი ხდება კანონმდებლობა, სასტიკი ბრძოლა აქვს გამოცხადებული ბიუროკრატიულ დამახინჯებებს და ხელისუფლების გადამეტებას თანამდებობის პირთა მიერ, შექმნილია მოქალაქეთა უფლებების დაცვის უფრო სრულყოფილი გარანტიები.

კანონიერების პრინციპი საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების სხვადასხვა ეტაპზე თანდათანობით უფრო იხვეწებოდა, ღრმავდებოდა და დემოკრატიული ხდებოდა. მაგრამ ყველა ეტაპზე უცვლელად რჩებოდა ის, რომ ეს პრინციპი თავისი ბუნებით სოციალისტური და საერთო-სახელმწიფოებრივია. უცვლელი რჩება მისი ლენინური არსი, რომელიც შეიძლება ამგვარად იქნეს განმარტებული: კანონიერებისა და მართლწესრიგის მუდმივი განმტკიცება იმ მიზნით, რათა უზრუნველყოფილ იქნას სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მმართველობის ორგანიზებულობა და მოქალაქეთა მზარდი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა. ამიტომ თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელი დღის სოციალისტური კანონიერება საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების წინა ეტაპების კანონიერების შემდგომი განვითარება და სრულყოფაა.

ახალმა კონსტიტუციამ კანონიერების პრინციპი უმაღლეს საფეხურზე აიყვანა. იგი აქ ფუძემდებლურ პრინციპადაა გამოცხადებული. იგი მოხსენებულია მეოთხე მუხლში, თავში „პოლიტიკური სისტემის შესახებ", რითაც ხაზგასმულია კანონიერების პრინციპის მაორგანიზებელი მნიშვნელობა ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრებისათვის. მისი არსი ნათლად, ზუსტად და სხარტად არის ფორმულირებული მე-4 მუხლში:

„საბჭოთა სახელმწიფო და მისი ყველა ორგანო მოქმედებენ სოციალისტური კანონიერების საფუძველზე, უზრუნველყოფენ მართლწესრიგის, საზოგადოების ინტერესების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას.

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები და თანამდებობის პირნი მოვალენი არიან იცავდნენ სსრ კავშირის კონსტიტუციას და საბჭოთა კანონებს".

ასეთი ნორმა წინა კონსტიტუციაში არ იყო. იქ კანონიერების პრინციპი გათვალისწინებული იყო მხოლოდ თავში — მოქალაქეთა უფლებებისა და მოვალეობების შესახებ. ახალი კონსტიტუცია კი, უპირველეს ყოვლისა, ითვალისწინებს კანონიერების პრინციპს, როგორც მთელი სახელმწიფოსა და მისი ყველა ორგანოს, აგრეთვე ყველა თანამდებობის პირის ერთ-ერთ ძირითად სახელმძღვანელო პრინციპს, რომელიც უზრუნველყოფს მთლიანად მართლწესრიგის, საბჭოთა საზოგადოების ინტერესების და მოქალაქეთა უფლებების დაცვას.

კანონიერების პრინციპის გამოვლინებას ვხვდებით სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მრავალ მუხლში, თითქმის ყველა მის კარში. მათ შორის განსაკუთრებით ღირსშესანიშნავია მუხლები, რომლებიც მოთავსებულია მეორე კარში (სახელმწიფო და პიროვნება) და მეშვიდე კარში (მართლმსაჯულება, არბიტრაჟი, პროკურატურა).

ახალი კონსტიტუციის მეორე კარი იმდენად მდიდარია, როგორც მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების გაღრმავებისა და გაფართოების,

ისე მათი განხორციელების მრავალგვაროვანი გარანტიების ზრდისა და სრულყოფის მხრივ, რომ მისი თითოეული მუხლი ზედმიწევნითი შესწავლის საგანი შეიძლება გახდეს და გახდება კიდეც. ამჟამად ამ კარს მხოლოდ კანონიერების პრინციპის ასახვის თვალსაზრისით ვეხებით. უკვე მის პირველსავე, ე. ი. 39-ე მუხლში ვხვდებით ამ პრინციპის გამოვლინებას. „სსრ კავშირის მოქალაქეებს, — ნათქვამია ამ მუხლში, — სრულად აქვთ მინიჭებული სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და პირადი უფლებები და თავისუფლებები, რომლებიც გამოცხადებული და გარანტირებულია სსრ კავშირის კონსტიტუციით და საბჭოთა კანონებით“. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ამ მხრივ 54-58 მუხლებს, რომლებიც ეხება მოქალაქეთა სხვადასხვა უფლებების დაცვას კანონის მიერ. კერძოდ, 54-ე მუხლის თანახმად, საბჭოთა კავშირის მოქალაქეებს გარანტირებული აქვთ პიროვნების ხელშეუხებლობა. „არ შეიძლება ვისიმე დაპატიმრება ისე, თუ არ იქნა საფუძველი —სასაჯართლოს გადაწყვეტილება ან პროკურორის სანქცია“. 1936 წლის კონსტიტუციაში ბინის ხელშეუხებლობის უფლება და მიმოწერის საიდუმლოების დაცვა ერთ მუხლში იყო მოთავსებული. ახალ კონსტიტუციაში ბინის ხელშეუხებლობას დაეთმო 55-ე მუხლი, ხოლო 56-ე მუხლში მოცემულია გაცილებით უფრო ფართო შინაარსის შემცველი ნორმა: „მოქალაქეთა პირად ცხოვრებას, მიმოწერის, სატელეფონო საუბრებისა და სატელეგრაფო შეტყობინების საიდუმლოს კანონი იცავს“. თავისთავად ცხადია ეს ნორმები უნდა აისახოს და შემდგომ განვითარდეს საპროცესო, აგრეთვე სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციული სამართლის ნორმებში. კანონიერების პრინციპი გამოხატულია აგრეთვე 57-ე მუხლში, სადაც ნათქვამია: „მოქალაქეთა პიროვნების პატივისცემა, მის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა ყველა სახელმწიფო ორგანოს, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და თანამდებობის პირების მოვალეობაა“. ამავე მუხლის მეორე ნაწილში კი მითითებულია: „სსრ კავშირის მოქალაქეებს აქვთ პატიოსნებისა და ღირსების, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, პირადი თავისუფლებისა და ქონების ხელყოფისაგან სასამართლო დაცვის უფლება“.

მაშასადამე, ახალი კონსტიტუცია აწესებს არა მარტო ეკონომიკურ, სოციალურ და საერთოდ მატერიალურ გარანტიებს მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელებისათვის, არამედ აცხადებს ამ უფლებებისა და ინტერესების დაცვის მოვალეობას სახელმწიფო ორგანოების მხრივ სამართლებრივი საშუალებებით. ეს თვალსაჩინოდ გვიჩვენებს, თუ როგორ არის დაკავშირებული კანონიერების პრინციპის განმტკიცება დემოკრატიზმის გაღრმავებასა და განვითარებასთან.

მეორე კარის სხვა ნორმებშიც მკაფიოდ ვლინდება ახალ კონსტიტუციაში ასახული ეს მჭიდრო კავშირი ჩვენი სახელმწიფოს შემდგომ დემოკრატიზაციასა და კანონიერების განმტკიცებას შორის. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ახალი კონსტიტუციის 58-ე მუხლი, რომელშიც გათვალისწინებულია მოქალაქის მიერ ადმინისტრაციული ორგანოს აქტების გასაჩივრების წესი. ამ მუხლის პირველ ნაწილში მითითებულია თანამდებობის პირთა მოქმედების გასაჩივრების ჩვეულებრივ, ადმინისტრაციულ წესზე, ე. ი. საჩივრის შეტანაზე ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოებში. ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილში აღნიშნულია, რომ თანამდებობის პირის ისეთი მოქმედება, რომელიც არღვევს კანონს, ან ამეტებს თანამდებობის პირის უფლებამოსილებას

ან ლახავს მოქალაქეთა უფლებებს, შეიძლება კანონით დადგენილი წესისამებრ გასაჩივრდეს სასამართლოში. დაბოლოს, მესამე ნაწილში კონსტიტუციურ პრინციპად არის გამოცხადებული მოქალაქის უფლება აინაზღაუროს ზარალი, რაც მას უკანონო მოქმედებით მიაყენეს სახელმწიფო და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, აგრეთვე თანამდებობის პირებმა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას.

ადმინისტრაციული ორგანოების უკანონო გადაწყვეტილებების სასამართლო წესით გასაჩივრება დიდად შეუწყობს ხელს კანონიერების შემდგომ განმტკიცებას. რასაკვირველია, ეს ნორმა ცარიელ ადგილზე არ წარმოშობილა. დღევანდლამდეც იყო ცალკეული შემთხვევები, როდესაც მოქალაქეებს მინიჭებული ჰქონდათ ადმინისტრაციულ დარღვევათა გასაჩივრების უფლება. ასე მაგალითად, მომუშავეს უფლება აქვს გაასაჩივროს მისი სამუშაოდან განთავისუფლება, თუ ეს მოხდა კანონიერი საფუძვლებისა და პროფკავშირის ნებართვის გარეშე. სასამართლოს ჩვეულებრივად ასეთ შემთხვევებში გამოაქვს გადაწყვეტილება მომუშავის სამუშაოზე აღდგენის შესახებ, რაც თვალნათლივ ადასტურებს სასამართლო განხილვის ეფექტიანობას. სასამართლო წესით შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს საბინაო ორგანოს უარი ბინის გაცვლაზე, სამშენებლო-საბინაო კოოპერატივის სახლში ადგილობრივი საბჭოს მიერ ბინის ორდერის გაცემა, თუ დარღვეულია კოოპერატივის საერთო კრების დადგენილება. არის რამდენიმე სხვა შემთხვევაც. მაგრამ ყველაფერი ეს გამონაკლისია საერთო წესიდან. ხოლო ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული უკანონო აქტების შემოწმება სასამართლოს მიერ არა როგორც გამონაკლისი, არამედ როგორც საერთო წესი, პირველად სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციაში ჩაიწერა. ამ ნორმას ნამდვილად უდიდესი მნიშვნელობა ექნება მოქალაქეთა უფლებების დაცვისათვის.

ეჭვს გარეშეა, რომ სასამართლო განხილვა უზრუნველყოფს მოქალაქისათვის საქმის გადაწყვეტის მეტ ობიექტურობას და საფუძვლიანობას, ვიდრე მისი ადმინისტრაციული წესით განხილვა. სასამართლოსათვის უცხოა ის ვიწრო, უწყებრივი ინტერესები, რომლებსაც შეიძლება თავი ვერ დააღწიოს ზემდგომმა ადმინისტრაციულმა ორგანომ. სასამართლო სხდომა ღიად მიმდინარეობს, ამიტომ აქ შეუძლებელია რაიმე თვითნებობა, რისი გარანტიაც მოქალაქეს არა აქვს საქმის განხილვისას ადმინისტრაციულ ორგანოებში, ვინაიდან აქ განხილვა საჯაროდ არ მიმდინარეობს. გარდა ამისა, სასამართლოში მოქალაქის უფლებრივი სტატუსი სულ სხვაა: აქ იგი თანაბარი უფლებებითა და გარანტიებით აღჭურვილი პროცესუალური მხარეა. ამიტომ გასაგებია, რომ ადმინისტრაციული ორგანოების უკანონო აქტების სასამართლო წესით შემოწმებას მხარს უჭერენ ცნობილი საბჭოთა იურისტები. ჯერ კიდევ 1975 წელს ადმინისტრაციული სამართლის სპეციალისტთა ჯგუფი ასე წერდა ამ საკითხზე: „კანონიერების უზრუნველყოფის მნიშვნელოვან დემოკრატიულ საშუალებას წარმოადგენს მოქალაქეებისათვის იმ უფლების მინიჭება, რომ გაასაჩივრონ ადმინისტრაციული ორგანოების და თანამდებობის პირის ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს ეხება“[3].

როგორც საბჭოთა სამართლის ცნობილი თეორეტიკოსი ს. ბრატუსი აღ-

[3] М. И. Пискотин, Б. М Лазарев. О развитии науки советского административного права. «Советское государство и право». 1975, № 4, стр. 54

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიშნავს, სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციაში 58-ე მუხლის ფუძემდებლური დებულებების შეტანა „უეჭველად დიდ როლს შეასრულებს ბრძოლაში ბიუროკრატიზმის გაჭიანურების და ხელისუფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევებთან, რაც ჯერ კიდევ გვხვდება, მოქალაქეთა უფლებების დაცვაში, ადმინისტრაციული ორგანოების და მათი თანამდებობის პირების პასუხისმგებლობის ასამაღლებლად სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულების დროს“[4].

სსრ კავშირის კონსტიტუციის 58-ე მუხლის მეორე ნაწილის გაგებაში საბჭოთა იურისტებს შორის ერთგვარი უთანხმოებაა. პროფ. ს. ბრატუსის აზრით, 58-ე მუხლი გულისხმობს ჩხოლოდ გაფართოებას იმ ადმინისტრაციული დავებისა, რომელთა გამოც ადმინისტრაციული ორგანოს დადგენილება შეიძლება მოქალაქის მიერ გასაჩივრებულ იქნეს სასამართლოში. ამასთან დაკავშირებით პროფ. ს. ბრატუსს აუცილებლად მიაჩნია თვით კანონით ზუსტად იქნას დადგენილი ადმინისტრაციის იმ მოქმედებების ჩამოთვლა, რომელნიც შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლო წესით. კონსტიტუციის 58-ე მუხლის მე-2 ნაწილი — ამტკიცებს პროფ. ს. ბრატუსი — სწორედ ამას გულისხმობს „ვინაიდან ამ მუხლის ტექსტში ლაპარაკია თანამდებობის პირთა უკანონო მოქმედების სასამართლოში გასაჩივრების კანონით დადგენილ წესზე“[5].

ამ შეხედულებას არ შეიძლება დავეთანხმოთ. ადმინისტრაციული აქტების სასამართლოში გასაჩივრების შემთხვევები, როგორც თვით ს. ბრატუსიც აღნიშნავდა, აქამდეც არსებობდა და მათი გაფართოება ისედაც ხდებოდა. კონსტიტუციის 58-ე მუხლი სრულიადაც არ ლაპარაკობს ასეთი შემთხვევების გაფართოებაზე, იგი პირდაპირ და ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე მიუთითებს, რომ მოქალაქეს უფლება აქვს გაასაჩივროს სასამართლოში ადგილობრივი ორგანოს უკანონო მოქმედება, რომელიც ამეტებს მის უფლებამოსილებას და ლახავს მოქალაქეთა უფლებებს. ამ ნორმის შეზღუდვითი განმარტება არ შეესაბამება მის ნამდვილ დემოკრატიულ არსს. რაც შეეხება გასაჩივრებას კანონით დადგენილი წესით, აქ იგულისხმება მხოლოდ და მხოლოდ გასაჩივრებისა და საქმის განხილვის პროცესუალური წესები.

სოციალისტური კანონიერების დაცვას მეორე მხარეც აქვს. იგი გულისხმობს საბჭოთა კანონებისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების ნორმების შესრულებას მოქალაქეთა მხრივაც. ახალ კონტიტუციას არც ეს მომენტი გამორჩენია მხედველობიდან. მის ერთ-ერთ ძირითად იდეას წარმოადგენს ის, რომ მოქალაქის „უფლებათა და ნოვალეობათა განხორციელება განუყოფელია მოქალაქის მიერ თავის მოვალეობათა შესრულებისაგან“ (59-ე მუხლის I ნაწილი). ამის შესაბამისად სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციაში შეტანილია მეტად მნიშვნელოვანი ნორმა, რომელიც მეშვიდე თავის დასაწყისშივეა მოცემული, როგორც საბჭოთა მოქალაქის ძირითად მოვალეობათა პრინციპული საფუძველი. ამ ნორმის მიხედვით „მოქალაქეთა მიერ უფლებებისა და მოვალეობების გამოყენება არ უნდა ვნებდეს სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებს და სხვა მოქალაქეთა უფლებებს“ (39-ე მუხლის მეორე ნაწილი). ამ ძირითადი ნორმის კონკრეტიზაციას წარმოადგენენ კონსტიტუციის მუხლები, რომლებიც ავალებენ მოქალაქეს გაუფრთხილდეს სოციალისტურ

---

[4] С. Братусь. Юридическая культура и юрисдикция. «Советская юстиция». 1977. № 18. стр. 11.

[5] იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკუთრებას და დაიცვას იგი გატაცებისა და გაფლანგვისაგან (61-ე მუხლი). დაიცვას სოციალისტური სამშობლო (62-ე მუხლი) და სხვ. დაბოლოს, სოციალისტური კანონიერების საკითხის გადაჭრისათვის მეტად მნიშვნელოვანია 59-ე მუხლის მეორე ნაწილი, რომელშიც მითითებულია: „სსრ კავშირის მოქალაქე ვალდებულია იცავდეს საბჭოთა კავშირის კონსტიტუციას და საბჭოთა კანონებს, პატივს სცემდეს სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს"... (59-ე მუხლის მეორე ნაწილი).

გაოცებას იწვევს, რომ ზოგიერთი კაპიტალისტური ქვეყნის პრესა უარყოფითად გამოეხმაურა სსრ კავშირის კონსტიტუციის ხსენებულ მუხლებს. როგორც ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა განაცხადა თავის მოხსენებაში სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ ა. წ. 4 ოქტომბერს, კაპიტალისტური ქვეყნების ზოგიერთ გაზეთს არ მოსწონებია ის, რომ სსრ კავშირის კონსტიტუციაში შეტანილია ნორმა, რომელიც ავალებს საბჭოთა მოქალაქეებს კონსტიტუციისა და საბჭოთა კანონების დაცვას, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების შესრულებას.

მაგრამ განა არსებობს მსოფლიოში ისეთი სახელმწიფო, რომელიც არ მოითხოვს თავისი მოქალაქეებისაგან მის მიერ დადგენილი კანონების შესრულებას. და განა ყოველი ადამიანის უფლებისა და თავისუფლების გარანტიას არ წარმოადგენს ამ საზოგადოების წესების დაცვა საზოგადოების სხვა წევრის მიერ. წინააღმდეგ შემთხვევაში საზოგადოებაში სრული ანარქია დამკვიდრებოდა. ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა კარგად მოაგონა ამ ჟურნალისტებს, რომ ადამიანის უფლებათა დეკლარაციის თანახმად, რომელიც მიღებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელება მოითხოვს სხვების უფლებებისა და თავისუფლებების ჯეროვან აღიარებას და პატივისცემას, მორალის, საზოგადოებრივი წესრიგისა და საერთო კეთილდღეობის სამართლიანი მოთხოვნების დამკვიდრებას დემოკრატიულ საზოგადოებაში.

სსრ კავშირის კონსტიტუციის მეშვიდე თავში შეტანილია კიდევ ერთი ახალი ნორმა, რომელიც მოითხოვს მოქალაქისაგან არა მარტო იმას, რომ თვით დაიცვას სოციალისტური კანონიერება, არამედ აქტიურად ჩაებას სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის ბრძოლის საქმეში. ეს არის 65-ე მუხლი, რომელიც ავალებს მოქალაქეს „შეურიგებელი იყოს ანტისაზოგადოებრივი საქციელისადმი, ყოველნაირად ხელს უწყობდეს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას". ასეთი ნორმის შეტანას კონსტიტუციაში შეძლებდა მხოლოდ ისეთი საზოგადოება, რომელიც დარწმუნებულია თავის მოქალაქეთა მაღალ შეგნებულობაში, დარწმუნებულია, რომ ეს ნორმა მისი მოქალაქეების მიერ ნამდვილად შესრულდება, უფრო სწორად, სრულდება კიდევაც და კონსტიტუციაში იგი აისახა როგორც რეალური სინამდვილის გამოხატულება.

საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია ორგანულად უკავშირებს ერთმანეთს კანონიერებისა და მართლმსაჯულების ცნებას. მართლმსაჯულებისადმი მიძღვნილი ყოველი ნორმა განმსჭვალულია კანონიერების ზუსტად დაცვის იდეით. ასეთია, უპირველეს ყოვლისა, დებულება, რომ მოსამართლენი და სახალხო მსაჯულნი დამოუკიდებელნი არიან და მხოლოდ კანონს ემორჩილებიან (155-ე მუხლი). ისინი მოვალენი არიან პირუთვნელად და ობიექტურად შეამოწმონ საქმის გარემოებანი და განაჩენის თუ გადაწყვეტილების გამოტანის დროს

იხელმძღვანელონ მარტოოდენ კანონით და საკუთარი შინაგანი რწმენით. ვერავითარი სხვა გარემოება, ვერავითარი მიზანშეწონილების მოსაზრებები ვერ გაამართლებენ კანონისაგან გადახვევას. აღნიშნული ნორმა არა მარტო ვალდებულებას აკისრებს მოსამართლეებს და მსაჯულებს, არამედ იმავდროულად იცავს მათ თანამდებობის პირების, თუნდაც მეტად მაღალი რანგის ხელისუფლების წარმომადგენლების ზეგავლენისაგან. იგი კატეგორიულად და აბსოლუტურად უკრძალავს ყველას მართლმსაჯულების საქმეში ჩარევას. მაგრამ, როგორც მართებულად იყო აღნიშნული კონსტიტუციის პროექტის განხილვისას, დამოუკიდებლობა არ ნიშნავს უკონტროლობას. არსებობს სასამართლოს განაჩენთა და გადაწყვეტილებათა გასაჩივრების საკასაციო და საზედამხედველო წესი. გარდა ამისა, მოსამართლე, რომელსაც ირჩევს ხალხი, თავისი მოღვაწეობის შესახებ ანგარიშს აბარებს ამომრჩევლებს. დაბოლოს, სასამართლოს საქმიანობის შემოწმების საუკეთესო საშუალებაა მისი სხდომების ღია ხასიათი, რაც იმავე დროს, როგორც დავინახეთ, ამ საქმიანობის კანონიერების ერთ-ერთი საუკეთესო გარანტიაა.

კანონიერების პრინციპს უდიდესი სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს მართლმსაჯულების აღსრულებისას. ეს გასაგებიცაა, საზოგადოებრივად საშიშ ქმედობებთან ბრძოლა ხორციელდება სასჯელის მეშვეობით, რომელიც ჩვეულებრივად ხელყოფს ადამიანის მეტად მნიშვნელოვან სიკეთეს — ქონებას, თავისუფლებას, ზოგჯერ სიცოცხლესაც კი. მოსამართლე ამ სფეროში მეტად უნდა ფრთხილობდეს. ნას უფლება არ უნდა ჰქონდეს იმ საკითხის დამოუკიდებლად გადაწყვეტისა, არის თუ არა ესა თუ ის ქმედობა იმდენად საშიში, რომ ჩაითვალოს დანაშაულად და მის ჩამდენს დაენიშნოს სასჯელი. ამ საკითხების მოსამართლის თავისუფალი შეხედულების მიხედვით გადაჭრა შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს ცალკეული ადამიანისათვის და ზიანის მომტანი მართლმსაჯულებისათვის.

კაცობრიობის საუკეთესო, დემოკრატიულად და პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები ხანგრძლივი დროის მანძილზე იბრძოდნენ იმისათვის, რომ ქმედობის დანაშაულად გამოცხადება და მისთვის სასჯელის ოდენობის განსაზღვრა თვით კანონში წინასწარ ყოფილიყო მოცემული. დღეს ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, რომ დანაშაულთა შემადგენლობების ჩამოთვლა მათი იურიდიული ნიშნების ზუსტი აღწერით და სასჯელის ზომის ჩვენებით სპეციალურ აქტში — სისხლის სამართლის კოდექსშია მოცემული. მაგრამ კაცობრიობამ ამ მდგომარეობას მხოლოდ დიდი სოციალური კატაკლიზმებისა და საუკუნოვანი ბრძოლის შედეგად მიაღწია.

რა მნიშვნელობა აქვს სისხლის სამართლის კოდექსის არსებობას მოქალაქეებისათვის? ერთმა გამოჩენილმა კრიმინალისტმა ამ კოდექსს „თავისუფლებათა ქარტია“ შეარქვა. თითქოს პარადოქსია! აქ ხომ სისხლის სამართლის წესით დასასჯელი დანაშაულებრივი ქმედობებია აღწერილი! მაგრამ თუ საკითხს ცოტა ღრმად ჩავუკვირდებით, დავრწმუნდებით, რომ ეს გამოთქმა სწორია. დანაშაულთა ამომწურავად ჩამოთვლით და თითოეული მათგანისათვის შესაფერისი სასჯელის გათვალისწინებით კანონმდებელი მკვეთრად გამოყოფს აკრძალულ ქმედობათა ზონას ნებადართულისაგან. ამის მეოხებით მოქალაქეს შეუძლია გაიგოს, რომ თუ ამ ზონას არ გადალახავს, თუ აკრძალულ ქმედობას არ ჩაიდენს, მას თავისუფლად შეუძლია იმოქმედოს. ის იდეა, რომ არავინ არ შეიძლება დაისაჯოს, თუ მის მიერ ჩადენილი ქმედობა წინასწარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ იყო აკრძალული კანონით და რომ იგი არ შეიძლება დაისაჯოს ისეთი სასჯელით, რომელიც აგრეთვე წინასწარ არ იყო გამოცხადებული კანონით, მოკლე და მოხერხებულ ლათინურ ფორმულაში შემდეგნაირად ჩამოაყალიბა მე-18 საუკუნის დასაწყისის ცნობილმა კრიმინალისტმა — ანსელმ ფოიერბახმა (ლუდვიგ ფოირბახის მამამ) nullum crimen, nulla poena, sine lege „არ არსებობს დანაშაული, არ არსებობს სასჯელი კანონის გარეშე";

ჩვენს სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობაში პრინციპი — „არ არსებობს დანაშაული, არ არსებობს სასჯელი კანონის გარეშე" აბსოლუტური თანმიმდევრობით მოქმედებს 1958 წლის საკავშირო საფუძვლების მიღების შემდეგ, როდესაც უარყოფილ იქნა სისხლის სამართლის კანონის ანალოგიით გამოყენება. მაგრამ კონსტიტუციურ პრინციპად იგი პირველად ახლა იქნა აღიარებული. 160-ე მუხლში ეს პრინციპი ასეა ფორმულირებული: „არავინ არ შეიძლება ცნობილ იქნეს ბრალეულად დანაშაულის ჩადენაში, აგრეთვე დაედოს სისხლისსამართლებრივი სასჯელი თუ არა სასამართლოს განაჩენით, და კანონის შესაბამისად".

ადვილი შესამჩნევია, რომ ამ მუხლში სისხლისსამართლებრივ პრინციპთან გაერთიანებულია მეორე, სისხლის სამართლის პროცესუალური პრინციპი, ასევე პროგრესული და დემოკრატიული. ამ უკანასკნელის მიხედვით მხოლოდ სასამართლოს აქვს უფლება, რა თქმა უნდა, კანონის შესაბამისად, თავის განაჩენში გადაწყვიტოს საკითხი, მიუძღვის თუ არა პირს ბრალი დანაშაულის ჩადენაში და შეურჩიოს მას სასჯელის შესაფერისი ღონისძიება. მას გააჩნია საამისოდ საჭირო პროცესუალური შესაძლებლობანი. ბრალდებულისათვის უზრუნველყოფილია დაცვის უფლება (158-ე მუხლი), საჭირო შემთხვევაში უფასოც კი (მუხლი 161-ე), საქმის გარჩევა ხდება სასამართლოს ღია სხდომაზე (მუხლი 157-ე), სამართალში მიცემულისათვის, რომელმაც არ იცის ის ენა, რომელზეც სამართალწარმოება მიმდინარეობს, უზრუნველყოფილია საქმის მასალების გაცნობა თარჯიმნის დახმარებით (მუხლი 159-ე) და ა. შ. ეს არის ნაწილობრივი, არასრული ჩამოთვლა იმ პროცესუალური გარანტიებისა, რომლებიც ახალ კონსტიტუციაშია გათვალისწინებული.

ახალმა კონსტიტუციამ უკვე იურიდიული ძალა მოიპოვა და სიცოცხლე დაიწყო. მაგრამ უფრო ადრე, მისი გამოქვეყნების დღიდანვე საბჭოთა ადამიანებმა შეითვისეს და შეისისხლხორცეს იგი. თითქმის არც ერთი საბჭოთა ადამიანი არ დარჩენილა გულგრილი მის მიმართ. ყველა გულდასმით სწავლობდა მას და ეძებდა მასში პასუხს კითხვებზე, რომლებიც აღელვებდა. ყველა ცდილობდა კონსტიტუციაში შეეტანა რაიმე წვლილი, თუნდაც სულ მცირე, მისი განხილვის დროს. ამიტომ თამამად შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის შემოქმედი თვით ხალხია. შეიძლება ითქვას ისიც, რომ ახალი კონსტიტუცია უკვე ღირსეულად ასრულებს იმ ამოცანას, რომლის შესრულებაც, სხვა მრავალ ამოცანათა შორის, მას ეკისრება — ახალი ადამიანის, კომუნიზმის მშენებელი ადამიანის აღზრდის ამოცანას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვითნებური მშენებლობა და სამოქალაქო უფლებები

დ. სუხიტაშვილი

თვითნებობის ცნების სწორად გაგებას დიდი მნიშვნელობა აქვს სამოქალაქო სამართალში, სისხლის სამართალში და სამართლის სხვა დარგებში მრავალფეროვანი საკითხების გადასაწყვეტად. წინამდებარე სტატიაში ჩვენ ძირითადად საუბარი გვექნება მოქალაქეთა მიერ თვითნებური მშენებლობის სამოქალაქო სამართლებრივ რეჟიმზე. (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 107-ე მუხ.).

ფართო გაგებით თვითნებობა პირის ისეთი მოქმედებაა, რომელიც უგულვებელყოფს საზოგადოებაში შექმნილ აზრს, სამართლებრივ ნორმებს და ა. შ. ადამიანთა საზოგადოების პირველი ფორმის — პირველყოფილი თემური წყობილების — წარმოშობამდე ადამიანი ბუნებრივ თავისუფალ მდგომარეობაში იმყოფებოდა და მისი ყოველი მოქმედება შეუზღუდავი იყო რაიმე ნორმით. საზოგადოების წარმოშობისას გაჩნდა სოციალური ნორმები ადათებისა და ზნეობის ანუ მორალის სახით, რომელთა შესრულება, მართალია, სახელმწიფოებრივი იძულებით არ იყო უზრუნველყოფილი, მაგრამ გარკვეულად ზღუდავდა ცალკეული პირის თვითნებობას, რამდენადაც ადამიანის ცალკეული მოქმედებები ეწინააღმდეგებოდა უკვე ჩამოყალიბებულ საზოგადოებრივ აზრს. უფრო მოგვიანებით, სახელმწიფოს წარმოშობისთანავე გაჩნდა გაბატონებული კლასის ნებასურვილის გამომხატველი სამართლებრივი ნორმები, რომელთა შესრულება სახელმწიფოებრივი იძულებითაა გარანტირებული. ამრიგად, ყოველგვარი სოციალური ნორმის დარღვევა თვითნებობაა. თუმცა ასეთი მოქმედებისათვის მოქალაქე პასუხს აგებს კონკრეტული ნორმის შესაბამისად — ქურდობისათვის, სპეკულაციისათვის, ვალდებულების ცალმხრივი შეუსრულებლობისათვის და სხვა; ამიტომ როდესაც ვლაპარაკობთ თვითნებობაზე, მხედველობაში გვაქვს თვითნებობა ვიწრო გაგებით.

მოქალაქის უფლება — აიშენოს პირადი საკუთრების სახლი, — კონსტიტუციური უფლებაა, მაგრამ ამ უფლების განხორციელება უნდა მოხდეს მშენებლობისათვის დადგენილი ნებართვის, პროექტის, სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით. მათი შეუსრულებლობა ჩაითვლება თვითნებობად როგორც სოციალური ნორმების უხეშ დარღვევად და მათ შესრულებამდე პირადი საკუთრების სახლის აშენების უფლება შესაძლებლობად დარჩება.

ინდივიდუალური ბინათმშენებლობა მჭიდროდაა დაკავშირებული მიწათსარგებლობის საკითხთან. ამიტომ თვითნებური ნაგებობის ბედი იმის მიხედვით წყდება, თუ ვისი საკუთრებაა მიწის ნაკვეთი. საილუსტრაციოდ საკმარისია მოვიყვანოთ შემდეგი მაგალითი:— რუსეთის იმპერიაში მშენებლობის მართვის მარეგულირებელ აქტს წარმოადგენდა „სამშენებლო წესდება“, რომლითაც განსაზღვრული იყო მშენებლობის ძირითადი ნორმები და წესები. წესდების 207-211 მუხლებიდან ირკვევა, რომ თვითნებური მენაშენის მიმართ არ იყო გათ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალისწინებული ისეთი სანქცია, რომელიც რაიმე სახით ეხებოდა სახლზე საკუთრების უფლებას, რადგან ასეთი პასუხისმგებლობა ხელყოფდა მიწაზე კერძო საკუთრების უფლებასაც. ამიტომ ქალაქის მმართველობისა და პოლიციის ორგანოებს ევალებოდათ, სამშენებლო ნორმებისა და წესების დარღვევით აშენებულ ნაგებობების სრულყოფა მესაკუთრის ხარჯებით.

ნაციონალიზაციის შედეგად მიწაზე წარმოქმნილმა სახელმწიფო საკუთრებამ და ბინათმშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის მიზნობრივმა გამოყოფამ საბჭოთა სახელმწიფოში უზრუნველყო დასახლებული პუნქტების გეგმიური განაშენიანება. ამასთან ერთად უქმდებოდა კერძო საკუთრება ქალაქად არსებულ იმ ნაგებობებზე, რომელთა ღირებულება აღემატებოდა ადგილობრივი ორგანოების მიერ დადგენილ ზღვრულ ოდენობას, აგრეთვე იმ სახლებზე, რომლებსაც თუმცა არ ჰქონდათ დიდი ღირებულება, მაგრამ იგი მუდმივი ქირავნობის საგანს წარმოადგენდა. სოფლად სახლზე კერძო საკუთრების უფლება უქმდებოდა მაშინაც, თუ მესაკუთრე არ იყო ადგილობრივი მაცხოვრებელი ან მიწის მუშა[1].

საბჭოთა სახელმწიფოს პირველ წლებში მოქალაქეთა პირად საკუთრების ობიექტთა შორის, შეიძლება ითქვას, ყველაზე უფრო სრულყოფილად მოწესრიგებული იყო პირადი საკუთრების საცხოვრებელი სახლის სამოქალაქო უფლებრივი საკითხი, მაგრამ ჯერ კიდევ სრულყოფილად მაინც არ იყო განსაზღვრული სამშენებლო ნორმებისა და წესების პირობები. ინდივიდუალური ბინათმშენებლობა განისაზღვრებოდა აღნაგობის უფლებით, ხოლო იმ არამუნიციპალიზაციაქმნილი საცხოვრებელი სახლების განკარგვის წესი, რომლებიც პირადი საკუთრების უფლებით დაეტოვათ ყოფილ კერძო მესაკუთრეებს ძირითადად განისაზღვრებოდა საქართველოს სსრ პირველი სამოქალაქო კოდექსის 182-ე მუხლით, სადაც ნათქვამია, რომ არამუნიციპალიზაციაქმნილი საცხოვრებელი შენობა შეიძლება ყოფილიყო წინასწარი სანასყიდო ხელშეკრულების ან ნასყიდობის საგანი იმ პირობით, რომ ამ ხელშეკრულების შედეგად მყიდველის, მისი მეუღლისა და არასრულწლოვანი შვილების ხელში არ ყოფილიყო ორი ან მეტი მფლობელობა. კანონი არ ითვალისწინებდა სხვა რაიმე პირობას სანასყიდო ან ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისათვის, კერძოდ საცხოვრებელი ფართის ან ოთახთა რაოდენობის ზღვრულ ოდენობას. მიუხედავად ამისა არ შეიძლება ვთქვათ, რომ მოქალაქეს ჰქონდა განუსაზღვრელი საცხოვრებელი ფართის შეძენის უფლება. ასეთ ზღვრულ ოდენობად უნდა მივიჩნიოთ ფართის ის მოცულობა, რაც აუცილებელი იყო თვით მესაკუთრისა და მისი ოჯახის წევრების საბინაო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

აღნაგობის სახით ინდივიდუალური ბინათმშენებლობა განპირობებული იყო საბჭოთა სახელმწიფოს მიერ მოქალაქეთა კაპიტალის მიზიდვის მიზნით; შემდგომ მან მალე დაკარგა თავისი მნიშვნელობა; ამასთან ერთად დიდი ოდენობით პატარა მოცულობის სახლების სახელმწიფო ფონდში ჩარიცხვა ზედმეტ ტვირ-

---

1 იხ. გარდაბნის რაიბროკურატურის საქმე № 53/2-1972 წ. ს. ფ., 19, კოჯრის მიწის კომიტეტის 1923 წლის 10 მარტის ოქმი № 4 საიდანაც ირკვევა, რომ კოჯრის მიწის კომიტეტმა დაამტკიცა დღიური წერილი სოფ. კიკეთის უძრავ-მოძრავი ქონების ჩამორთმევის შესახებ და მოქალაქეებს — კოკაევსკის, ალიხანოვს, ქოროღლიანცს, ფეოდოროვს, ოგანეზოვს და სხვებს მიწის ნაკვეთთან ერთად ჩამოართვეს კერძო საკუთრების სახლი, როგორც „აღგილობრივ არ მცხოვრებთ“ და „არა მიწის მუშებს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თად დააწვებოდა სახელმწიფო საბინაო ორგანოებს. ამიტომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 26 აგვისტოს ბრძანებულების გამოცემის შემდეგ მიწის ნაკვეთის გამოყოფა ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის წარმოებს უვადო სარგებლობის წესით[2]. ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტრომ 1952 წლის 5 მაისის წერილში განმარტა, რომ სანოტარო მოქმედებათა და სასამართლოს საქმეთა განხილვისას უნდა ვიხელმძღვანელოთ იმით, რომ 1948 წლის 26 აგვისტომდე მოქალაქეთა მიერ აღნაგობის უფლებით აშენებული სახლი, მიუხედავად იმისა გასულია თუ არა აღნაგობის უფლება, მიჩნეული უნდა იქნას ამ მოქალაქეთა პირად საკუთრებად.

უკვე 1948 წლის 26 აგვისტოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით —(„ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ყიდვისა და მშენებლობაზე მოქალაქეთა უფლების შესახებ") და ამ ბრძანებულების გამოყენების წესის შესახებ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებით გარკვეულად გამოიხატა თვითნებური მშენებლობის ძირითადი მიმართულებები: 1) მიწის ნაკვეთის გამოყოფის წესი და პირობები, 2) ტიპიური და ინდივიდუალური პროექტების სავალდებულობა და 3) სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვა.

მოქალაქეთა საბინაო პირობების მოთხოვნილებათა განუხრელმა ზრდამ გამოიწვია ინდივიდუალური და ტიპიური პროექტების, ასევე სამშენებლო ნორმებისა და წესების სრულყოფა, თუმცა ის ძირითადი ნიშნები, რაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 26 აგვისტოს ბრძანებულებით იყო გათვალისწინებული არ შეცვლილა და მიგვაჩნია, რომ სწორედ ამ სამი ნიშნის გათვალისწინებით უნდა განისაზღვროს თვითნებური მშენებლობის ცნება.

ინდივიდუალური ბინათმშენებლობის განხორციელების ერთ-ერთი მთავარი პირობაა მიწის ნაკვეთის გამოყოფა. სახლზე პირადი საკუთრების უფლება მჭიდრო კავშირშია მიწის ნაკვეთის მუდმივი სარგებლობის უფლებასთან. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 107-ე მუხლი არ ითვალისწინებს მიწის ნაკვეთის გამოყოფის წესისა და პირობების დაუცველობისათვის ნაგებობის თვითნებურ მშენებლობად აღიარებას, ვფიქრობთ, ალბათ ესაა მიზეზი, რომ ხშირად პრაქტიკაში და სპეციალურ ლიტერატურაშიც გამოთქმულია აზრი, რომ თუ გაუქმებულია ხელშეკრულება მიწის ნაკვეთის გამოყოფის შესახებ მოქალაქეთა უკანონო მოქმედების შედეგად, ამ მიწის ნაკვეთზე აშენებული სახლის მიმართ ანალოგიის წესით გამოყენებულ იქნას რსფსრ სამოქალაქო კოდექსის 110 მუხლი, რომლის მიხედვითაც ასეთი სახლი ითვლება თვითნებურად[3]. სპეციალისტთა ასეთი დასკვნა, რუსეთის სამოქალაქო კოდექსის 110-ე მუხლის ანალოგიით გამოყენების შესახებ, მოკლებულია საფუძველს. ჯერ კიდევ საქართველოს სსრ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1934 წლის 16 ივნისის დადგენილების მე-6 პუნქტში ნათქვამია, რომ „მიწის ნაკვეთის უვადოდ სარგებლობის უფლება არ განიყოფა ამ ნაკვეთზე მდებარე შენობების საკუთრების უფლებებისაგან და ისპობა შენობების საკუთრების უფ-

---

[2] „საბინაო კანონმდებლობის კრებული", თბილისი, 1966, გვ. 114.

[3] ავ. კობახიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმზე წარმოთქმული სიტყვა. „საბჭოთა სამართალი", 1975, № 2, გვ. 81.

ლების მოსპობასთან ერთად". გამომდინარე ამ ნორმიდან თუ მიწის ნაკვეთის გამოყოფის ხელშეკრულება ცნობილია ბათილად საქართველოს სსრ მიწის კოდექსის 151-ე მუხლის საფუძველზე, უნდა მოისპოს ამ ნაკვეთზე აგებულ სახლზე პირადი საკუთრების უფლება და დადგეს ის შედეგი, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 180 მუხლით; მაგრამ თუ მიწათსარგებლობის ხელშეკრულება გაუქმდა სხვა საფუძვლით, სახლის მიმართ გამოყენებულ უნდა იქნას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 15 დეკემბრის № 1131 დადგენილებით გათვალისწინებული წესები.

ინდივიდუალური ბინათმშენებლობის გზით სახლზე პირადი საკუთრების უფლების წარმოშობისათვის მშენებლობა უნდა განხორციელდეს საქართველოს სსრ მიწის კოდექსის მე-14 მუხლით განსაზღვრულ სახელმწიფო ორგანოების მიერ გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე — „ქალაქად 300-დან 600 m^2-მდე, ქალაქს გარეთ 700-დან 1200 m^2-მდე ნაკვეთზე. მიწის ნაკვეთის გამოყოფა თავისთავად არ წარმოშობს მიწათსარგებლობის უფლებას. მიწათსარგებლობის უფლება წარმოიშობა მიწათმომწყობი ორგანოების მიერ ამ ნაკვეთის საზღვრების ადგილზე დადგენისა და მიწათსარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის შემდეგ. ამიტომ ამ წესების დარღვევით მშენებლობის განხორციელება გამოიწვევს ნაგებობის თვითნებურად აღიარებას. თვითნებურად უნდა ჩაითვალოს ასევე მოქალაქის მიერ მშენებლობის განხორციელება მიწის ნაკვეთზე, რომელიც გამოყოფილია არა ბინათმშენებლობისათვის, არამედ სხვა დანიშნულებისათვის. ასეთი დებულება გამომდინარეობს მიწათსარგებლობის მიზნობრივი ხასიათიდან. ხელშეკრულება მიწის ნაკვეთის გამოყოფის შესახებ უნდა დამოწმდეს სანოტარო კანტორის მიერ მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობის მიხედვით.

არ დაიშვება ნაკვეთების გამოყოფა მენაშენეებისათვის, რომელთაც სურთ განმეორებით აიშენონ სახლი, მათ მიერ წინათ აშენებული სახლის გაყიდვის დღიდან 10 წლის განმავლობაში. ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობიდან მრავალბინიანი კეთილმოწყობილი კოოპერაციული საცხოვრებელი სახლების მშენებლობაზე გადასვლის მიზნით სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 1 ივნისის № 561 დადგენილების მე-12 პუნქტის შესაბამისად აიკრძალა ასევე მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში მიწის ნაკვეთის გამოყოფა ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის. ამავე დროს ნება დაერთოთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, შეწყვიტონ მიწის ნაკვეთის გამოყოფა ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის რესპუბლიკის სხვა ქალაქებშიც. აკრძალულია ასევე ყველგან მიწის ნაკვეთის გამოყოფა მოქალაქეებისათვის ინდივიდუალური სააგარაკო მშენებლობისათვის.

„დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქალაქმშენებლობას, არქიტექტურასა და დაგეგმვას კეთილმოწყობილი, მოხერხებული, მშენებლობასა და ექსპლოატაციაში ეკონომიური ქალაქებისა და სხვა დასახლებული ადგილების, საწარმოო საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების შექმნისათვის. ქალაქები და დაბები უნდა წარმოადგენდნენ საწარმოო ზონების, საცხოვრებელი რაიონების, საზოგადოებრივ და კულტურულ დაწესებულებათა, საყოფაცხოვრებო საწარმოთა ქსელის, ტრანსპორტის, საინჟინრო მოწყობილობისა და ენერგეტიკის რაციონალურ კომპლექსურ ორგანიზაციას, რომლებიც უზრუნველყოფენ ადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიანთა შრომის, ყოფაცხოვრებისა და დასვენების საუკეთესო პირობებს"[4] — ნათქვამია სკკპ პროგრამაში. როგორც ვხედავთ, დასახლებული პუნქტების გეგმური განაშენიანება პარტიისა და მთავრობის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავია. ამ მიზნით 1966 წლის 7 მაისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა დაამტკიცა დასახლებული პუნქტების დაგეგმარებისა და განაშენიანების დაპროექტების ნორმები (СНиП II — К 2-62, იგი მოქმედებაში შევიდა 1967 წლის 1 იანვრიდან), რომელიც არსებული ქალაქების გაფართოებისა და რეკონსტრუქციის, ასევე ახალი დასახლებული პუნქტების დაპროექტების ძირითადი აქტია[5].

უკანასკნელ პერიოდში „კანონით საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს შესახებ"; „კანონით საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს შესახებ", ასევე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ცალკეული დადგენილებებით ადგილობრივ საბჭოებს გაუფართოვდათ უფლებები კაპიტალური მშენებლობის დარგში, რათა უზრუნველყონ ქალაქებისა და რაიონების განვითარება, როგორც ერთიანი სოციალური კომპლექსისა. მშრომელთა დეპუტეტების საქალაქო საბჭო, ხელმძღვანელობს რა ზემოაღნიშნული 1966 წლის 7 მაისს დამტკიცებული სამშენებლო ნორმებითა და წესებით, უზრუნველყოფს ქალაქის გენერალური გეგმისა და გარეუბნის ზონის დაგეგმარების პროექტების შემუშავებას, განიხილავს ამ პროექტს და დადგენილი წესით დასამტკიცებლად წარუდგენს სახელმწიფო მართვის შესაბამის ზემდგომ ორგანოს; ამტკიცებს ქალაქის რაიონების, მიკრორაიონებისა და ქალაქმშენებლობის სხვა კომპლექსების დეტალური დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტებს, საინჟინრო ნაგებობათა და კეთილმოწყობის პროექტებს, ამტკიცებს ქალაქის განაშენიანების წესებს მისი გენერალური გეგმის შესაბამისად.

მშენებლობის დაგეგმარებისა და განაშენიანების დარგში რაიონული საბჭო განიხილავს რაიონული დაგეგმარების სქემას და დასამტკიცებლად წარუდგენს სახელმწიფო მართვის ზემდგომ ორგანოს; დადგენილი წესით ამტკიცებს ან ათანხმებს დასახლებული პუნქტების დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტებს[6].

ადრე საცხოვრებელი სადგომი გამოიყენებოდა ძილის, ბუნების სტიქიისაგან თავის დაცვისა და სხვა ბუნებრივ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. დღეს კი საცხოვრებელი ბინა წარმოადგენს ადამიანის სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ობიექტსაც. დასახლებული პუნქტების მშენებლობის დაპროექტებასთან დაკავშირებით ერთმანეთს ენასკვება არქიტექტურის, საინჟინრო, ესთეტიკისა და საზოგადოების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების სხვა საკითხები. ინდივიდუალური ბინათმშენებლობის სახლის დაპროექტებისას გათვალისწინებული უნდა იყოს სახლის ოთახების შინაგანი მოწყობილობის თავისებურება, მთლიანი ნაგებობა შერწყმული უნდა იყოს მის გარემო პირობებთან და მოედნებთან, დასვენების პარკებთან და სხვ. ქმნიდეს ერთიან სოციალურ-კულტურულ და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო

---

[4] სკკპ პროგრამა, თბილისი, 1967, გვ. 106.

[5] «СНиП II-к 2-62». Общие положения I პუნქტის I ქვეპუნქტი.

[6] ქალაქებისათვის განაშენიანების პერსპექტიული გეგმა გათვალისწინებული უნდა იყოს 25-30 წლით, ხოლო სასოფლო ადგილებისათვის — 15-20 წლით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომპლექსს. ამ ჰარმონიის განუხრელად განხორციელებისა და დაცვის მიზნით ჯერ კიდევ 1932 წლის 13 მაისს საქართველოს სსრ ცაკის დადგენილებით წინადადება მიეცა ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ ახლად ასაგებ შენობათა ფასადების არქიტექტურულ გაფორმებას, ხოლო არსებულ შენობებზე სართულების დადგმის დროს დასაშენებელი შენობის ფასადის გაფორმება უნდა წარმოებდეს ისე, რომ ახლად დასადგმელი სართულის ფასადი არქიტექტურულად შეესაბამებოდეს შენობის არსებული ნაწილის ფასადს. დაშენების დროს სავალდებულოა მთელი შენობის ფასადის სრული შეკეთება და განახლება.

ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების დაპროექტებისას სხვა პირობებთან ერთად აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მიერ 1971 წლის 4 მარტს დამტკიცებული სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП II—Л 1-71), რომელიც სამოქმედოდ შემოღებულია 1971 წლის 1 აპრილიდან.

მოქალაქეთა მიერ პირადი საკუთრების უფლებით ასაშენებელი სახლის საცხოვრებელი ფართობის ზღვრული ნორმა განისაზღვრება 60 კვ. მეტრით[7], ხოლო დამხმარე ფართობისა — 40 კვ. მეტრით. მართალია საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 104 მუხლი იცნობს გამონაკლისს, როდესაც მოქალაქეს შეუძლია ჰქონდეს 60 m^2 საცხოვრებელ ფართობზე მეტი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ გარკვეული პირობების არსებობის შემთხვევაში მოქალაქემ თვითნებურად აიშენოს ზღვრულ ნორმაზე მეტი საცხოვრებელი ფართობი. ამ უფლების განხორციელებისათვის მას ნება უნდა დართოს რაიონის (ქალაქის) საბჭოს აღმასკომმა და მან თავისი ასახვა უნდა ჰპოვოს ასაშენებელი სახლის პროექტში.

ქალაქსა და სოფელს შორის არსებული სხვაობის დაძლევის ერთ-ერთი საშუალებაა სოფლების გეგმური განაშენიანება. უკანასკნელ წლებში ამ საკითხს დიდი ყურადღება მიექცა როგორც საკავშირო ისე მოკავშირე რესპუბლიკების მმართველობის უმაღლესი ორგანოების მიერ, რომელთა ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა სოფლის მშენებლობის იმგვარი განვითარება, რომელიც უზრუნველყოფს მაღალ საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობებს. სოფლის დასახლებული პუნქტების ტერიტორიალური განვითარება, როგორც წესი, უნდა წარმოებდეს სოფლის ტერიტორიის სიღრმეში. ამ მიზნით საქართველოს სსრ მთავრობის 1963 წლის 29 ივლისის № 498 დადგენილებით სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მოქალაქეებს აეკრძალათ ყოველგვარი მშენებლობა, ხოლო ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს — მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფა რესპუბლიკური და საკავშირო მნიშვნელობის საავტომობილო მაგისტრალების ღერძიდან 100 მეტრის მანძილზე უფრო ახლოს.

ყველაზე დიდი მოვლენა, რაც მოხდა უკანასკნელ ხანს სოფლად მშენებლობის განვითარების საკითხში, ის არის, რომ საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 2 მარტის დადგენილებით სოფლად ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მენაშენეებს აეკრძალათ უპროექტო მშენებლობა 1974

---

7 1958 წლის 18 ივლისის ბრძანებულებამდე მოქალაქეს უფლება ჰქონდა აეშენებინა ერთი ან ორსართულიანი სახლი ერთიდან ხუთ ოთახამდე ჩათვლით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლის 1 იანვრიდან. ვფიქრობთ, იურიდიულ ლიტერატურაში კანონიერადაა გაშორჭმული აზრი იმის შესახებ, რომ სოფლად ინდივიდუალური ბინათმშენებლობა პროექტით ჯერ კიდევ ბევრ სიძნელესთან არის დაკავშირებული[8]. ამის გამო ახალმშენებლობები სოფლებში უსისტემოდ, ინდივიდუალური ბინათმშენებლობის კანონებისა და წესების აშკარა დარღვევით მიმდინარეობს. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1976 წლის 24 ივლისს განიხილა ბოლნისისა და ვანის რაიონების განაშენიანების გენერალური გეგმები. სხდომაზე აღინიშნა, რომ საერთოდ რესპუბლიკაში ჯეროვნად არ არის ორგანიზებული სოფლის მშენებლობათა საჭიროებისათვის ახალი, უფრო ეკონომიური მასალებისა და კონსტრუქციების გამოყენების საქმე, რის გამოც დაევალა რაიაღმასკომებს მეტი ყურადღება დაუთმონ სოფლების განაშენიანების წესების ზუსტ დაცვას.

ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დაწყება შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, როცა მმართველობის ადგილობრივი ორგანოები გასცემენ ნებართვას მშენებლობის განხორციელებისათვის; ხოლო ნებართვა გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ წარდგენილია ტექნიკური დოკუმენტაცია და სანოტარო კანტორის მიერ დამტკიცებული ხელშეკრულება ნაკვეთის გამოყოფის შესახებ.

ამრიგად, მოქალაქეს რომელსაც სურს აიშენოს პირადი საკუთრების სახლი, მოვალეა, განუხრელად დაიცვას ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის დადგენილი ზემოდაღნიშნული პირობები და მშენებლობის დამთავრების შემდეგ არ დაუშვას სახლზე (აგარაკზე) მიშენება, დაშენება და სხვაგვარი გადაკეთება სათანადო ნებართვის გარეშე ნაგებობის თვითნებურად აღიარების რიდის გამო.

როგორც დავინახეთ, საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 107-ე მუხლის ჰიპოთეზა ძირითადად განსაზღვრულია ტექნიკური პირობებით, ამიტომ იურისტებს შორის როგორც პრაქტიკაში, ისე თეორიაშიც ამ საკითხზე კამათი, აღნიშნული მუხლის სანქციისაგან განსხვავებით, არ ატარებს პრინციპულ ხასიათს, რადგან იგი სპეციალური ცოდნის საგანია და საჭრო შემთხვევაში შეიძლება ტექნიკური ექსპერტიზის დანიშვნა.

სახლის თვითნებური მშენებლობისათვის საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 107-ე მუხლით გათვალისწინებულია ორგვარი სანქცია, რაც გამოწვეულია იმით — საქმეს იხილავს სასამართლო თუ მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი. ჯერ კიდევ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 26 აგვისტოს № 3211 დადგენილების შესაბამისად მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასკომებს დაევალათ უზრუნველყოთ სახელმწიფო ინსპექცია ინდივიდუალურ სახლმფლობელობათა ზედამხედველობისათვის და განეხორციელებინათ

---

[8] ალ. ხოჭოლავა — „სოფლად პროექტით სახლის მშენებლობა ადგილობრივი მასალის გამოყენებასთან ერთად მოითხოვს სტანდარტულ სამშენებლო ნაკეთობათა და დეტალების გამოყენებას, რის უზრუნველყოფის საშუალება ამჟამად არ არსებობს. სოფლად აგებული ყოველი 100 სახლიდან 80 სახლი არასტანდარტული მასალით აღებული სახლების ანგარიშზეა აგებული. ამასთანავე სოფლად თვითნებურ მშენებლობასთან ბრძოლის გადატანა თავისი არქიტექტურით, ტექინვენტარიზაციის ბიუროებით, მართლმსაჯულების ორგანოებით და ადვოკატურით ძალიან დიდი ზედმეტობა არის სოფლისათვის“. „საბჭოთა სამართალი“, 1975 წ. № 2, გვ. 80.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასტიკი კონტროლი, რათა სახლმფლობელებმა დაიცვან სახლის შენახვის ნორმები და წესი, თვითნებური მშენებლობის შემთხვევაში აიძულონ მენაშენეები შეწყვიტონ მშენებლობა და ერთი თვის ვადაში თავიანთი ძალებითა და ხარჯით დაანგრიონ მთელი შენობა ან ნაგებობის ნაწილი და წესრიგში მოიყვანონ მიწის ნაკვეთი. აღნიშნული ნორმა აისახა სამოქალაქო სამართლის კოდექსის 107-ე მუხლში იმ ცვლილებით, რომ აღმასკომის გადაწყვეტილებით ასეთი სახლი უნდა დაანგრიოს თვითნებურად ამშენებელმა მოქალაქემ ან უნდა დაინგრეს მის ხარჯზე.

თვითნებურ მენაშენთა მიმართ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გამოყენება სასურველია მშენებლობის დაწყების სტადიაში, რათა თავიდან ავიცილოთ მძიმე შედეგები. ასეთი ღონისძიების განხორციელება კი შესაძლებელია, რადგან სახლი არ არის ისეთი ობიექტი, რომელიც შეიძლება შეუმჩნეველი დარჩეს სათანადო სახელმწიფო საზედამხედველო ორგანოებისათვის და ვფიქრობთ, არცთუ იშვიათად გვხვდება თვითნებური მშენებლობა ამ ორგანოების თუ ცალკეული თანამდებობის პირების წაყრუებითა თუ დაუდევრობით, რის შედეგადაც საგრძნობლად გაიზარდა თვითნებურ ნაგებობათა რიცხვი.

უნდა აღინიშნოს, რომ თვითნებურ მენაშენეთა მიმართ საბჭოთა სამართლის, როგორც საზოგადოების აღზრდისა და ჰუმანურობის პრინციპის განხორციელების ბრწყინვალე გამოხატულებაა საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 27 ივლისის № 395 დადგენილების მე-10 პუნქტი, რომლის მიხედვით ადგილობრივი საბჭოების აღმასკომს ნება დაერთოთ გააფორმონ ჯეროვანი წესის შესაბამისად მიწის ნაკვეთების გამოყოფა იმ თვითნებურ მენაშენეებისთვის, რომლებმაც კაპიტალური ნაგებობები აიშენეს აღნიშნული დადგენილების გამოცემამდე და თუ ეს ნაგებობანი აკმაყოფილებენ ქალაქის განაშენიანების მოთხოვნებს.

არცთუ იშვიათად გამოთქმულია აზრი, რომ სამოქალაქო სამართლის სამოქმედოდ შემოღების შემდეგ აღნიშნული დებულების მე-10 პუნქტმა დაკარგა თავისი მნიშვნელობა, რადგან 107-ე მუხლს მიენიჭა უკუქცევითი ძალა[9]. უფრო მეტიც, თვითნებურ ნაგებობათა დაკანონების წინააღმდეგნი არიან იმ მოტივით, რომ რამდენადაც კაპიტალური სახლის აშენება შეეძლოთ უფრო შეძლებულ მოქალაქეებს, მათთვის თვითნებური ნაგებობის დაკანონება „არ შეესაბამება სოციალისტურ მართლშეგნებასა და მორალს"[10].

ავტორთა ასეთი მოსაზრება მიგვაჩნია, რომ დაუსაბუთებელია. მოცემული საკითხის გადაჭრისას ასეთი პრინციპით ხელმძღვანელობა ქმნის ჩვენს საზოგადოებაში წვრილბურჟუაზიული საკუთრების არსებობისა და მისი მუნიციპალიზაციის ან სრულ ლიკვიდაციის საჭიროების შთაბეჭდილებას. რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ 107-ე მუხლს მიეცა უკუქცევითი ძალა ეს როდი ნიშნავს, რომ იგი გამოყენებული უნდა იყოს ყველა იმ თვითნებური ნაგებობის მიმართ, რომლებიც აშენებულია აღნიშნული დადგენილების გამოცემამდე. მოქმედი სამოქალაქო კოდექსის სამოქმედოდ შემოღების შემდეგაც ხშირად თვითნებურ მენაშენეს უფლება რჩებოდა მისი სარგებლობისა და მფლობელობისა და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ გარკვეულ შემთხ-

[9] მ. მაჭავარიანი „საბჭოთა სამართალი", 1975 წ. № 2, გვ. 23, 24.

[10] იქვე, გვ. 24.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვევაში დასაშვებია თვითნებური ნაგებობის დაკანონება და აქედან გამომდინარე მასზედ პირადი საკუთრების წარმოშობის უფლება, ნათელი გახდება, რომ 107-ე მუხლის პირვანდელი რედაქცია არ ეწინააღმდეგება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 27 ივლისის დადგენილების მე-10 პუნქტს. დადგენილების მე-10 პუნქტის ამგვარ განმარტებას აქვს სხვაგარი ახსნაც, რაც იმაში გამოიხატება, რომ ამავე დადგენილების მე-12 პუნქტის შესაბამისად უკეთუ თვითნებურად აგებული ნაგებობა არ აკმაყოფილებდა მე-10 პუნქტში აღნიშნულ პირობებს, მათ მენაშენეებს უნდა გამოყოფოდათ მიწის ნაკვეთები საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად და მისცემოდათ ვადა თვითნებურ ნაგებობის დასანგრევად. ამრიგად, ამ დადგენილების მიხედვით უმოკლეს ვადაში უნდა მომხდარიყო თვითნებურ ნაგებობათა დაკანონება ან მათი დანგრევა, რისთვისაც სამოქალაქო კოდექსის 107-ე მუხლს არ შეეძლო რაიმე გავლენა მოეხდინა დადგენილების გამოცემადმე აშენებულ სახლებზე. უკუქცევითი ძალა მას მიეცა 1956 წლის 27 ივლისის შემდეგ აშენებულ სახლების მიმართ. ამავე გზას ადგას საკავშირო უმაღლესი სასამართლოს პრაქტიკაც[11].

მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსის სამოქმედოდ შემოღების შემდეგ, ე. ი. 1965 წ. 1 ივლისიდან სასამართლო ორგანოებს უწყებრივად დაექვემდებარა თვითნებურ ნაგებობის უსასყიდლოდ ჩამორთმევის საკითხის გადაჭრა. აღნიშნული კოდექსის 107-ე მუხლის სანქცია (მხედველობაში გვაქვს 1964 წლის რედაქცია) არ ატარებს აბსოლუტურად განსაზღვრულ ხასიათს— სასამართლოს გადაწყვეტილებით ასეთი სახლი **შეიძლება** ჩამოერთვას უსასყიდლოდ და ჩაირიცხოს ადგილობრივი საბჭოების ფონდში, ან თვითნებური ნაგებობა აღმასკომის გადაწყვეტილებით **ასევე შეიძლება** დაანგრიოს თვითნებურად ამშენებელმა მოქალაქემ, ანდა მის ხარჯზე დაინგრეს. როგორც ვხედავთ, სასამართლოს და აღმასკომს **შეეძლოთ** არ გამოეყენებინათ ამ მუხლით გათვალისწინებული სანქცია. ასეთი შესაძლებლობა კი ჩვენი აზრით დასაშვები იყო მაშინ თუ კაპიტალური სახლის მშენებლობა დამთავრებული იყო და უხეშად არ იყო დარღვეული სამშენებლო ნორმები, წესები და მოცემული დასახლებული პუნქტის განაშენიანების გეგმა. საკითხისადმი ასეთი მიდგომა შეესაბამება საბჭოთა სამართლის იმ მნიშვნელოვან პრინციპს, რომ სანქცია არ შეიძლება იყოს შურისძიების ღონისძიება.

ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის მოწესრიგებისა და თვითნებურ მშენებლობასთან ბრძოლის მიზნით საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1974 წლის 12 აპრილის ბრძანებულებით ცვლილებები და დამატებები შეიტანა სამოქალაქო სამართლის კოდექსის 107-ე მუხლში. ამასთან ბრძანებულების ძალაში შესვლამდე აშენებული სახლების მიმართ გამოყენებული უნდა იყოს ის წესები, რომლებიც ადრე მოქმედებდნენ. 12 აპრილის ბრძანებულების თავისებურება იმაში გამოიხატება, რომ პირველი რედაქციისაგან განსხვავებით იგი იმპერატიული ხასიათისაა და თვითნებური ნაგებობა აღმასკომის გადაწყვეტილებით ყველა შემთხვევაში უნდა დაინგრეს, ანდა სასამართლოს გადაწყვეტილებით უსასყიდლოდ უნდა ჩამოერთვას და ჩაირიცხოს ადგილობრივი საბჭოს ფონდში, მაშინ როცა აღნიშნული მუხლის

[11] «Бюллетень Верховного суда СССР» 1975 г. № 4. стр. 17.

პირველი ნაწილით კანონმდებელი მარტოოდენ კრძალავს თვითნებურ ნაგებობათა განკარგვას, მაგრამ დასაშვებად მიიჩნევს სარგებლობასა და მფლობელობას, რაც თავის მხრივ არ გამორიცხავს საერთოდ თვითნებურ ნაგებობათა არსებობას. მოცემული მუხლის პირველ და მეორე ნაწილებს შორის არსებულ წინააღმდეგობათა აღმოსაფხვრელად ან პირველი ნაწილიდან უნდა ამოიღოს წინადადება — „უფლება არა აქვს განკარგოს", ან მეორე ნაწილს უნდა დაემატოს (ისევე როგორც ძველი რედაქციით იყო გათვალისწინებული): „შეიძლება ჩამოერთვას, ან — დაინგრას...", მაგრამ რამდენადაც დღეს თითქმის შეუძლებელია ყველა თვითნებური ნაგებობის ჩამორთმევა ან დანგრევა (როგორც ეს ახალი რედაქციით არის გათვალისწინებული), ჩვენი აზრით, უმჯობესია შესწორდეს მეორე ნაწილი. ასეთი ცვლილების აუცილებლობა გამოწვეულია ამ ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ 1974 წლის 22 სექტემბერს მიღებული დადგენილების „ვ" პუნქტითაც, რომლის მიხედვით თვითნებურ მენაშენის მიმართ 107-ე მუხლით გათვალისწინებული სანქციის გამოყენება დასაშვებია განსაკუთრებულ შემთხვევაში.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 107-ე მუხლის ახალი რედაქციის მეორე თავისებურება იმაში გამოიხატება, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით თვითნებური ნაგებობის სახელმწიფო ფონდში ჩარიცხვისას „გამოსახლებული იქნებიან თვითნებურად ამშენებელი მოქალაქე და მასთან ერთად მცხოვრები პირები". ვფიქრობთ ამ ნაწილშიც უნდა მოხდეს დამატება იმ მხრივ რომ თუ გამოსახლებულ მოქალაქეს არა აქვს სხვა საცხოვრებელი, აღმასკომმა, რომლის საბინაო ფონდშიც ჩაირიცხა თვითნებური სახლი, უნდა დააკმაყოფილოს იგი სხვა საცხოვრებელი ფართით.

მოქალაქემ რომელმაც თვითნებურად აიშენა სახლი, უფლება არა აქვს განკარგოს ეს სახლი და რამდენადაც ასეთი სახლის დაკანონების უფლება ე. ი. საკუთრების უფლების წარმოშობა მინიჭებული აქვს მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს, სასამართლოებმა არ უნდა მიიღონ წარმოებაში სარჩელები, რომლებიც შეეხება დავას თვითნებურ ნაგებობაზე საკუთრების უფლების საკითხს. სასამართლომ უნდა განიხილოს ისეთი საკითხები, რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ არ არის დაკავშირებული საკუთრების უფლებასთან, მაგ. ასეთი ნაგებობის დანგრევისას საშენ მასალის მიღებაზე უფლების ცნობის შესახებ, ოჯახის წევრებს შორის ფართობის სარგებლობის წესის განსაზღვრის შესახებ და სხვა. სასამართლოს არა აქვს უფლება გადაწყვიტოს საკითხი თვითნებური ნაგებობის დანგრევის შესახებ.

თვითნებური ნაგებობის ჩამორთმევისა და სახელმწიფო საბინაო ფონდში ჩარიცხვის შესახებ სასამართლოში სარჩელს აღძრავს ადგილობრივი საბჭოს აღმასკომი ადგილსამყოფელის მიხედვით. როგორც სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1977 წლის 25 თებერვლის დადგენილებაშია განმარტებული სარჩელი თვითნებური ნაგებობის ჩამორთმევისა და მისი სახელმწიფო საბინაო ფონდში ჩარიცხვის შესახებ აღიძვრება იმ შემთხვევაში, როცა რაიონის (ქალაქის) საბჭოს აღმასკომი მიიღებს გადაწყვეტილებას აღნიშნული სახლის (აგარაკის) ან მისი ნაწილის ადგილობრივი საბჭოს საბინაო ფონდში ჩარიცხვის შესახებ. ამიტომ სასარჩელო განცხადებას თან უნდა ერთვოდეს აღმასკომის გადაწყვეტილების ასლი, წინააღმდეგ შემთხვევაში სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამართლო ვალდებულია სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 137-ე მუხლის თანახმად სასარჩელო განცხადება დატოვოს უმოძრაოდ. სამოქალაქო სამართალწარმოების ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე მოსარჩელე ვალდებულია ასევე წარმოადგინოს სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობის დამადასტურებელი მტკიცებულებები.

ყოველი ცალკეული საქმის განხილვისას სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს, რომ სახლის უსასყიდლოდ ჩამორთმევა არის სანქცია, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ბრალეულობის დადგენის შემდეგ. ამ საკითხთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესმა სასამართლომ განმარტა, რომ მიუხედავად პროექტიდან არსებითი გადახვევით ან სამშენებლო ნორმებისა და წესების უხეში დარღვევით განხორციელებული მშენებლობისა, სასამართლომ უნდა გამოარკვიოს თუ რამდენად შესაძლებელია მშენებლობაში დაშვებული დარღვევების გამოსწორება და თუკი მოპასუხე გამოთქვამს თანხმობას გამოასწოროს აღნიშნული დარღვევები, სასამართლო უფლებამოსილია მოპასუხეს დაუნიშნოს ვადა ხარვეზების აღმოსაფხვრელად. საფანადო მითითებების შესრულების შემდეგ სარჩელის დაკმაყოფილება აღარ შეიძლება ან საქმის წარმოება შეიძლება შეწყდეს მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის შემთხვევაში (იხ. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1977 წლის 25 თებერვლის № 5 დადგენილების მე-6 პუნქტი). ამავე დადგენილების მე-5 პუნქტში პლენუმის მიერ შემუშავებულია პრაქტიკულად მეტად მნიშვნელოვანი და საჭირო დებულება, რაც იმაში გამოიხატება, რომ გადაწყვეტილება, რომლითაც მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე, წარმოადგენს სადავო თვითნებური ნაგებობის დაკანონების საფუძველს.

პირადი საკუთრების სახლზე უკანონოდ მიშენება-დაშენების შემთხვევაში თვითნებურად უნდა ჩაითვალოს სახლის ის ნაწილი, რომელიც უკანონოდაა მიშენებულ-დაშენებული და ამიტომ სასამართლოს გადაწყვეტილებით სახლის იმ ნაწილის ჩამორთმევა, რომელიც კანონიერად არის აშენებული, დაუშვებელია, რამეთუ ასეთი გადაწყვეტილება უხეშად ხელყოფდა პირად საკუთრებას. კანონის უხეში დარღვევა იქნებოდა ისეთი თვითნებური ნაგებობის ჩამორთმევა, რომელიც არ შეიძლება იყოს ქირავნობის დამოუკიდებელი საგანი თანახმად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 295-ე მუხლისა. მიზანშეწონილად მიგვაჩნია ასევე, რომ თუ თვითნებური ნაგებობა სახელმწიფოსათვის არ წარმოადგენს განსაკუთრებულ ობიექტს, არ დაუშვას მოქალაქესა და სახელმწიფოს შორის საერთო წილადი საკუთრების წარმოშობა, რამდენადაც ასეთი საკუთრება სამოქალაქო კოდექსის 119-ე მუხლის თანახმად უნდა მოისპოს ერთი წლის განმავლობაში და რაკი შესყიდვის უპირატესი უფლება თანამესაკუთრეს გააჩნია, გამოვა, რომ გარკვეული ფულადი სახსრების გაღების შემდეგ, თვითნებური სახლის მენაშენე დაიკანონებს ასეთ სახლს.

სამოქალაქო სამართლის 107-ე მუხლის მიხედვით სასამართლოს უფლება აქვს ჩამოართვას თვითნებურ მენაშენეს სახლი (აგარაკი) ან სახლის (აგარაკის) ნაწილი. ასეთი მოთხოვნა არ შეიძლება გავრცელდეს თვითნებურად აშენებულ დამხმარე სათავსოებზე, რადგან მათ როგორც საკუთვნეველმა საგნებმა უნდა გაიზიარონ საცხოვრებელი ფართობის ხვედრი. მიუხედავად აღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიშნულისა პრაქტიკაში გვხვდება შემთხვევები, როცა დამხმარე სათავსოების თვითნებურად მიშენების საფუძვლით მიმართავენ სასამართლოს მათი ჩამორთმევისათვის.

უკანასკნელ წლებში რესპუბლიკის მმართველობის უმაღლესი ორგანოების მიერ თვითნებური ნაგებობების შესახებ გამოცემულმა აქტებმა გარკვეულად შესცვალა მათი მოწესრიგების წესი, ამიტომ დროული იქნება თუ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო შეიმუშავებს და სახელმძღვანელო მითითებებს მისცემს სასამართლოებს ამ კატეგორიის საქმეების განხილვისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დისკუსია, პოლემიკა, რეპლიკა

ერთი საღავო საკითხის გამო

გ. ტუეშელიაძე

1. საბჭოთა სწავლულმა იურისტებმა კანონის განმარტების თეორიისა და პრაქტიკის მრავალი საკვანძო პრობლემა გადაწყვიტეს. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია სადავო და გასარკვევი. წინამდებარე სტატიაში განხილულია ერთ-ერთი სადავო საკითხი, რომელიც კანონის ნორმატიული განმარტებისა და ავთენტური განმარტების თანაფარდობას შეეხება. იგი შეიძლება შემ-დეგნაირად დავაკონკრეტოთ: რა შემთხვევაშია უფლებამოსილი სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი თვითონვე განმარტოს კანონი და როდის უნდა მიმართოს მან წარდგინებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზი-დიუმს კანონის განმარტების შესახებ.

ამის თაობაზე მოქმედ კანონმდებლობაში ორი სამართლებრივი ნორმაა და-წესებული: ერთი სსრ კავშირის კონსტიტუციაში და მეორე დებულებაში სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს შესახებ. სსრ კავშირის კონსტიტუციის 121-ე მუხლის მე-5 პუნქტით სსრ კავშირის კანონთა განმარტების უფლება მი-ნიჭებული აქვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს. „სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს შესახებ დებულების მე-9 მუხლის „გ“ პუნქტით სსრ კავშირის უნაღლესი სასამართლოს პლენუმი განიხილავს სასამართლო პრაქტიკის, სასამართლო სტატისტიკის განზოგადებულ მასალებს და სასა-მართლოებს აძლევს სახელმძღვანელო მითითებებს საქმეთა განხილვისას კა-ნონმდებლობის შეფარდების საკითხებზე. იმავე მუხლის „დ“ პუნქტით პლე-ნუმი შედის წარდგინებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში სსრ კავშიირს კანონთა განმარტების გამო.

სამეცნიერო ლიტერატურაში ამ მუხლებს სხვადასხვაგვარად განმარტა-ვენ. ტ. დობროვოლსკაიას მიაჩნია, რომ აქ მთავარია მართვის სუბიექტის ხელი-სუფლების ფარგლები. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი უფ-ლებამოსილია განმარტოს მხოლოდ ის სამართლებრივი ნორმა, რომელსაც სა-სამართლო უფარდებს საქმის განხილვისას. ანდა სხვაგვარად, პლენუმი განმარ-ტავს სამართლებრივ ნორმას, რომლის შეფარდება სასამართლოს მოღვაწეობით ერის შემოსაზღვრული. თუ სათანადო ნორმის შეფარდება არ ამოიწურება ამ სფეროთი, მაშინ პლენუმმა მისი განმარტება უნდა თხოვოს სსრ კავშირის უმა-ღლესი საბჭოს პრეზიდიუმს. ეს აიხსნება იმით, რომ სასამართლოს მოღვაწეო-ბის სფეროს გარეთ და ამასთან არასასამართლო ორგანოებისათვის პლენუმის განმარტებას სავალდებულო ძალა არა აქვს[1].

ტ. დობროვოლსკაიამ სწორად შენიშნა, რომ პლენუმის სახელმძღვანელო დადგენილება უპირველეს ყოვლისა გამიზნულია სასამართლო ორგანოებისათ-ვის. მაგრამ პლენუმის სახელმძღვანელო დადგენილება სავალდებულოა არა მხოლოდ სასამართლოებისათვის. სასამართლო ორგანოების აქტებს სავალდებუ-ლო ძალა აქვთ ყველა სუბიექტისათვის. პლენუმის სახელმძღვანელო დადგე-

[1] См. Т. Н. Добровольская. Верховный Суд СССР. М., 1964, стр. 93.

ნილება სავალდებულოა არა მარტო სასამართლოებისათვის, იურისდიქციული ორგანოებისათვის, არამედ ნებისმიერი თანამდებობის პირისა და მოქალაქისათვის. ამიტომ ამ ნიშნის მიხედვით საძიებელი საკითხის გადაწყვეტა პრობლემატურად გვეჩვენება, რადგან პლენუმი უარს ვერ იტყვის სახელმძღვანელო დადგენილების მიღებაზე, თუ სასამართლო პრაქტიკაში რაიმე კანონის შეფარდება არასასამართლო ორგანოების მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული. აქ გადამწყვეტია თავად კანონის შინაარსი და არა პლენუმის ნება. „სსრ კავშირში მართლმსაჯულების ამოცანაა უზრუნველყოს ყველა დაწესებულების, ორგანიზაციის, თანამდებობის პირისა და სსრ კავშირის მოქალაქის მიერ კანონის ზუსტი და განუხრელი შესრულება“ (სასამართლო წყობილების საფუძვლების მეორე მუხლი).

ა. ვენგეროვი და ი. კუზნეცოვი მეტად ზოგად კრიტერიუმებს გვთავაზობენ; მათი აზრით, პლენუმისა და პრეზიდიუმის უფლებამოსილების გამიჯვნისას უნდა ვიხელმძღვანელოთ „განმარტების სუბიექტის ხელისუფლების ფარგლებით“ და აგრეთვე „განმარტების ობიექტის საზოგადოებრივი მნიშვნელობით“[2]. ეჭვსგარეშეა, ასეთი კრიტერიუმები პრაქტიკულად ხელს ვერ შეუწყობენ საძიებელი საკითხის გადაწყვეტას.

ეს კრიტერიუმები უფრო დააკონკრეტა ო. ტიომუშკინმა. იგი ასე მსჯელობს: ნორმატიული აქტის მოცულობას განსაზღვრავს კანონმდებელი. ამიტომ მხოლოდ მას აქვს უფლება შეიტანოს ცვლილებები, გააფართოოს ან, პირიქით, შეზღუდოს ამ აქტის მოქმედება. თუ კანონის რედაქცია სხვადასხვა წაკითხვის შესაძლებლობას უშვებს, თუ საჭიროა კანონის განვრცობითი ან შეზღუდვითი განმარტება მის ასოანბანურ შინაარსთან შედარებით, მაშინ საამისო უფლება აქვს მხოლოდ კანონმდებელს ან მის აღმასრულებელ ორგანოს—უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს. ამიტომ უმაღლესი სასამართლოს პლენუმს შეუძლია მხოლოდ კანონის ადეკვატური (ასოანბანური) განმარტება. თუ სასამართლო პრაქტიკის განზოგადების ან კონკრეტული საქმის განხილვის შედეგად საჭირო გახდება კანონის განვრცობითი განმარტება, მაშინ პლენუმმა მისი განმარტება უნდა თხოვოს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმს[3].

სასამართლოს და მით უფრო სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მოღვაწეობის შემოფარგვლა კანონის ასოანბანური განმარტებით საკითხის მეტისმეტი გაუფასურებაა. ო. ტიომუშკინის (და არა მარტო ო. ტიომუშკინის) მოსაზრება იმ არასწორ წანამძღვარს ემყარება, თითქოს კანონის განვრცობითი და შეზღუდვითი განმარტებით იცვლება სამართლებრივი ნორმის მოქმედების მოცულობა კანონის ნამდვილ შინაარსთან შედარებით. სინამდვილეში კი რორგორც განვრცობითი, ისე შეზღუდვითი განმარტების მიზანია გაირკვეს კანონის შინაარსი, რაშაც ტექსტში ვერ ჰპოვა ზუსტი ასახვა. არც შეზღუდვითი და არც განვრცობითი განმარტება არ ცვლის კანონის დედააზრს. რატომ უნდა შევბორკოთ სასამართლო დაადგინოს კანონის შინაარსი? იმის ნათელსაყოფად, თუ რამდენად მიუღებელია ეს მოსაზრება, მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს.

---

[2] См. А. Б. Венгеров, И. Н. Кузнецов. Судебная практика и законодательная инициатива Верховного Суда СССР и Верховных судов союзных республик (Сб. «Судебная практика в советской судебной системе», М., 1975, стр. 97).

[3] О. П. Темушкин. Толкование закона пленумом Верховного Суда СССР («Советское государство и право», 1976, № 12, стр. 40).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რსფსრ, მოლდავეთის სსრ და ესტონეთის სსრ სისხლის სამართლის კოდექსები დანაშაულს განსაზღვრავენ როგორც საზოგადოებრივ საშიშ ქმედობას, რომელიც გათვალისწინებულია **სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილით.** ცნობილია, რომ ნოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში ახალი საკავშირო კანონის ასახვამდე გარკვეული დრო გადის. ამ მომენტამდე ასეთი კანონი უშუალოდ მოქმედებს მთელი კავშირის და მათ შორის მოხსენებული რესპუბლიკების ტერიტორიაზე. იქმნება თავისებური მდგომარეობა: მოქმედებს საკავშირო კანონი, რომელიც აწესებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას რაიმე ქმედობისათვის, მაგრამ ასოანბანური განმარტებით თითქოსდა ეს ქმედობა ამ სამი რესპუბლიკის ტერიტორიაზე დანაშაულად არ ჩაითვლება. ამ კოდექსებით ხომ აუცილებელია, რომ ქმედობა გათვალისწინებული იყოს როგორც დანაშაული სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილით? აქ კანონის განვრცობითი განმარტების გარეშე მის შინაარსს ვერ დავადგენთ, ე. ი. კანონში გათვალისწინებულ იმ დებულებას, რომ დანაშულად ითვლება სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილით გათვალისწინებული ქმედობა, განვრცობითი განმარტება უნდა მივცეთ და მასში ვიგულისხმოთ ის სისხლისსამართლებრივი ნორმაც, რომელიც ჯერ არ შეუტანიათ კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში.[4] განა ამ საკითხზე შეიძლება სასამართლომ ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს თხოვოს კანონის განვრცობითი განმარტება? სასამართლოს სრული უფლება აქვს განმარტოს მოხსენებული კანონის ტექსტი მისი ნამდვილი აზრის დასადგენად.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 91-ე მუხლის თანახმად ამ და სხვა სათანადო მუხლებით დანაშაული განმეორებით ჩადენილად ჩაითვლება, თუ მას წინ უსწრებდა **საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის** მოცემული მუხლისა და სხვა მუხლებით გათვალისწინებული რაიმე დანაშაული. თუ 91-ე მუხლს მხოლოდ ასოანბანურად განვმარტავთ, სუბიექტს, რომელმაც პირველად ქურდობა ვთქვათ, რუსეთში ჩაიდინა, მეორედ კი საქართველოში, ვერ დავსჯით განმეორებით ჩადენილი ქურდობისათვის, რადგან 91-ე მუხლში პირდაპირ მითითებულია, რომ წინა ქურდობაც ჩადენილი უნდა იყოს საქართველოში. რასაკვირველია, აქაც აუცილებელია 91-ე მუხლის განვრცობითი განმარტება. თანაც ასეთ განმარტებას გააკეთებს თვით საქმის გამრჩევი სასამართლო.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 85-ე მუხლით დაწესებულია პასუხისმგებლობა საერთაშორისო ფრენის წესების დარღვევისათვის. ეს მუხლი დამატებით სასჯელად ითვალისწინებს საჰაერო ხომალდის კონფისკაციას. ამ დამატებით სასჯელს ვერ გამოვიყენებთ საბჭოთა საჰაერო ხომალდის მიმართ, რადგანაც მისი ერთადერთი მესაკუთრეა საბჭოთა სახელმწიფო. აქ უკვე საქმე ეხება კანონის შეზღუდვით განმარტებას.

2. ჩვენ ვფიქრობთ, რომ კანონის განამრტებისას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის უფლებამოსილების გამიჯვნისათვის შეიძლება მხოლოდ **საორიენტაციო კრიტერიუმების** დადგენა.

---

4 ეს საკითხი არ წარმოიშობა სხვა რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებით, რადგან მათში დანაშაულის ცნების განსაზღვრისას მითითებულია არა სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილზე, არამედ საზოგადოდ სისხლის სამართლის კანონზე (იხ. მაგ., საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს აქვს კანონის ავთენტურა განმარტების უფლება. კონსტიტუციაში თანაც დათქმული არ არის, თუ სახელდობრ რომელ კანონს განმარტავს პრეზიდიუმი. როგორც უკვე ითქვა, კანონთა ერთი ჯგუფის ან უფრო ზუსტად იმ კანონთა ნორმატიული განმარტების უფლება, რომლებიც სასამართლო პრაქტიკაში გამოიყენება, აქვს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმს. ეს არის საერთო წესი. სხვათაშორის ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ უკანასკნელ წლებში უმაღლესი სასამართლოს პლენუმი შედარებით უფრო იშვიათად შედის წარდგინებებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში. უფრო მეტიც, ზოგჯერ სსრ კავშირს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი კანონის განმარტების თაობაზე პლენუმის წარდგინების განხილვისას არ უარყოფს ამ წარდგინებას და აღასთან ავალებს პლენუმს თვითონვე მისცეს სათანადო განმარტება სასამართლოებს[5].

მაგრამ აქ მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს მინიჭებული აქვს იმ ორგანოების კონტროლისა და ზედამხედველობის უფლება, რომლებიც ანგარიშვალდებული არიან უმაღლესი საბჭოს წინაშე. კერძოდ, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს დებულების მე-2 მუხლით სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო ანგარიშვალდებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წინაშე, ხოლო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიათა შორის — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე. ამ უფლებიდან გამომდინარე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი გააუქმებს უმაღლესი სასამართლოს პლენუმის სახელმძღვანელო დადგენილებას, რომელიც კანონს არ შეესაბამება. ეს უფლება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ერთხელ გამოიყენა კიდეც: პარტიისა და მთავრობის 1935 წლის 31 მაისის დადგენილებით დაწესდა არასრულწლოვანთა პასუხისმგებლობა ზოგიერთი დანაშაულისათვის 14 წლის ასაკიდან. სასამართლო პრაქტიკაში სადავოდ იქცა საკითხი არასრულწლოვანთა პასუხისმგებლობის შესახებ 14 წლის ასაკიდან მკვლელობისა და სხეულის დაზიანებისათვის. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა გადაწყვიტა, არასრულწლოვანი მკვლელობისა და სხეულის დაზიანებისათვის პასუხს აგებს მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, თუ ეს დანაშაული ჩადენილია განზრახი ბრალით. პლენუმის ამ დადგენილებას არ დაეთანხმა სსრ კავშირის პროკურორი, რომელიც ამის გამო წარდგინებით შევიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1941 წლის 7 ივლისს განმარტა, რომ 1935 წლის 7 აპრილის დადგენილებით პასუხისმგებლობა დაწესებულია როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებლობით მკვლელობისა და სხეულის დაზიანებისათვის.

მოტანილი მაგალითი საფუძველს გვაძლევს ასეთი დასკვნებისათვის: 1) სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი თვითონვე განმარტავს კანონს, რომელიც სასამართლო პრაქტიკაში გამოიყენება, თუ პლენუმმა ეს კანონი არასწორად განმარტა; 2) სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი განმარტავს კანონს, რომელიც სასამართლო პრაქტიკაში გამოიყენება, თუ

[5] Сб. «Верховный Суд СССР». М., 1974, стр. 68.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პლენუმის მიერ ამ კანონის არასწორი განმარტების გამო სსრ კავშირის გენერალური პროკურორი წარდგინებას შეიტანს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში. სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს საამისო უფლება დაუკანონდა 1955 წელს სსრ კავშირში საპროკურორო ზედამხედველობის დებულების 29-ე მუხლით.

დებულებით სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს შესახებ და სხვა საკანონმდებლო აქტებით მოწესრიგებული არ არის პლენუმის მიერ სახელმძღვანელო დადგენილების პროექტის განხილვის წესი. ამიტომ ასეთ შემთხვევაში გამოიყენება სათანადო დამატებებით ის ზოგადი მითითებები, რაც გათვალისწინებულია დებულებით სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს შესახებ. კერძოდ, სახელმძღვანელო დადგენილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პლენუმის მონაწილეთა უბრალო უმრავლესობა.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პრაქტიკაში იყო შემთხვევა, როცა სახელმძღვანელო დადგენილების მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა რიცხვი თანაბრად გაიყო. მაგალითად, 1925 წლის 3 ოქტომბერს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენარულ სხდომაზე იხილებოდა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პროკურორის მიერ წარდგენილი დადგენილების პროექტი. ხმების გაყოფის გამო სხდომამ დაადგინა-საკითხი განუხილავად დაეტოვებინა. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პროკურორმა გააპროტესტა პლენუმის დადგენილება სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში. სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა განმარტა, რომ ხმების გაყოფის შემთხვევაში საკითხის განხილვა გადატანილი უნდა იქნას ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში.[6]

ამ მაგალითიდან შეიძლება ასეთი ზოგადი დასკვნა გავაკეთოთ: თუ სახელმძღვანელო დადგენილების განხილვისას პლენუმის მონაწილეთა ხმები გაიყო, მაშინ კანონს განმარტავს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

ა. მიცკევიჩს მიაჩნია, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი კანონს განმარტავს, თუ მოქმედი კანონების შედარებითაც ვერ დგინდება სათანადო კანონის შინაარსი.[7] ასეთ შემთხვევად შეიძლება ჩაითვალოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის 44-ე მუხლის შეფარდების თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება.[8]

დასასრულ, ამ საკითხის კიდევ ერთი ასპექტი, რომელსაც სერიოზული თეორიულ-პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. საქმე ეხება ანალოგიით სისხლის სამართლის კანონის შეფარდებას.

სადღეისოდ ჩვენს იურიდიულ ლიტერატურაში თითქმის ერთსულოვანი შეხედულება არსებობს შესახებ იმისა, რომ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის 1958 წლის საფუძვლების მიღების შემდეგ ანალოგიით სისხლის სამართლის კანონის შეფარდება დაუშვებელია. მხოლოდ რამდენიმე სამართალმცოდნე (თ. წერეთელი, ი. საბო, ვ. ლაზარევი, ო. გამყრელიძე და ა. ნაუმოვი) არ თვლის ამ მოსაზრებას

---

[6] См. «Вестник Верховного Суда СССР», 1926 г., № 3, стр. 24.

[7] См. А. В. Мицкевич, Акты высших органов советского государства, М., 1967, стр. 107.

[8] იხ. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები. 1964 წ. № 20, მუხ. 244".

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავსებით ზუსტად, ვფიქრობთ, ამ უკანასკნელთა მოსაზრებას კანონისმიერი საფუძველი აქვს.

იურისტები, რომლებიც უარყოფენ ანალოგიით სისხლის სამართლის კანონის შეფარდებას, ასეთ წანამძღვრებს ემყარებიან: 1958 წლამდე მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობა შეიცავდა დებულებას ანალოგიის გამოყენების შესაძლებლობის შესახებ. ვინაიდან 1958 წლის საფუძვლები და მათ შესაბამისად მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსები ასეთ დებულებას აღარ ითვალისწინებენ, ამიტომ საერთოდ ანალოგია სისხლის სამართალში აკრძალულია.

ამ საკითხის გარკვევისათვის აუცილებელია ანალიზი გავუკეთოთ წინათ და ამჟამად მოქმედ კანონმდებლობას.

თავდაპირველად მკითხველს შევახსენებთ, რომ სამართალში არსებობს ანალოგიის ორი სახე: კანონის ანალოგია და სამართლის ანალოგია.

კანონის ანალოგია გულისხმობს სამართლებრივი ნორმის გავრცელებას ისეთ ურთიერთობაზე, რომელიც მოწესრიგებული არ არის სამართლებრივი ნორმით, მაგრამ ნორმით მოწესრიგებული ურთიერთობის მსგავსია. კანონის ანალოგია პირდაპირ იყო გათვალისწინებული საქართველოს სსრ 1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსით და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების იმდროინდელი სისხლის სამართლის კოდექსებით. საქართველოს სსრ 1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლის მიხედვით „უკეთუ ესა თუ ის საზოგადოებრივად საშიში ქმედობა სისხლის სამართლის კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული არ არის, პასუხისმგებლობის საფუძველსა და ფარგალს, აგრეთვე სოციალური დაცვის ღონისძიებას სასამართლო განსაზღვრავს ამა კოდექსის კერძო ნაწილის იმ მუხლის ანალოგიით, რითაც გათვალისწინებულია მნიშვნელობით და გვარით ყველაზე უფრო მსგავსი დანაშაული“.

სამართლის ანალოგია ნიშნავს საკითხის გადაჭრას იმ ზოგადი სამართლებრივი პრინციპის საფუძველზე, რომელიც დაწესებულია ანალოგიური სამართლებრივი ინსტიტუტებისათვის ან სამართლის მოცემულ დარგისათვის.

კანონმდებლობის ახალ კოდიფიკაციამდე სამართლის ანალოგიას ითვალისწინებდა საქართველოს სსრ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლი: „უკეთუ კანონი ან განკარგულება საკმაო არ არის რომელიმე საქმის გადასაწყვეტად, სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს საბჭოთა კანონმდებლობის ზოგადი საფუძვლებით და მუშათა და გლეხთა მთავრობის საერთო პოლიტიკით“. იმდროინდელი სისხლის სამართლის კანონმდებლობა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა სამართლის ანალოგიას. ამასთან იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ სამართლის ანალოგია დასაშვები იყო სამართლის ამ დარგებშიც. „...შეცდომა იქნებოდა, — წერდა პროფ. თ. წერეთელი, — გვეფიქრა, რომ სამართლის ანალოგია სისხლის სამართლის სფეროში აკრძალულია. რა თქმა უნდა, სამართლის ანალოგია არ შეიძლება გამოყენებული იქნეს კოდექსით გაუთვალისწინებელი საზოგადოებრივად საშიში ქმედობის კრიმინალიზაციისათვის; ასეთი მიზნისათვის სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილია კანონის ანალოგია, გათვალისწინებული სპეციალური მუხლით (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლი). ხოლო სხვა შემთხვევებში სამართლის ანალოგიის გამოყენება სრულიადაც არ არის აკრძალული,

თუ იგი ბრალდებულის დასჯადობის გაძლიერების საშუალებას არ წარმოადგენს".[9]

ამ თვალსაზრისით საინტერესოა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1946 წლის 17 მაისის დადგენილება ზ.-ს საქმეზე. ამ დადგენილებაში ნათქვამია, რომ სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის ნორმების დისპოზიციებში არსებული ხარვეზი შეიძლება შევსებულ იქნეს არა სისხლის სამართლის კანონმდებლობის საერთო საწყისების მიხედვით, არაშედ მხოლოდ რსფსრ 1926 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მე-16 მუხლისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამისი მუხლების საფუძველზე. „რაც შეეხება კანონის ხარვეზს ისეთი საკითხის გადაჭრის დროს, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილს ეკუთვნის, სასამართლოს, როდესაც იგი სისხლის სამართლის კანონში ხარვეზის არსებობას დადგენს, უფლება აქვს მიმართოს საბჭოთა სისხლის სამართლის ზოგად საწყისებს და მათი მეშვეობით შეავსოს კანონის ხარვეზი..."[10].

ამრიგად, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის 1958 წლის საფუძვლების მიღებამდე სისხლის სამართლის კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული იყო მხოლოდ კანონის ანალოგია. რაც შეეხება ანალოგიით სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის ნორმის შეფარდებას, სასამართლო პრაქტიკაში იგი გამოიყენებოდა ისე, რომ არ მიუთითებდნენ მუხლს ანალოგიით კანონის შეფარდების შესახებ.

1958 წლის საფუძვლების და მოკავშირე რესპუბლიკების ახალი სისხლის სამართლის კოდექსები შეიცავენ პრინციპს „nullum crimen sine lege". ამრიგად, დაუშვებელია რაიმე საზოგადოებრივად საშიში ქმედობის მიმართ ანალოგიით ისეთი სისხლის სამართლის კანონის შეფარდება, რომელიც აწესებს პასუხისმგებლობას მსგავსი ქმედობისათვის. თუ შესაბამისი ქმედობა უშუალოდ არ შეიცავს კანონისმიერი დანაშაულის შემადგენლობას, მაშინ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ წარმოიშობა. **ეს არის ურყევი პრინციპი.** მაგრამ სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლის ანალოგიით შეფარდების აკრძალვა არ ნიშნავს პრინციპულად სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის სათანადო მუხლის ანალოგიით შეფარდების აკრძალვას თუ ეს ბრალდებულის ინტერესებს არ შელახავს[11]. მოვიტანთ მხოლოდ ერთ მაგალითს.

---

9 თ. წერეთელი, ანალოგიის ცნება საბჭოთა სისხლის სამართალში. თსუ შრომები. 1956 წ., ტ. 61, გვ. 7. პროფ. მ. ისაევი აღნიშნავდა, რომ სამართლის ხარვეზის შევსების მეთოდი, მითითებული სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში, არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ისეთი წესი, რომელიც მარტო სამოქალაქო სამართალს შეეხება (იხ. М. М. Исаев. Судебная практика Пленума Верховного Суда СССР как источник Советского уголовного права. «Уч. записки ВИЮН». Вып. V стр. 79—80.

10 М. М. Исаев, А. А. Пионтковский. Вопросы уголовного права, военно-уголовного права и уголовного процесса в судебной практике Верховного Суда СССР. М., 1947, стр. 8.

11 გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 1968 წ. სისხლის სამართლის კოდექსის მე-4 მუხლის მე-3 ნაწილი უშუალოდ შეიცავს მითითებას ანალოგიის შესახებ. ამ მუხლით ქმედობა მხოლოდ მაშინ გამოიწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, თუ იგი გათვალისწინებული იყო მისი ჩადენისას კანონით, თუ სამართალდამრღვევი მოქმედებდა ბრალეულად და მისი ბრალი უდავოდ არის დადგენილი. სისხლის სამართლის კანონისათვის უკუძალის მიცემა და მისი შეფარდება ანალოგიით ბრალდებულის საწინააღმდეგოდ დაუშვებელია. იხ. ამ საკითხზე: Strafrecht, Allgemeiner Teil. Lehrbuch, Berlin, 1976, გვ. 162–163.

ჯერ კიდევ 30-იან წლებში სასამართლო პრაქტიკაში იხილებოდა საწარმოო რისკთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეები. 1932 წელს რსფსრ იუსტიციის სამინისტრომ სასამართლოების ყურადღება გაამახვილა სამეურნეო დანაშაულთა შესახებ საქმეთა განხილვისას ე. წ. ტექნიკური რისკის გათვალისწინების აუცილებლობაზე[12]. ლ.-ს საქმის გამო გამოტანილ განჩინებაში სსრ კავშირის უმაღლესმა სასამართლომ აღნიშნა, რომ „განსაზღვრულ პირობებში საწარმოო რისკი შეიძლება ჩაითვალოს სამართალში მიცემულის პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებად“[13]. სხვა საქმის გამო გამოტანილ განჩინებაში სსრ კავშირის უმაღლესმა სასამართლომ ფაქტიურად პატივსადები რისკის შემთხვევაში პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება დაასაბუთა ბრალის არარსებობით.[14]

ამ ორი საქმის შედარებით ვრწმუნდებით, რომ სასამართლო პრაქტიკას ჯერ კიდევ არ შეუმუშავებია ერთიანი პოზიცია საწარმოო რისკთან დაკავშირებული ქმედობის იურიდიული ხასიათის შესახებ. ძირითადი მიზეზი პრაქტიკის ასეთი მერყეობისა ის არის, რომ სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილით განსხვავებით აუცილებელი მოგერიებისა და უკიდურესი აუცილებლობისა გათვალისწინებული არ არის მართლზომიერი რისკი, როგორც პასუხისმგებლობის გამომრიცხველი დამოუკიდებელი გარემოება. ეს მისი ხარვეზია.

მართლზომიერი საწარმოო რისკის გარეშე შეუძლებელია წარმოებისა და ტექნიკის პროგრესი. ამის გამო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსებში საგანგებოდ არის გათვალისწინებული სამეურნეო რისკი პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებად.

საწარმოო რისკი ნაწილობრივ, მაგრამ არა მთლიანად ემთხვევა უკიდურეს აუცილებლობას. მათ შორის განსხვავების ნათელსაყოფად შეიძლება მოვიტანოთ სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის ის მუხლები, რომლებიც ითვალისწინებენ პასუხისმგებლობას როგორც ზიანის მიყენებისათვის, ისე ამ ზიანის მიყენების საშიშროების შექმნისათვის. მაგალითად, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 241-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულია მოძრაობის წესებისა და ტრანსპორტზე მოქმედი წესების დარღვევა, თუ ასეთი დარღვევა ქმნიდა მავნე შედეგის მიყენების საფრთხეს. აქ საქმე გვაქვს კონკრეტული საფრთხის შემქმნელ დელიქტთან. ამ ნუხლის სხვა ნაწილებით გათვალისწინებულია იმავე წესების დარღვევით დამდგარი მავნე შედეგი. ამ შემთხვევაში ლაპარაკობენ რეზულტატურ დელიქტზე. უკიდურესი აუცილებლობის შესახებ ნორმის გამოყენება შეუძლებელია 241-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედობის სუბიექტის მიმართ. ეს გასაგებიცაა: უკიდურესი აუცილებლობა ხასიათდება რეალური, კონკრეტული ზიანის მიყენებით სამართლით დაცული სიკეთისათვის. საფრთხის შემქმნელი დელიქტი კი არ გულისხმობს ზიანის მიყენებას. ამის გამო მართლზომიერი რისკით საფრთხის შექმნისათვის პირს

---

[12] См. «Сборник циркуляров и разъяснений НКЮ РСФСР», М., 1934, стр. 245—246.

[13] «Сборник постановлений Пленума и определений коллегий Верховного Суда СССР. 1964. М., 1948. стр. 145—146.

[14] «СП ВС СССР». 1946 г., II/XXIV, стр. 112.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერ გავათავისუფლებთ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან უშუალოდ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-16 მუხლზე (უკიდურესი აუცილებლობა) მითითებით. ამიტომ რჩება ერთადერთი გამოსავალი: მართლზომიერი რისკით საფრთხის შექმნისათვის სუბიექტი შეიძლება გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ანალოგიით მე-16 მუხლზე მითითებით.

სასამართლო პრაქტიკაში სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის სათანადო მუხლის შეფარდება ანალოგიით დიდ სიფრთხილესა და წინდახედულობას მოითხოვს. ეს სიფრთხილე და წინდახედულობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, თუ ანალოგიით სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის ნორმის შეფარდება აუარესებს ბრალდებულის (სამართალში მიცემულის) მდგომარეობას. ამიტომ, ჩვენი შეხედულებით ისეთ შემთხვევაში, როდესაც სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილით გათვალისწინებული ნორმის ანალოგიით შეფარდება აუარესებს ბრალდებულის მდგომარეობას, მაშინ ამ საკითხის გამო სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა სახელმძღვანელო დადგენილება კი არ უნდა მიიღოს, არამედ უნდა გამოიყენოს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება. თანაც ასეთ ინიციატივას წინ უნდა უძღოდეს საზოგადოებრივი პრაქტიკისა და მათ შორის სასამართლო პრაქტიკის კონკრეტულ-სოციოლოგიური გამოკვლევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავეთანხმოთ თუ არა ა. ხონიაკინას წინადადებას?

ო. გამყრელიძე

ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ 1977 წლის № 3-ში განოქვეყნდა ა. ხონიაკინას წერილი „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 186-ე და 188-ე მუხლების სრულყოფისათვის“. წერილი განხილვის წესით არის დაბეჭდილი და ამიტომ მინდა გამოვთქვა ჩემი აზრი ავტორის მიერ დასმულ საკითხზე.

ა. ხონიაკინას მტკიცებით, სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება შეცდომები თანამდებობის ბოროტად გამოყენების კვალიფიკაციის დროს, რაც „ნაწილობრივ“ თითქოს იმითაც აიხსნება, რომ „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 186-ე მუხლის რედაქცია არასრულყოფილია“. კერძოდ, მას მხედველობაში აქვს ამ მუხლის მეორე ნაწილის დისპოზიცია: ი გ ი ვ ე ქ მ ე დ ო ბ ა, ჩადენილი სისტემატურად, ანგარებით ან სხვა პირადი მოტივით ან რასაც განსაკუთრებით მძიმე შედეგი მოჰყვა. იგულისხმება თუ არა „იგივე ქმედობაში“ 186-ე მუხლის პირველი ნაწილით აღწერილი შემადგენლობის ორივე ნიშანი: 1) სამსახურებრივ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს განზრახ ჩადენა ან არჩადენა და 2) რამაც ა რ ს ე ბ ი თ ი ზ ი ა ნ ი მიაყენა სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს ან მოქალაქის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს?

ავტორი არ უარყოფს იმ უდავო ფაქტს, რომ ორივე ეს ნიშანი აუცილებელია ქმედობის 186-ე მუხლის მეორე ნაწილით დაკვალიფიცირებისათვის. „...როდესაც საქართველოს სსრ სსკ 186-ე მუხლის მეორე ნაწილში ლაპარაკია იგივე ქმედობაზე, — წერს ა. ხონიაკინა — მაშინ აუცილებელი უნდა იყოს სწორედ სამსახურებრივ მოთხოვნათა საწინააღმდეგო განზრახ მოქმედება ან უმოქმედობა, რასაც არსებითი ზიანი მოჰყვა“. ასეთია კანონის ნამდვილი აზრი. მიუხედავად ამისა, იგი მაინც ფიქრობს, რომ „ამ დანაშაულებრივი ქმედობის ფაბულა მუხლში არასრულყოფილად არის მოცემული“.

„საქართველოს სსრ სასამართლოების პრაქტიკის შესწავლამ ცხადყო, განაგრძობს მსჯელობას ა. ხონიაკინა — რომ კანონის არასრულყოფილება კონკრეტული საქმეების განხილვის პროცესში გარკვეულად სწორდება. ბევრი სასამართლოს განაჩენების მიხედვით ანგარებით ან სხვა პირადი მოტივით თანამდებობის ბოროტად გამოყენებისათვის აუცილებელი არ არის, რომ ამ ქმედობას მოჰყვეს არსებითი ზიანი“.

როგორც ამ ამონაწერიდან ირკვევა, საქართველოს სსრ სსკ 186-ე მუხლის მეორე ნაწილის დისპოზიციის „არასრულყოფილობა“ ინაში მდგომარეობს, რომ აქ აღწერილი შემადგენლობის ერთ-ერთი აუცილებელი ნიშანია „არსებითი ზიანი“. ხსენებული მუხლით გათვალისწინებული ქმედობა, ავტორის აზრით, საზოგადოებრივად იმდენად საშიშია, რომ „მართებულია პი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის სისხლის სამართლის წესით დასჯა ისეთ შემთხვევებშიც, როცა მას არსებითი ზიანი არ მოჰყოლია“.

თუ რამდენად სწორია ეს მოსაზრება არსებითად, ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი, როცა ავტორის მიერ შემოთავაზებულ საკანონმდებლო წინადადებას განვიხილავთ. აქ წინასწარ მხოლოდ ორ შენიშვნას გავაკეთებ. ჯერ ერთი, ვერ დავეთანხმები იმ აზრს, თითქოს 186-ე მუხლი „არასრულყოფილია“ იმის გამო, რომ იგი სამსახურებრივ მოთხოვნათა საწინააღმდეგო მოქმედების ან უმოქმედობის დასჯადობისათვის აუცილებლად მოითხოვს „არსებით ზიანს“. თანამდებობის ბოროტად განკარგვა თავისთავად აღებული ქმედობათა მეტად ფართო წრეს მოიცავს. ამიტომ კანონმდებელს შემოაქვს „არსებითი ზიანის“ ცნება, რათა ამ ნიშნით შეზღუდოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სფერო. შეიძლება ვინმეს, ა. ხონიაკინას მსგავსად, არ მოსწონდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სფეროს ასეთი შეზღუდვა და ნართებულად მიაჩნდეს ამ ნიშნის ამოღება შემადგენლობიდან, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, თითქოს 186-ე მუხლის დღევანდელი რედაქცია „არასრულყოფილია“. „არასრულყოფილობა“, პირიქით, სულ სხვა რამეს გულისხმობს. ეს ისეთი შემთხვევაა, როცა კანონმდებლის აზრი და კანონის ტექსტი, რომლითაც ეს აზრია გამოხატული, ერთმანეთს არ შეესაბამება, როცა კანონის ტექსტი არ არის ნათელი, ბუნდოვანია და ამიტომ არ მოიცავს ზოგიერთ ისეთ ქმედობას, რაც ამ ტექსტით ლოგიკურად აუცილებლად უნდა იყოს მოცული და სხვ. საქართველოს სსრ სსკ 186-ე მუხლის დისპოზიციაში კი მსგავსი ბუნდოვანება და, მაშასადამე, „არასრულყოფილება“ არ შეიმჩნევა. ამ მუხლში სწორედ ის აზრია გამოხატული (არსებითი ზიანი), რასაც კანონმდებელი ნამდვილად გულისხმობდა.

მეორეც, ის, რომ კანონის ეს „არასრულყოფილობა“ სასამართლო პრაქტიკაში თურმე „გარკვეულად სწორდება“. თუკი სასამართლოები „არსებით ზიანს“ მხედველობაში არ იღებენ, როგორც ეს სასამართლო პრაქტიკის შესწავლით განოვლინდა, რაღა თქმა უნდა, ვერ ყოფილა კარგად საქმე. ჩანს, რომ პრაქტიკა სწორი გზით არ მიდის. მაგრამ გამოთქმა — კანონის „არასრულყოფილობა სწორდება“ პრაქტიკაში — სულ სხვა აზრს შეიცავს. ისე გამოდის, თითქოს ამ მცდარ პრაქტიკას ნაცვლად იმისა, რომ დავიწუნოთ და უარვყოთ, მთლიანად ვიწონებთ. სასამართლო პრაქტიკას, რომ კანონის „შესწორების“ უფლება არა აქვს, ამას, მე მგონი, დიდი მტკიცება არა სჭირდება. რასაკვირველია, ნხედველობაში მაქვს ისეთი „შესწორება“, რომელიც დანაშაულის კონკრეტულ შემადგენლობას შეეხება. მით უმეტეს, თუ ამ „შესწორებას“ შედეგად მოსდევს პასუხისმგებლობის გაფართოება. გამორიცხული არ არის, რომ ზემოხსენებულმა მოსაზრებამ მცდარი წარმოდგენა შეუქმნას ზოგიერთ მოსამართლეს, თითქოს პრაქტიკაში შესაძლებელია კანონის „შესწორება“, რაც ერთგვარად შეარყევს კანონის ავტორიტეტს.

როგორც ვხედავთ ა. ხონიაკინა არ ეთანხმება საქართველოს სსრ სსკ 186-ე მუხლის დღევანდელ კონსტრუქციას და წინადადებას გვთავაზობს, რომ შემუშავდეს ამ მუხლის „უფრო სრულყოფილი რედაქცია“. მისი აზრით, საქართველოს სსრ სსკ 186-ე მუხლი შემდეგნაირად უნდა ჩამოყალიბდეს:

„ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, ე. ი. თანანდებობის პირის განზრახ მოქმედება ან უმოქმედობა სამსა-

ხურებრივ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ ანგარებით, ან სხვა პირადი მოტივით, ან თუ მან არსებითი ზიანი მიაყენა სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს.

ისჯება სამ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთით ან გამასწორებელი სამუშაოებით ერთ წლამდე ვადით ან თანამდებობიდან დათხოვნით.

იგივე ქმედობა, ჩადენილი სისტემატურად, ან თუ მას მოჰყვა განსაკუთრებით მძიმე შედეგი.

ისჯება შვიდ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთით".

პირველი, რაც აქ მკითხველს თვალში ხვდება, ის არის, რომ, თუ 186-ე მუხლის დღევანდელი კონსტრუქციის მიხედვით ანგარება ან სხვა პირადი მოტივი ამ დანაშაულის მაკვალიფიცირებელი ნიშნებია და ხსენებული მუხლის მეორე ნაწილით არის გათვალისწინებული, ავტორს ისინი ამ მუხლის პირველ ნაწილში გადმოაქვს. ერთი შეხედვით ისე ჩანს, თითქოს ეს ერთგვარად ამსუბუქებს პასუხისმგებლობას. სინამდვილეში კი საქმე სულ სხვაგვარად არის. 186-ე მუხლის ავტორისეული ვარიანტის მიხედვით თანამდებობის ბოროტად გამოყენება ანგარებით ან სხვა პირადი მოტივით პასუხისმგებლობას იწვევს იმისდა მიუხედავად, მოჰყვა თუ არა მას არსებითი ზიანი. ამით კი ხსენებული მუხლის მოქმედების სფერო უსაზღვროდ ფართოვდება.

ჩემი აზრით, საკითხის ასეთი გადაწყვეტა, ჯერ ერთი, უსაშველოდ გაფართოებს პასუხისმგებლობას, რისი აუცილებლობაც ავტორს დასაბუთებული არა აქვს. მარტო იმის თქმა, თითქოს ანას მოითხოვს „დანაშაულის გაზრდილი საზოგადოებრივი საშიშროება", საქმეს ვერ შველის. აქ, უპირველეს ყოვლისა, წამოიჭრება სასჯელის ეფექტურობის საკითხი. რამდენად ეფექტური იქნება და ხელს შეუწყობს ამ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას ყოველგვარ სამსახურებრივ დარღვევაზე სასჯელის გამოყენება? ამას საგანგებო დასაბუთება სჭირდება, თუმცა საეჭვოა ეს ვინმემ დაასაბუთოს.

მეორეც, თითქმის წაიშლება ზღვარი სამსახურებრივ გადაცდომასა და სისხლის სამართლის დანაშაულს შორის. „არსებითი ზიანი", რაც მოქმედი კანონმდებლობით ამ დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელი ნიშანია, არის ის მყარი საფუძველი, რომელიც დისციპლინურ გადაცდომას სისხლის სამართლის დანაშაულისაგან მიჯნავს. მართალია, „არსებითი ზიანი" შეფასებითი ცნებაა და ამიტომ ანისი განსაზღვრა ერთგვარ სირთულეს წარმოშობს ხოლმე პრაქტიკაში, მაგრამ ანის გამო ხსენებული ნიშნის უგულვებელყოფა, ვფიქრობ, მაინც არ შეიძლება.

მესამეც, პასუხისმგებლობის ასეთი გაფართოება მაინც არავითარ შედეგს არ გამოიღებს, რადგან სისხლის სამართლის სფეროში იმდენი მოქმედებები ჩოექცევა, რომ ყველა მათგანზე სისხლის სამართლებრივი რეაგირება პრაქტიკულად შეუძლებელი გახდება. ხომ ცნობილია, რომ ჩვენ ბევრ შემთხვევაში მაშინაც ვერ ვახერხებთ საქმის აღძვრას, როცა სამსახურებრივ მოთხოვნათა საწინააღმდეგო მოქმედებას ან უმოქმედობას არსებითი ზიანი მოჰყვა. ამიტომ გასაგებია, თუ რა სიძნელეებს წავაწყდებით პრაქტიკაში საქმის აღძვრის დროს, როცა დასახელებულ ქმედობას არსებითი ზიანი არ მოჰყოლია.

თუმცა „არსებით ზიანს" ავტორი სრულიად როდი უგულვებელყოფს. მისი აზრით, თუ თანამდებობის ბოროტად გამოყენება არ არის ჩადენილი ან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარებით ან სხვა პირადი მოტივით, მაშინ დასჯადობისათვის აუცილებელია, რომ ხსენებულმა ქმედობამ ა რ ს ე ბ ი თ ი ზ ი ა ნ ი მიაყენოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს. მაგრამ აქ რატომღაც გამოტოვებულია 186-ე ნუხლით აღწერილი შემადგენლობის მეტად მნიშვნელოვანი და აუცილებელი ნიშანი — მოქალაქის უფლებები და კანონიერი ინტერესები. ამრიგად, ადამიანის „უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს" ა. ხონიაკინას მიერ შემოთავაზებული კონსტრუქცია დაუცველად ტოვებს, რაც მის დიდ ნაკლად უნდა მივიჩნიოთ.

გარდა ამისა, ავტორი მოითხოვს, რომ 186-ე მუხლის სანქციაშიც იქნეს შეტანილი ცვლილებები და გაძლიერებულ სასჯელებს გვთავაზობს. ამ მუხლის პირველი ნაწილით, როგორც ვიცით, დაწესებულია თავისუფლების აღკვეთა ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოები ერთ წლამდე ან თანამდებობიდან დათხოვნა. ავტორი წინადადებას იძლევა დაწესდეს თავისუფლების აღკვეთა სან წლამდე ვადით, ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილისათვის მოითხოვს შვიდ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ნაცვლად ხუთისა, რაც მოქმედი კანონით არის დაწესებული. ერთი სიტყვით, საქართველოს სსრ სსკ 186-ე მუხლის ავტორისეული კონსტრუქციით არა მარტო ამ მუხლის დისპოზიციაა გაფართოებული, არამედ სანქციაც საგრძნობლად არის გაძლიერებული.

ამრიგად, თუ ანგარებით ან სხვა პირადი მოტივით ჩადენილი თანამდებობის ბოროტად გამოყენება არსებითი ზიანის მიუყენებლად ამჟამად საერთოდ არ ისჯება, ავტორის აზრით, იგი უნდა დაისაჯოს სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთით. ანავე დროს, სისტემატურობის ნიშანი ავტორს კვლავ მეორე ნაწილში დაუტოვებია. ამიტომ ანგარებით ან სხვა პირადი მოტივით სისტემატურად თანამდებობის ბოროტად გამოყენება არსებითი ზიანის მიუყენებლად დაისჯება შვიდ წლამდე თავისუფლების აღკვეთით მაშინ, როცა ასეთი ქმედობა მოქმედი კანონით საერთოდ არ იწვევს პასუხისმგებლობას.

მაგრამ თუ 186-ე მუხლის ავტორისეული კონსტრუქცია, ერთი ნხრივ, მეტისმეტად აფართოებს სასჯელის გამოყენების სფეროს, სამაგიეროდ, მეორე მხრივ, იგი ავტორის სურვილის საწინააღმდეგოდ, მოქმედ კანონთან შედარებით, გაუმართლებლად ამსუბუქებს პასუხისმგებლობას. კერძოდ, თუ ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგონარეობის ბოროტად გამოყენება ანგარებით ან სხვა პირადი მოტივით არსებით ზიანს გამოიწვევს, დამნაშავემ, ა. ხონიაკინას მიხედვით, პასუხი უნდა აგოს 186-ე მუხლის პირველი ნაწილით სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთით, მაშინ, როცა მოქმედი კანონით ასეთი ქმედობა ისჯება 186-ე მუხლის მეორე ნაწილით ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთით. ასე, რონ ავტორს ამ ნაწილში მისდა უნებურად, პასუხისმგებლობის გაძლიერების ნაცვლად, პასუხისმგებლობის შემსუბუქება გამოუვიდა.

გარდა ამისა, მას მხედველობიდან გამოპარვია, რომ საქართველოს სსრ სსკ 186-ე მუხლი კონსტრუქციულად ძლიერ წააგავს 187-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით აღწერილ შემადგენლობებს. ორივე მუხლის პირველ ნაწილში ლაპარაკია არსებითი ზიანის მიყენებაზე სახელნწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესების ან მოქალაქის უფლებებისა და კანონიერი ინტერესებისათვის, ხოლო ორივე მათგანის მეორე ნაწილით ისჯება იგივე ქმედობა, ჩადენილი სისტემატურად, ანგარებით ან სხვა პირადი მოტივით, ან რასაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებით მძიმე შედეგი მოჰყვა. სანქციებიც ამ მუხლებისა ასევე ზუსტად ემთხვევა ერთმანეთს. ჩემი აზრით, ეს შემთხვევითი არ უნდა იყოს. როგორც ჩანს, კანონმდებელმა ერთიან სისტემაში მოაქცია ისინი. ამიტომ, როდესაც საქართველოს სსრ სსკ 186-ე მუხლის კონსტრუქციის შეცვლას ვაპირებთ, იმაზეც უნდა ვიფიქროთ, რომ ეს მუხლი კოდექსის სისტემიდან არ ამოვაგდოთ და არა დავარღვიოთ შესაბამისობა მასა და ამავე კოდექსის 187-ე მუხლს შორის.

მაგალითად, რატომ არის, რომ ანგარებით ან სხვა პირადი მოტივით ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება საქართველოს სსრ სსკ 186-ე მუხლის მეორე ნაწილიდან ამავე მუხლის პირველ ნაწილში გადაგვაქვს და არსებით ზიანსაც მხედველობაში აღარ ვიღებთ, ხოლო ამავე მოტივებით ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება კვლავინდებურად 187-ე მუხლის მეორე ნაწილში რჩება? რატომ არის, რომ ხსენებული ქმედობა, თუ მან არსებითი ზიანი გამოიწვია, ახალი კონსტრუქციის მიხედვით დაისჯება საქართველოს სსრ სსკ 186-ე მუხლის პირველი ნაწილით სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთით და 187-ე მუხლის მეორე ნაწილით — ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთით.

გამოდის, რომ ანგარებით ან სხვა პირადი მოტივით ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, თუ ნან არსებითი ზიანი გამოიწვია, უფრო ნაკლებად საშიშია, ვიდრე ამავე მოტივებით ჩადენილი ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, რაც ავტორს დასაბუთებული არა აქვს. იგივე ითქმის არსებითი ზიანის ამოღებაზე 186-ე მუხლიდან, მაშინ, როცა ეს ნიშანი კვლავ რჩება 187-ე მუხლით აღწერილ შემადგენლობაში. ან კიდევ, ა. ხონიაკინას მიხედვით, საქართველოს სსრ სსკ 186-ე მუხლით არ უნდა იქნეს გათვალისწინებული ნოქალაქის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა, ხოლო 187-ე მუხლი ამ სიკეთეს კვლავ იცავს. რა დააშავა იმ მოქალაქემ, ვისაც არსებითი ზიანი მიაყენეს არა ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებით, არამედ ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით! ასე, რომ ძნელია დავეთანხმოთ საქართველოს სსრ სსკ 186-ე მუხლის ავტორისეულ კონსტრუქციას.

ავტორი წერილის დასასრულს გაკვრით ეხება აგრეთვე საქართველოს სსრ სსკ 188-ე მუხლსაც. მხოლოდ ან მუხლის მიმართ მას, როგორც თვითონ ამბობს, უფრო „სტილისტური“ ხასიათის შენიშვნა აქვს. როგორც ცნობილია, საქართველოს სსრ სსკ 188-ე მუხლის პირველი ნაწილით ისჯება დაუდევრობა... რამაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს, ან მოქალაქის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს.

ამავე მუხლის მეორე ნაწილით კი ისჯება იგივე ქმედობა, რასაც განსაკუთრებით მძიმე შედეგი მოჰყვა. აი, სწორედ ეს ფორმულირება — „იგივე ქმედობა“ — ნიაჩნია მას „უხერხულ“ გამოთქმად. რახან ამ მუხლის პირველი ნაწილის აუცილებელი ნიშანია „არსებითი ზიანი“, ხოლო მეორე ნაწილში ლაპარაკია „იგივე ქმედობაზე, რასაც განსაკუთრებით მძიმე შედეგი მოჰყვა“, გამოდის, რომ „ჯერ აუცილებლად უნდა იყოს არსებითი ზიანი, რათა მუხლის შემადგენლობა იყოს, და მერე — განსაკუთრებით მძიმე შედეგიც“. ეს გამოთქმა, მისი აზრით, გარკვეულ უხერხულობას ქმნის პრაქტიკაში. ამი-

ტომ ავტორს უკეთესად ნიაჩნია საქართველოს სსრ სსკ 188-ე მუხლის პირველი ნაწილი დარჩეს უცვლელად, ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილში სიტყვები — „იგივე ქმედობა, რასაც განსაკუთრებით მძიმე შედეგი მოჰყვა“ — შეიცვალოს სიტყვებით: „დაუდევრობა, რასაც განსაკუთრებით მძიმე შედეგი მოჰყვა“. ეს შესწორება, თუმცა წმინდა სტილისტური ხასიათისაა და არსებითად არაფერს ცვლის, მე მგონია, მაინც ურიგო არ უნდა იყოს, რადგან სიტყვა „დაუდევრობა“ ამ შემთხვევაში უფრო ნათლად განიხატავს აზრს და უფრო მოხერხებულია, ვიდრე სიტყვები „იგივე ქმედობა“. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ასეთივე შეუსაბამობა კვლავ რჩება საქართველოს სსრ სსკ 186-ე და 187-ე მუხლებში, რომელთა მეორე ნაწილში ასევე ლაპარაკია „იგივე ქმედობაზე“.

ასეთია ჩემი აზრი ა. ხონიაკინას მიერ შემოთავაზებულ საკანონმდებლო წინადადებაზე. შესაძლებელია ეს აზრი ვინმეს საჭოჭმანოდაც მოეჩვენოს და საკამათოც კი გახდეს. მაგრამ ეს, ნე ვფიქრობ, ცუდი არ არის. ჯანსაღ კამათს მხოლოდ სარგებლობის მოტანა შეუძლია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევოლუციის კეთილშობილი რაინდი

ვ. ბენიძე,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

ფელიქს ედმუნდის ძე ძერჟინსკი ეკუთვნის პროფესიონალ რევოლუციონერთა იმ კოჰორტას, რომელსაც წილად ხვდა დიდი ბედნიერება, მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით სათავეში ჩასდგომოდა დედამიწაზე თანასწორუფლებიანობისა და სამართლიანობის დამკვიდრებისათვის ბრძოლას. ფ. ე. ძერჟინსკიმ მრავალგზის განიცადა რეპრესია, იგემა ცარიზმის არაადამიანური სისასტიკე, მაგრამ გული არასოდეს გაუტეხია, მომავლის იმედი არ დაუკარგავს და ფარხმალი არ დაუყრია.

რკინის ფელიქსი, კომუნიზმის კეთილშობილი რაინდი, ოქტომბრის გმირი, რევოლუციის ჯარისკაცი, საბჭოთა ქვეყნის ფხიზელი გუშაგი, ბურჟუაზიის რისხვა, სოციალისტური მრეწველობის დაუღალავი აღმშენებელი, პარტიის საქმისათვის შეუდრეკელი და მგზნებარე მებრძოლი, — ასე მონათლა ფ. ე. ძერჟინსკი მადლიერმა საბჭოთა ბალშმა. ყველას, ვინც კი თვალს გადაავლებს მის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, მთელი სიღიადით წარმოუდგება უკვდავი პიროვნება ფელიქსისა, ადამიანური ადამიანისა, უდიდესი ჰუმანისტისა და პატრიოტისა, მამულისა და მშობლების ღირსეული შვილისა, განუმეორებელი მეოჯახისა, მეუღლისა და მამისა, შესაშური ძმისა, ბიძისა და ნათესავისა, ბუნებისა და სილამაზის ტრფიალის, მართლმეოცნების და უდიდესი ოპტიმისტისა.

ფ. ე. ძერჟინსკი დაიბადა 1877 წლის 30 აგვისტოს (11 სექტემბერი) ლიტვაში, ვილნოს გუბერნიის სოფ. ძერჟინოვოში. მამამისმა ედმუნდ იოსების ძე ძერჟინსკიმ, წარმოშობით ღარიბმა პოლონელმა აზნაურმა, 1863 წელს დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტი და გიმნაზიაში ასწავლიდა ფიზიკასა და მათემატიკას. დედა — ელენე ეგნატეს ასული იანუშევსკაია მცირე შეძლების აზნაურის, პეტერბურგის სამხედრო სასწავლებლის პედაგოგის შვილი იყო.

საკმაოდ განათლებულმა და პროგრესულად მოაზროვნე მშობლებმა იმთავითვე უდიდესი ზეგავლენა მოახდინეს ფ. ე. ძერჟინსკის მეამბოხე სულის ჩამოყალიბებაზე.

„დედის ამაღელვებელი ნაამბობი პოლონელი, ლიტველი და ბელორუსი ხალხების ჩაგვრაზე, მეფის დამქაშ ჯალათ მურავიოვ „ჩამომხრჩობლის“ მიერ 1863 წელს პოლონელი ხალხის აჯანყების ჩაქრობაზე, ღრმად ჩაწვდა გულში ფელიქსს და ჩაუნერგა მას მხურვალე პროტესტი ყოველგვარი უსამართლობისა, ძალადობისა და ჩაგვრის წინააღმდეგ“[1].

1887 წლის აგვისტოში ფ. ე. ძერჟინსკი სწავლას იწყებს ქ. ვილნოს პირველ გიმნაზიაში.

ეროვნული ჩაგვრა, ცარიზმის ველიკორსული შოვინიზმის პარპაში მწვავედ იგრძნობო-

---

1 ს. ძერჟინსკაია, „რევოლუციის კეთილშობილი რაინდი“. გაზ. „კომუნისტი“, 1946 წ. 20 ივლისი.

და გიმნაზიაში. ამან კიდევ მეტად გაუღვივა ფელიქსს არსებული წყობილების სიძულვილი.

1894 წელს, ჯერ კიდევ მეშვიდე კლასის მოსწავლე, პოლიტიკურ განათლებას მოწყურებული ახალგაზრდა შედის სოციალ-დემოკრატიულ თვითგანათლების წრეში, ერთი წლის შემდეგ კი ლიტვის სოციალ-დემოკრატიის ორგანიზაციის წევრი ხდება.

ფ. ე. ძერჟინსკი გულმოდგინედ სწავლობს კ. მარქსის და ფ. ენგელსის „კომუნისტური პარტიის მანიფესტს", ფ. ენგელსის „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობას", ვ. ი. ლენინის „რანი არიან ხალხის მეგობრები" და როგორ იბრძვიან ისინი სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ" და სხვა მარქსისტულ ნაწარმოებებს. მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრების დამოუკიდებლად შესწავლის პარალელურად იგი ხელმძღვანელობს შინამრეწველებისა და ქარხნების მუშაახალგაზრდობის წრეებს.

„ვსწავლობ მარქსიზმს, — წერდა ფ. ძერჟინსკი, — და ვხელმძღვანელობ ხელოსნებისა და ფაბრიკის შეგირდების წრეებს"[2]

1896 წელს ფელიქს ედმუნდის ძე თავისი ნებით სტოვებს ვილნოს გიმნაზიას და ხდება პროფესიონალი რევოლუციონერი. პარტიამ დააკმაყოფილა მისი თხოვნა, რომ არ აკმარონ წრეებში მუშაობა და მისცენ ხალხის მასებში გასვლის საშუალება. 1897 წელს იგი იგზავნება ქ. კოვნოში სპეციალური დავალებით — მოამზადოს საფუძველი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შესაქმნელად. აქ მიიღო ახალგაზრდა ძერჟინსკიმ პირველი რევოლუციური ნათლობა. სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შექმნისათვის სააგიტაციო ღონისძიებებთან ერთად იგი ნაყოფიერ მუშაობას ეწევა პოლიტიკური გაფიცვის ფართოდ გაშლისათვის. ძერჟინსკის შრომას ფუჭად არ ჩაუვლია, ქალაქში მალე გაჩაღდა საგაფიცვო მოძრაობა. და სწორედ ქუჩაში გაცხოველებული აგიტაციის დროს ძერჟინსკი ხელთ იგდეს უანდარმებმა, რომლებიც გულმოდგინედ ეძებდნენ გაფიცვების ორგნიზატორებს. ერთი წლის გამოძიების შემდეგ მას სამი წლით ასახლებენ ვიატკის გუბერნიის პატარა ქ. ნოლინსკში. ფ. ე. ძერჟინსკიმ აქაც, ერთ-ერთ ფაბრიკაში გააჩაღა რევოლუციური მუშაობა. დამფრთხალმა ადგილობრივმა ხელისუფლებმა ურჩი ხასიათისათვის, პოლიციასთან უთანხმოებისათვის და იმისათვის, რომ „კეთილსაიმედოებს" „არაკეთილსაიმედოებად" ხდის იგი იმით დასაჯეს, რომ 500 კილომეტრით უფრო ჩრდილოეთში, სოფ. კაიგოროდსკოეში გადაასახლეს. ძერჟინსკის აქაც არ მიუტოვებია რევოლუციური მოღვაწეობა. იგი ხმას იმაღლეს ადგილობრივი ხელისუფლების წინააღმდეგ, კავშირს ამყარებს ვიატკის გუბერნიის სხვა მაზრებში გადასახლებულ პოლიტპატიმრებთან, ადგილობრივ გლეხებს აძლევს რჩევა-დარიგებებს მათთვის საჭირბოროტო საკითხებზე და ა. შ.

მიუხედავად აუტანელი პირობებისა ძერჟინსკის მომავლის რწმენა არ დაუკარგავს და წუწუნი არ დაუწყია.

„შენ მე საცოდავს მიწოდებ — სწერს ძერჟინსკი დას — 1898 წლის 13 იანვარს,— სასტიკად სცდები. მართალია, მე არ შემიძლია ვთქვა, რომ კმაყოფილი ვარ. ...თუმცა მე გაცილებით ბედნიერი ვარ იმათთან შედარებით, ვინც „თავისუფლებაში" უაზრო ცხოვრებას ეწევა. ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული არჩევანი: ციხე თუ უმიზნო თავისუფალი ცხოვრება, მე უყოყმანოდ ავირჩევდი პირველს, სხვანაირად არსებობას აზრი არ ექნებოდა. ამიტომ, მართალია, ციხეში ვარ, მაგრამ გულს არ ვიტეხ. ციხე იმით არის კარგი, რომ საკმარისი დრო მაქვს კრიტიკული თვალით გადავხედო საკუთარ წარსულს, ეს ჩემთვის სასარგებლოა.... ციხე მხოლოდ მას აშინებს, ვისაც სუსტი ნებისყოფა აქვს[3].

იმავე წლის 7 სექტემბრის წერილში ძერჟინსკი ძმის ბედზე შეწუხებულ დას არწმუნებს, რომ მან სწორი გზა აირჩია, რომ იგი და მისი მსგავსნი მომავალი ბედნიერი ცხოვრებისათვის იბრძვიან. ხალხის კეთილდღეობაზე ფიქრი კი აბათილებს ყოველგვარ ცხოვრებისეულ წვრილმან უსიამოვნებებს. მისთვის სულერთია ვინ რას ფიქრობს მის ბედზე, მას ვერასოდეს ვერავინ შეაცვლევინებს არჩეულ გზას...

„...ცხოვრებამ შეიძლება გამანადგუროს იმის მსგავსად, როგორც ქარიშხალი ამსხვრევს ასწლიან მუხებს..., მაგრამ ვერასოდეს ვერ გარდამქმნის — წერდა ძერჟინსკი —

---

[8] Феликс Дзержинский «Дневник заключенного. Письма». Изд. «Молодая Гвардия», Москва, 1967, стр. 7.

[3] Феликс Дзержинский «Дневник заключенного Письма». Изд. «Молодая Гвардия», Москва, 1967, стр. 11—12.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემს ბრძოლას შეიძლება საზღვარი დაუდოს მხოლოდ სამარემ"[4].

1899 წლის აგვისტოში ფ. ე. ძერჟინსკი ახერხებს გადასახლებიდან გაქცევას და ხექტემბრის დასაწყისში ბრუნდება ვილნოში. იგი მაშინვე ჩაება პრაქტიკულ რევოლუციურ საქმიანობაში. როგორც თანმიმდევრული ინტერნაციონალისტი, ძერჟინსკი მკაცრად ილაშქრებს ლიტვის სოციალ-დემოკრატიის ნაციონალური პოლიტიკის წინააღმდეგ, ებრძვის ყველა ერის მშრომელთა გაერთიანებისათვის. ვილნოდან ძერჟინსკი გადადის ვარშავაში, უახლოვდება მოწინავე მუშებს, ხელმძღვანელობს ამბოხებებს, საფუძველს უყრის „მუშათა სოციალ-დემოკრატიულ კავშირს", აწყობს არალეგალურ სტამბას, ამზადებს პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიის გაერთიანებას, გამაერთიანებელი ყრილობისათვის სწერს სათანადო პროგრამის პროექტს. 1900 წლის იანვარში ძერჟინსკი მონაწილეობს ყრილობის მუშაობაში, რომელმაც მიიღო დადგენილება პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის გაერთიანების შესახებ. აირჩიეს ცენტრალური კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შეყვანილ იქნა ფ. ე. ძერჟინსკი. ახალი რევოლუციური პერსპექტივებით აღფრთოვანებული ფელიქსის ბჩქეფარე საქმიანობა დროებით შეწყდა. 1900 წლის თებერვალში მას კვლავ აპატიმრებენ. ორი წელი ვარშავის ციტადელსა და სედლეცკის საპყრობილეში გაატარა, ხოლო შემდეგ 5 წლით გადაასახლეს აღმოსავლეთ ციმბირში.

„1902 წელს 5 წლით გადამასახლეს აღმოსავლეთ ციმბირში — იგონებს ფ. ე. ძერჟინსკი, — იმავე წლის ზაფხულში ვილიუსკში მიმავალმა ვერხოლენსკიდან ესერ ხლადკოპეჯცევთან ერთად გავიქეცი ნავით. ამჯერად გავემგზავრე საზღვარგარეთ"[5].

ძერჟინსკი ჩადის ბერლინში, სადაც გაეცნო ვ. ი. ლენინის გენიალურ შრომას „რა ვაკეთოთ?" და ლენინური „ისკრის" მახალებს, რამაც წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე. იგი შეუდგა პრაქტიკულ მუშაობას მარქსისტული პარტიის ლენინური გეგმის განხორციელებისათვის.

1902 წლის 1-4 აგვისტოს ბერლინში ფ. ე. ძერჟინსკის ინიციატივით მოწვეულ იქნა პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების კონფერენცია, რომელზეც იგი აკრიტიკებს პარტიის ხელმძღვანელობას უმოქმედობისათვის და გადაჭრით მოითხოვს გააქტიურდეს რევოლუციური საქმიანობა. კონფერენციაზე მიიღეს დადგენილება პარტიის ბეჭდვითი ორგანოს „წითელი დროშის" დაარსების შესახებ. კონფერენციამ ძერჟინსკი აირჩია პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიის საზღვარგარეთის კომიტეტის შემადგენლობაში. კონფერენციის შემდეგ ძერჟინსკი მიემგზავრება კრაკოვოში და ეწევა არალეგალურ პარტიულ მუშაობას „იუზეფის" ფსევდონიმით.

1903 წლის ივლისში ძერჟინსკის თაოსნობით მოწვეულ პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიის IV ყრილობაზე მიიღეს გადაწყვეტილება ამ პარტიის რხდმ პარტიასთან გაერთიანების შესახებ. თუმცა ეს გაერთიანება მაშინ არ მოხერხდა. ყრილობაზე ფ. ე. ძერჟინსკი აირჩიეს პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიის მთავარ სამმართველოს წევრად. 1904 წლის 31 დეკემბერს ფელიქს ედმუნდის ძე მიუმგზავრება ვარშავაში და სათავეში უდგება პოლონეთისა და ლიტვის პროლეტარიატის რევოლუციურ ბრძოლას. 1905 წელს აწყობს გრანდიოზულ სამაისო დემონსტრაციას რევოლუციური ლოზუნგებითა და მოწოდებებით. ცხენოსანმა ჟანდარმერიამ ტყვია დაუშინა დემონსტრანტებს, ქუჩები შეიღება ასეულობით დახოცილთა და დაჭრილთა სისხლით. დემონსტრანტთა მხეცურ დახვრეტას მშრომელებმა საერთო საპროტესტო გაფიცვით უპასუხეს. პოლიტიკურმა დემონსტრაციებმა და ამბოხებებმა მთელი ქვეყანა მოიცვა. ქალაქებს მხარი დაუჭირა სოფლებმა. დაიწყო გლეხთა მღელვარება. შედრკა და შეტორტმანდა ცარიზმის უკანასკნელი დასაყრდენიც — არმია. ფ. ე. ძერჟინსკი არნახული ენერგიით ეწევა რევოლუციურ მუშაობას მსხვილ სამრეწველო ცენტრებში, სოფლებსა და ჯარის ნაწილებში. მან გამოიჩინა მასების ორგანიზატორის დიდი ნიჭი და უნარი. ლიტვის და პოლონეთის პროლეტარიატმა იგი თავის ბელადად აღიარა.

ფ. ე. ძერჟინსკი კვლავ აყენებს საკითხს პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიის რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიასთან გაერთიანების შესახებ, რადგან მის უდიდეს ნაკლად მიაჩნდა მისი არსებობა ლენინური პარტიისაგან, რუს ბოლ-

[4] Феликс Держинский, «Дневник заключеного. Письма». Изд. «Молодая Гвардия», Москва, 1967, стр. 16.

[5] Феликс Дзержинский, «Дневник заключенного. Письма». Изд. «Молодая Гвардия», Москва, 1967, стр. 9.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შევიკებისაგან მოწყვეტილად. ეს საკითხი დადებითად გადაიჭრა 1906 წლის აპრილში რსდმპ სტოკჰოლმის (გამაერთიანებელ) ყრილობაზე. პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია გამოცხადდა რსდმპ შემადგენელ ნაწილად. ვ. ი. ლენინი ყრილობის სახელით მიესალმა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ახალ წევრებს და გამოთქვა რწმენა, რომ გაერთიანება გახდება შემდგომი წარმატებითი ბრძოლის საიმედო საწინდარი. ძერჟინსკი პირველად აქ შეხვდა ვ. ი. ლენინს. ეს იყო უდიდესი მოვლენა მის ცხოვრებასა და მოღვაწეობაში. ბელადმა მაღალი შეფასება მისცა პოლონეთის რევოლუციური მოძრაობის განვლილ ეტაპს და აღნიშნა, რომ პოლონეთის პროლეტარიატმა აჩვენა პროლეტარული გმირობისა და ენთუზიაზმის შესანიშნავი ნიმუში.

ფ. ე. ძერჟინსკი აირჩიეს რსდმპ ცენტრალური კომიტეტის წევრად. 1906 წლის აგვისტოში იგი რამდენიმე ხნით გადადის პეტერბურგში, შემდეგ კვლავ ბრუნდება ვარშავაში. იმავე წლის ბოლოს ფ. ე. ძერჟინსკის აპატიმრებენ. 6-ჯერ დაპატიმრება, 3-ჯერ გადასახლება, რამდენიმეჯერ გამოქცევა, 11 წელზე მეტი ხნით საპყრობილეებსა და კატორღაში ყოფნა. აი რევოლუციის უშიშარი ჯარისკაცის ტანჯვისა და წამების სტატისტიკა, რომელმაც თუმცა შეარყია მისი ჯანმრთელობა, მაგრამ ვერაფერი დააკლო მის მებრძოლ სულსა და რკინისებურ ნებისყოფას.

ფ. ე. ძერჟინსკი თავისი შეგნებული ცხოვრების 22 წლის მანძილზე მეფის თვითმპყრობელობის ყოველდღიურ თვალთვალისა და მიყურადების პირობებში, რეპრესიების მუდმივი მუქარის ქვეშ დაუღალავად იბრძოდა მშრომელთა კეთილდღეობისათვის და ბოლომდე სისხლხორცეულად რევოლუციის საქმის ერთგული დარჩა.

1917 წლის რუსეთის თებერვლის რევოლუციამ, რომელმაც დაამხო ცარიზმი, ძერჟინსკი გაანთავისუფლა ბორკილებისაგან და მისცა საშუალება მთელი არსებით ჩაბმულიყო სოციალიზმისათვის აქტიურ ბრძოლაში. ძერჟინსკი თავის ყოველდღიურ გამოსვლებში მოსკოვის მუშებისა და ჯარისკაცების მრავალათასიან მიტინგებზე მტკიცედ იცავს დროებითი მთავრობისადმი უნდობლობის ბოლიტიკას, იბრძვის მენშევიკებისა და ესერების „ობოროონცობისა“ და შემთანხმებლობის პროპაგანდის წინააღმდეგ, აქტიურად მონაწილეობს ბოლშევიკების 1917 წლის აპრილის მოსკოვის საქალაქო და საოლქო კონფერენციების მუშაობაში.

პროლეტარული რევოლუციის მომზადების ყველაზე ბობოქარ და გადამწყვეტ მომენტში მოიწვიეს ბოლშევიკების პარტიის VI ყრილობა, რომელმაც დასახა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების კონკრეტული გზები. ყრილობაზე ძერჟინსკი აირჩიეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში.

1917 წლის 16 ოქტომბერს ცენტრალური კომიტეტის გაფართოებულ სხდომაზე არჩეულ იქნა სამხედრო რევოლუციური კომიტეტის ბირთვი, რევოლუციის შტაბი, პარტიული ცენტრი, რომლის შემადგენლობაში შევიდა ფ. ე. ძერჟინსკი. პარტიული ცენტრი განაგებდა და წარმართავდა ძლევამოსილი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მსვლელობას.

სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი წარმოადგენდა პროლეტარული სახელმწიფოს დროებით საგანგებო ორგანოს, რომელმაც ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების პირველ დღეებში უდიდესი მუშაობა გასწია ძველი სახელმწიფო აპარატის მსხვრევისა და საბჭოთა ხელისუფლების მშენებლობაში. როცა ახალგაზრდა სოციალისტური სახელმწიფოს საშინაო და საგარეო მდგომარეობა მკვეთრად გართულდა, საჭირო გახდა სპეციალური ორგანოს შექმნა, რომელიც არა მარტო შეძლებდა კონტრრევოლუციური წინააღმდეგობის სწრაფად ალაგმვას, არამედ ამასთან ერთად თავის დროზე გამოააშკარავებდა და უვნებელყოფდა საბჭოთა ხელისუფლების ყველა ჯურის მტრების ჩანაფიქრს, ასეთი ორგანო ჩამოყალიბდა სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის სახით. მისი შექმნის თეორიული დასაბუთება და პრაქტიკული განხორციელება წილად ხვდა მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ფუძემდებელს ვ. ი. ლენინს.

ვ. ი. ლენინმა პირველმა წამოაყენა საბჭოთა სახელმწიფოს უშიშროების სპეციალური ორგანოს შექმნის იდეა და მოგვცა მისი ხანგრძლივად არსებობის აუცილებლობის თეორიული დასაბუთება. „ასეთი დაწესებულების უქონლად, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — მშრომელთა ხელისუფლება ვერ იარსებებს, იგი გულდამშვიდებით ვერ იქნება, ვიდრე იარსებებენ ქვეყნად ექსპლოატატორები, რომლებსაც არა აქვთ სურვილი ლანგრით მიართვან მუშებსა და გლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხებს უფლებები მემამულეებისა, თავიანთი უფლებები კაპიტალისტებისა"6.

ვ. ი. ლენინი ღრმად იყო დარწმუნებული კონტრრევოლუციური ძალების აღკვეთისათვის სჭირო საგანგებო ღონისძიებათა გადაუდებლობისა და სპეციალური სახელმწიფო ორგანოს შექმნის აუცილებლობაში. 1917 წლის 20 დეკემბერს ფ. ე. ძერჟინსკისადმი მიწერილ ბარათში იგი ერთხელ კიდევ აგონებდა კომუნისტურ პარტიას, რომ „ბურჟუაზია, მემამულეები და ყველა მდიდარი კლასი მთელ ძალ-ღონეს იკრებენ — ძირი გამოუთხარონ რევოლუციას, რომელმაც უნდა დაკმაყოფილოს მუშების, მშრომელებისა და ექსპლოატირებული მასების ინტერესები.

ბურჟუაზია უბოროტეს დანაშაულს სჩადის, როცა მოსყიდვით იბირებს საზოგადოების ნაძირალებსა და გახრწნილ ელემენტებს, აკავშირებს მათ დარბევათა მიზნით. ბურჟუაზიის მომხრეები, განსაკუთრებით მაღალი მომსახურეებიდან, ბანკების მოხელეები და სხვა მუშაობის საბოტაჟს ეწევიან, აწყობენ გაფიცვებს, რათა ძირი გამოუთხარონ მთავრობის იმ ღონისძიებებს, რომლებიც სოციალისტურ გარდაქმნათა განხორციელებისკენაა მიმართული. საქმე სასურსათო საბოტაჟამდე მიდის, რაც შიმშილით ემუქრება მრავალ მილიონ ადამიანს.

საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება კონტრრევოლუციონერებთან და მესაბოტაჟეებთან საბრძოლველად"7.

ვ. ი. ლენინის მითითების საფუძველზე ფ. ე. ძერჟინსკიმ შეიმუშავა კონტრრევოლუციასთან და საბოტაჟთან ბრძოლის სპეციალური კომისიის შექმნის პროექტი. მანვე გააკეთა მონახაზი ამ კომისიის ძირითად უფლება-მოვალეობათა შესახებ.

იმავე დღეს, 1917 წლის 20 დეკემბერს, სახალხო კომისართა საბჭომ მოიწონა ძერჟინსკის მოხსენება სპეციალური ორგანოს შექმნის შესახებ და დაადგინა: ებრძოლოს მას კონტრრევოლუციასთან და საბოტაჟთან ბრძოლის სრულიად რუსეთის საგანგებო კომისია („ვეჩეკა").

მალე მას სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის ფუნქციაც დაემატა და ამის შესაბამისად ეწოდა კონტრრევოლუციასთან, საბოტაჟთან და სპეკულაციასთან ბრძოლის სრულიად რუსეთის საგანგებო კომისია.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის განმტკიცებისათვის ბრძოლის ქარცეცხლში შეიქმნა პირველი პროლეტარული სახელმწიფოს უშიშროების ორგანო, „რისხვა ბურჟუაზიისათვის, რევოლუციის ფხიზელი დარაჯი, პროლეტარიატის ამოწვდილი მახვილი"8, რომელიც ხალხის უსაზღვრო მხარდაჭერით სარგებლობდა. მას სათავეში ჩაუდგა სწორუპოვარი ჩეკისტი და უდიდესი მოქალაქე ფ. ე. ძერჟინსკი.

პროლეტარული რევოლუციის იაკობინელი, რუსეთის რევოლუციის ფუკიე ტენვილი, რომელსაც დაუინებით მოითხოვდა ვ. ი. ლენინი, მოიძებნა. ამრიგად, ვ. ი. ლენინმა არა მარტო წამოაყენა იდეა შინაგან და გარეშე კონტრრევოლუციასთან ბრძოლის სპეციალური ორგანოს — სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის შექმნის შესახებ, არამედ პრაქტიკულად უხელმძღვანელა კიდევაც მის შექმნას, ჩამოყალიბებას და განვითარებას, დაუსახა მას დიდი და საპასუხისმგებლო ამოცანები, რომელსაც ამუამადაც წარმატებით ახორციელებენ ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო უშიშროების ორგანოები.

„იმპერიალისტურ სახელმწიფოთა დაზვერვის, ნაირ-ნაირი საზღვარგარეთული ანტისაბჭოური ცენტრებისა და სხვა მტრული ელემენტების ძირგამომთხრელი მოქმედებისაგან საიმედოდ იცავენ საბჭოთა საზოგადოებას სახელმწიფო უშიშროების ორგანოები — აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობაზე, — ისინი საქმიანობენ საერთაშორისო მდგომარეობიდან და საბჭოთა საზოგადოების განვითარებიდან გამომდინარე მოთხოვნათა შესაბამისად. ჩვენი ჩეკისტები განაგრძობენ და ავითარებენ ტრადიციებს, რომლებსაც საფუძველი ჩაუყარა რევოლუციის რაინდმა ფელიქს ძერჟინსკიმ"9.

მხოლოდ და მხოლოდ ფელიქს ძერჟინსკის რკინისებურ ენერგიას, ფოლადისებურ ნებისყოფას და პირად გამბედაობას შეეძლო ასე სწრაფად შეექმნა ესოდენ მძლავრი, პროლეტარული რევოლუციის მონაპოვრის საიმედო დამცველი ორგანო, ისე რომ არაფერი

6 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33. გვ. 198.
7 ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 26, გვ. 435.
8 ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 10, გვ. 250.
9 ლ. ი. ბრეჟნევი. საანგარიშო მოხსენება სკკპ XXV ყრილობის. გაზ. „კომუნისტი", 1976 წ. 26 თებერვალი.

ესესხა მსოფლიოს არცერთი ქვეყნის სადაზვერვო სისტემიდან. კომუნისტური პარტიისა და მისი ბელადის ვ. ი. ლენინის მხარდაჭერით მან თავისი გონებითა და გარჯით შექმნა კაცობრიობის ისტორიაში ჯერ არნახული, სრულიად ახალი, უექსპლოატაციო საზოგადოების შესაფერისი, მაღალი ჰუმანური იდეებითა და საბჭოთა კანონიერების განუხრელად დაცვის პრინციპით შეიარაღებული, მშრომელი ხალხის ნების გამომხატველი და მისი ინტერესების თავდადებული მებრძოლი, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების საიმედო დასაყრდენი სახელმწიფო უშიშროების ორგანო.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებით სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის მუშაობას წარმართავდა კოლეგია ფ. ე. ძერჟინსკის ხელმძღვანელობით. კოლეგიაში შედიოდნენ მეფის რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში გამობრძმედილი, კონსპირაციული მუშაობის დიდი გამოცდილების მქონე კომუნისტები: ი. კ. ქსენოფონტოვი, ი. ხ. პეტერსი, მ. ი. ლაცისი, ვ. ვ. ფომინი, ვ. ო. მენჟინსკი და სხვები, რომელთა უმრავლესობამ რევოლუციის საქმის უანგარო ერთგულებით თავი გამოიჩინა ჯერ კიდევ სამხედრო რევოლუციური კომიტეტის მოღვაწეობის პერიოდში.

1918 წლის ოქტომბერში კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა ფ. ე. ძერჟინსკის თაოსნობით შედგენილი დებულება „სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიისა და ადგილობრივი საგანგებო კომისიების შესახებ“, რამაც უზრუნველყო ჩეკისტური აპარატების მკაცრი ცენტრალიზაციის პრინციპებზე ჩამოყალიბება. შინაგან და გარეშე კონტრრევოლუციასთან მებრძოლი ყველა ორგანო შეიკრა ერთ მთლიან, მონოლითურ ძალად, რაც შექმნილი ვითარების სწორად შეფასებისა და მის შესაბამისად ძალების განაწილების საუკეთესო პირობებს ქმნიდა.

თავიდანვე დიდი ყურადღება დაეთმო საგანგებო კომისიის მუშაკთა შერჩევას. საყოველთაოდ ცნობილია ფ. ძერჟინსკის გამონათქვამი „ჩეკისტი შეიძლება იყოს მხოლოდ ისეთი ადამიანი, რომელსაც აქვს გამჭრიახი გონება, მხურვალე გული და სპეტაკი ხელები“.

ყველა სხვა დადებით თვისებებთან ერთად საჭირო იყო დიდბუნოვანი, მაღალი ხელის მქონე კადრები, რომლებიც შეძლებდნენ სწორად, ობიექტურად განესაზღვრათ დანაშაულის ზომა და არ შეელახათ მოქალაქეთა უფლებები.

ფელიქს ძერჟინსკი საარაკოდ თავმდაბალი და უპრეტენზიო, გულისყურიანი და კაცთმოყვარე, სინდისის, სიწმინდისა და სიფაქიზის, პარტიისა და სამშობლოს მხურვალე სიყვარულის განსახიერება იყო და ამასვე მოითხოვდა ყველა თამშრომლისაგან. იგი დაუძინებელი მტერი იყო კუდაბზიკობისა და ქედმაღლობის, კარიერიზმის, პატივმოყვარეობისა და უხეშობისა. ეს თვისებები შემთხვევით ამოტივტივებულს, უღირსი ადამიანის ხვედრად მიაჩნდა. ძერჟინსკის აზრით ასეთი ჩეკისტი უვარგისია, როგორც თავისებურად ჩაჟანგული ინსტრუმენტი, როგორც დახვეწილი, ფაქიზი ფსიქოლოგიური მუშაობისათვის უნარდაკარგული ადამიანი[10].

ჩეკისტური კადრების ძერჟინსკისებურ ტრადიციებზე აღზრდამ, მათმა ზღაპრულმა თავდადებამ, ერთგულებამ, სიწმინდემ და მამაცობამ განაპირობა ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ბრძოლა— სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის წინაშე მდგომი, რთული ამოცანის გადაჭრა: სოციალისტური რევოლუციის მონაპოვრის დაცვა და განმტკიცება.

სამოქალაქო ომისა და უცხოეთის ინტერვენციის მძიმე პერიოდში საბჭოთა ქვეყნის უშიშროების ორგანოებმა ბრწყინვალედ ჩაბარეს გამოცდა. სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიამ, კომუნისტური პარტიისა და მშრომელი ხალხის ფართო მხარდაჭერით ადმოაჩინა ასეულობით კონტრრევოლუციური ორგანიზაცია, გამოაშკარავა და უვნებელყო ათასობით ჯაშუში, დივერსანტი, მავნებელი, ბანდიტი და სხვა პოლიტიკური დამნაშავე. ფ. ე. ძერჟინსკი თვითონ აქტიურად მონაწილეობდა იმ ქარიშხლიანი დღეების ბრძოლებში.

„მე ვიმყოფები ბრძოლის ქარცეცხლის შუაგულში, — წერდა ფ. ე. ძერჟინსკი თავის მეუღლეს 1918 წლის 27 მაისს, — ვცხოვრობ როგორც ჯარისკაცი, რომელმაც არ იცის დასვენება, რადგან ამას სამშობლოს გადარჩენის ინტერესები მოითხოვს. ჩემზე და ჩემიანებზე ფიქრის დრო არაა. შრომისა და ბრძოლის ჯოჯოხეთურობის მიუხედავად ჩემი გული ძველებურად ძგერს,

[10] Э. Ф. Дзержинский в ВЧК (Воспоминания), Москва, 1967, стр. 19.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის ისეთივეა, როგორიც წინათ იყო. ჩემი ცხოვრება განუწყვეტელი მოქმედებაა.

გონება მიკარნახებს მტრისადმი შეუბრალებლობას და მყოფნის ნებისყოფის სიმტკიცე ბოლომდე დავრჩე ამ აზრის ერთგული"[11].

ფ. ე. ძერჟინსკის ბუნებისაგან მომადლებულ ნიჭს მოვლენების წინასწარი განჭვრეტისა და ალღოს განსაცვიფრებელ უნარს უნდა ვუმადლოდეთ საბჭოთა ქვეყნის მტრების დროულ გამოაშკარავებასა და უვნებელყოფას.

შეწყდა ომის ცეცხლი, მაგრამ მოუსვენარ ფელიქსს წამითაც არ ჩაუმუხლია. როცა სამოქალაქო ომის, შინაგანი კონტრრევოლუციისა და უცხოეთის ინტერვენციის შედეგად უბატრონო ბავშვთა მოზღვავებამ ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყანა მცირეწლოვან დამნაშავეთა რიცხვის ზრდასთან ერთად პროსტიტუციისა და ეპიდემიის სწრაფი გავრცელების საშიშროების წინაშე დააყენა, ფ. ე. ძერჟინსკი მისთვის ჩვეული გატაცებით შეუდგა შექმნილი მდგომარეობის გამოსწორებას. ბავშვთა ხსნისათვის ფ. ე. ძერჟინსკის მიერ წამოწყებულმა ბრძოლამ, რომელიც საერთო სახალხო ლაშქრობად გადაიქცა, უამრავი მოზარდი გამოსტაცა შიმშილსა და ეპიდემიას და ჩააყენა ისინი ბედნიერი მომავლის მშენებელთა რიგებში.

არ არის ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყნის პოლიტიკური თუ სამეურნეო საქმიანობის ისეთი დარგი, რომლის განვითარებაში ფ. ე. ძერჟინსკს თავისი წვლილი არ შეეტანოს.

რჩებოდა რა ხრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის უცვლელ თავმჯდომარედ, იგი თავის ძალასა და ენერგიას დაუზოგავად ახმარდა სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების საპატიო საქმეს.

1921 წლის აპრილიდან ბოლშევიკურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ფ. ე. ძერჟინსკის მიანდო სახალხო მეურნეობის გადამწყვეტი უბნის თითქმის მთლიანად მოშლილი ტრანსპორტის აღდგენა. იგი გზათა სახალხო კომისრად ინიშნება.

„ძერჟინსკის არავითარი გამოცდილება არ ჰქონია სამეურნეო მუშაობისა, მაგრამ მის ბუნებას არ სჩვეოდა სიძნელის წინაშე უკან დახევა. მთელი თავისი რევოლუციური მგზნებარებით და ენერგიით შეუდგა იგი ახალ საქმეს, თავისი ენთუზიაზმით აღაფრთოვანა მუშები, მოსამსახურეები და პატიოსანი სპეციალისტები და მალე მოიპოვა უდიდესი წარმატებები"[12].

1921 წლის ზაფხულში, როცა საბჭოთა ქვეყანას მოუსავლიანობის გამო შიმშილის საშიშროება დაემუქრა, ფ. ძერჟინსკი ინიშნება რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის სასურსათო საკითხის მომგვარებელ სპეციალური კომისიის წევრად. ხოლო 1922 წლის იანვარში იგი, როგორც ხრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და რსფსრ შრომისა და თავდაცვის საბჭოს განსაკუთრებული რწმუნებული, მიემგზავრება ციმბირში დამშეული ქალაქებისა და რაიონების დახმარების მიზნით საგანგებო ღონისძიებების განსახორციელებლად.

1924 წლის თებერვალში ფ. ე. ძერჟინსკი იკავებს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პოსტს. იგი გვევლინება როგორც სოციალისტური მრეწველობის განუმეორებელი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი.

პოლიტიკური და ეკონომიური საქმიანობის, ბრძოლისა და შრომის ყველა უბანზე ფ. ე. ძერჟინსკის მიერ მოპოვებული წარმატებების საიდუმლოება თვით მის განსაცვიფრებელ ადამიანობაშია.

„ფელიქს ძერჟინსკის სახელს მთელი ქვეყანა იცნობდა. მაგრამ ყოველთვის როცა მას ადამიანი პირველად გაიცნობდა, ხშირად გაკვირვებული რჩებოდა. ნუთუ ეს კაცი, რომელიც თავზარცს სცემს პროლეტარიატის მტრებს, იგივე ფელიქსია, მომხიბვლელი თავისი უბრალოებით, უაღრესი პირდაპირობით და გულახდილობით, რომელიც ასე აჯადოებს ყველას მგრძნობიარობით და გულითადობით"[13].

იშვიათად მოიძებნება პოლიტიკური მოღვაწე, ვისაც ძერჟინსკის მსგავსად ვირტუოზულად შეეხამებინოს სახელმწიფოს მართვის, სამხედრო-ხალმარი, კონტრრევოლუციასთან ბრძოლის, სამეურნეო აღმშენებლობითი და სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობა. ფ. ე. ძერჟინსკმ, რომელსაც ვრთი წუთითაც არ შეუნელებია საბჭოეთის აშკარა თუ ფარულ მტრებთან გაფთრებული ბრძოლა, წარმატებით გაართვა თავი სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მრავალფერო-

[11] Ф. Дзержинский. «Дневник заключенного. Письма». Москва, 1967, стр. 257.

[12] ს. ძერჟინსკაია, „კომუნიზმის კეთილშობილი რაინდი". გაზ. „კომუნისტი", 1947 წ. 12 სექტემბერი.

[13] კრუიანოვსკი, „ფელიქსის ხსოვნისათვის".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვან და მეტად რთულ საქმიანობას. მისთვის არ არსებობდა დროისა და სივრცის პრობლემა. იგი დაუყოვნებლივ გამოჩნდებოდა ხოლმე იქ სადაც საჭირო იყო საგანგებო ღონისძიებების განხორციელება.

საბჭოთა საქართველოსაც არ მოჰკლებია ფ. ე. ძერჟინსკის ყურადღება. მან 1922 წლის შემოდგომაზე შემოიარა საქართველოს რამდენიმე ქალაქი და რაიონი, გაეცნო სოციალისტურ აღმშენებლობის ძირითად უბნებს და თავისი ბრძნული მითითებებით უდიდესი წვლილი შეიტანა მისი აღმავლობის უზრუნველყოფაში.

„მძლავრი, დიდი შინაგანი ცეცხლით და ინიციატივით აღსავსე, მამაცური სიმტკიცით აღჭურვილი დაბრკოლებათა წინაშე, პრაქტიკული პოლიტიკის ფართო ჰორიზონტით დაჯილდოებული[14] ფ. ე. ძერჟინსკი საბჭოთა ქვეყნის მტრებთან ბრძოლაში მუდამ გამარჯვებული გამოდიოდა. ასე მოხდა მაშინაც როცა კომუნისტურმა პარტიამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გააჩაღა მარქსიზმ-ლენინიზმის შენიღბული მტრების ტროცკისტებისა და ზინოვიელების წინააღმდეგ. კომუნისტური პარტიის მტრებისადმი უსაზღვრო სიძულვილითა და ზიზღით გამსჭვალულმა ფელიქს ედმუნდის-ძემ გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა მათ თავის უკანასკნელ სიტყვაში საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტის პლენუმზე 1926 წლის 20 ივლისს. თანამებრძოლთა ტაშის გრიალში დატოვა გამარჯვებულმა ფელიქს ედმუნდის-ძემ ტრიბუნა, მაგარმ ვინ იცოდა, რომ ზზოლოდ 3 საათის ცხოვრებაღა ეწერა რევოლუციის კეთილშობილ რაინდს.

ასე მოულოდნელად დასრულდა ფ. ე. ძერჟინსკის მგზნებარე ცხოვრება.

დღეს როცა სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებით შეიარაღებული საბჭოთა ხალხი ახალ-ახალი წარმატებებით შეხვდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მესამოცე წლისთავს, უაღრესად დიდია მადლიერების გრძნობა ფ. ე. ძერჟინსკისა და სხვა იმ უკვდავ გმირთა მიმართ, რომელთაც თავი შესწირეს კაცობრიობის სანუკვარი ოცნებას — კომუნიზმისათვის ბრძოლას.

---

14 მ. კალინინი, გაზ. „კომუნისტი", 1926 წ. 23 ივლისი.

ს. ბისოტკი

ცოცხლების ფურცის გაუჩინარებულები

(გაგრძელება)*

ვლასოვი მოღუშული ისმენდა. ბრაზი აღრჩობდა, რომ ვალერი თომას ძე ასე თავგამოდებით ყვებოდა თავის ბნელ საქმეებს, თან აღიარებდა, თან ეშინოდა ამ აღიარებისა და ცდილობდა ყველაფერი შემთხვევითი მოვლენებისათვის მიეწერა. ბოლოს კონსტანტინ ნიკოლოზის ძემ ვეღარ მოითმინა და გულმოსულმა უთხრა:

— ეს რა გამოდის? არ მახსოვს როდის დავიბადე, როგორ მოვხუცდი, არ ვიცი როგორ მოვკვდები?

ვალერი თომას ძე ისე მოიკუნტა, თითქოს დაარტყეს. კორნილოვმა კი ვლასოვს საყვედურით შეხედა.

თორმეტ საათზე მან თქვა:

— დღეს გვეყოფა, ვალერი თომას ძევ. ხვალ გამომძიებელთან გააგრძელებთ მოყოლას. მე კი სტუდენტების ფულით შეძენილი თქვენი „ვოლგა“ უნდა დავძებნო.

მოროზოვმა თავი დაიქნია და ისე დაემანჭა სახე, თითქოს ტირილს აპირებსო.

— მისაღებში მომიცადეთ. ვიმედოვნებ ხვდებით, რომ უნდა დაგაკავოთ.

მოროზოვმა ისევ დააუქნია თავი და მოკუზული გავიდა.

— აი, მოთავისეც ამას ჰქვია! — გაჯავრებით წარმოთქვა იგორ ვასილის ძემ, როცა კარი მიიხურა. — ჩემთან კი იმისათვის დადიოდა, რომ დაკარგული მანქანის გამო ეწუწურაქა. მანქანის გამტაცებლებისაგან ამორტიზაციის ფულის ამოღებას აპირებდა... გადავცემ სოციალისტური საკუთრების გატაცების და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლ განყოფილებას, უპატრონონ, კულტურის სასახლეში რევიზიაც ხომ მათი თხოვნით ჩატარდა.

ორი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც დააპატიმრეს მძღოლი ლიტკინი, მეტსახელად მაჯლაჯუნას რომ ეძახდნენ. ამ დღეებში ახალი თითქმის არაფერი მომხდარა და კორნილოვს ეჩვენებოდა, თითქოს ძიება ერთ წერტილზე გაიყინა. ლიტკინი გამომძიებელ კრასიკოვთან დაკითხვებზე ჯიუტად დუმდა, უარს ამბობდა ეთქვა, თუ სად იშოვა ტექნიკური ტალონის შეუვსებელი ბლანკები. ფულის თაობაზე კი ერთსა და იმავეს იმეორებდა, ბანქოს თამაშში მოვუგე შემთხვევით გაცნობილ პირსო. „ვარსკვლავიან ღამეებს“ ოპერატიული მუშაკები უთვალთვალებდნენ, მაგრამ ამას არ გამოუღია არავითარი შედეგი. მაჯლაჯუნას ძმაბიჭები იქ აღარ გამოჩენილან. ბელიანჩიკოვი სამმართველოში თითქმის აღარ ცხადდებოდა. საღამოობით ურეკავდა მხოლოდ კორნილოვს. თავისი ჯგუფით იგი ცდილობდა გამოერკვია, ვინ იყვნენ ეს ძმაბიჭები, კუსპარასავით ყველა ლიტკინის თანამოსამსახურე იყო თუ არა.

მაგრამ მესამე დღეს საქმე ერთბაშად დაიძრა ადგილიდან. ხელთ იგდეს ის ბარათი, რომლის გარეთ გადაცემასაც ლამობდა მაჯლაჯუნა. ბარათი ცოლის სახელზე იყო დაწერილი, მაგრამ შიგ ასეთი რამ ეწერა: „კუსპარას გადაეცი, რომ ინფარქტი გადავიტანე. წილი შენ მოგცენ“. კლავდია სერგის ასულმა ლიტკინამ გამომძიებლის დაკითხვაზე თქვა, რომ კუსპარა მისი ქმრის ძმაკაცი და თანამოსამსახურეა, ხოლო რაც შეეხება ინფარქტს, ვერაფერი გამიგია, ჩემი ქმარი გულს არასოდეს არ უჩიოდა...

კორნილოვმა ვერცკი მოასწრო ყურმილის დადება, რომ კაბინეტში შემოვიდა სიხარულით სახეგაბრწყინებული ბელიანჩიკოვი. ნახევარი საათის განმავლობაში მან მოახსენა იგორ ვასილის ძეს, რომ ჯგუფმა დოკუმენტურად დაადგინა ზოგიერთი საინტერესო გარემოება: უკანასკნელ წელს მეორე ტაქსმოტორის პარკის მძღოლმა ხილკოვმა, მაჯლაჯუნას ძმაკაცმა, რვაჯერ აიღო უფასო მოკლევადიანი შვებულება — სამიდან ათ დღემდე. და ყოველი მისი შვებულებაში გასვლის წინ ქალაქში ავტომანქანებს იტაცებდენ. ოთხჯერ აიღო შვებულება თვითონ მაჯლაჯუნამ, ხოლო ხუთჯერ — ავტოპარკის ყოფილმა მძღოლმა ფელიქს ნიკოლაევმა, მაჯ-

---

* დასაწყისი იხ. ჟურნ. „საბჭოთა სამართლის“ 1975 წლის № 5, 1976 წ. №2, №3, № 4, № 5, № 6; 1977 წ. № 1, № 2, № 3, № 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაჯუნას და ხილკოვის ძმაკაცმა. მათი შვებულებებიც ემთხვეოდა მანქანების გატაცებას.

— მაშასადამე, ამ „მაჯლაჯუნებს", თუკი ისინი გამტაცებლები არიან, ჰქონიათ დრო მანქანების გადასაყვანად, — თქვა კორნილოვმა ჩაფიქრებით.

— „თუკი ისინი გამტაცებლები არიან..." — გაიცინა ბელიანჩიკოვმა. — სწორედ რომ ისინი არიან გამტაცებლები! უკანასკნელი თვეების განმავლობაში მეორე პარკში ოთხჯერ მოიპარეს ტექნიკური ტალონები... სავსებით შესაძლებელია, რომ ეს ერთ-ერთი წყაროა დოკუმენტების შესაძენად. მაგრამ ყოველივე ამას ჯერ კიდევ დაზუსტება ესაჭიროება, — მან ხელი ჩაიქნია.

კორნილოვი და ბელიანჩიკოვი შემდგომი მოქმედების გეგმას ამუშავებდენ, როცა დარეკა ლეიტენანტმა მარიიკინმა, რომელიც მივლინებული იყო სოჭში, სოხუმსა და გორკში. სქემამ — „საკომისიო მაღაზია — ქარხანა" — პირველი შედეგები გამოიღო. მარიიკინმა აღმოაჩინა ოთხი ავტომანქანა, რომლებსაც ქარხნის ნომრები შეცვლილი ჰქონდა, სოჭელი ამხანაგების დახმარებით მან დაადგინა, რომ ერთ-ერთი მანქანა გაყიდა ბორის უგოევმა, ქალაქ სოჭის საპროდუქტო ფარდულის გამყიდველმა.

კორნილოვმა ყურმილი დადო, ბელიანჩიკოვს შეხედა და გაიცინა:

— ბედმა ყველა სიურპრიზი ერთ დღეს მოგვიმზადა.

— შაბათ დღეს... — დააზუსტა იური ნიკოლოზის ძემ, — რათა კვირადღე დაგვიმშვენოს. უმნიშვნელო რამეა, მაგრამ მაინც სასიამოვნოა!

უკვე ძალზე გვიან ღამით, როცა კორნილოვი ბელიანჩიკოვთან ერთად დაწვრილებით განიხილავდა მათი ჯგუფის მოქმედების გეგმას, ისევე დარეკა კრასიკოვმა. მაჯლაჯუნა გამოტყდა, რომ ხილკოვთან და ნიკოლაევთან ერთად მონაწილეობდა ავტომანქანების გატაცებასა და გადაყვანაში. მანქანებს სოჭში, სოხუმსა და ოდესაში ასაღებდნენ. რამდენჯერმე გაყიდეს სოჭში მცხოვრები ბორის უგოევის მეშვეობით.

— ჩვენ გამოვარკვიეთ, რომ ლენინგრადში ცხოვრობს მისი უმცროსი ძმა გიორგი უგოევი, მექანიკის ინსტიტუტის ყოფილი სტუდენტი, მუქთახორა და სპეკულანტი, — თქვა კრასიკოვმა, და სულის მოთქმის შემდეგ განაგრძო: — ახლა იგი სასტუმრო „ლენინგრადში" ცხოვრობს. ექვსას ოცდა მეთექვსმეტე ნომერში. ბანქოს გიუია, მხვნილ ფულზე თამაშობს.

ლიტკინმა თქვა აგრეთვე, რომ ფელიქს ნიკოლაევმა რამდენიმე თვის წინათ პარკში ანგარიში გაასწორა და ისე გაქრა სადღაც, რომ მეგობრები არც გაუფრთხილებია.

წრე შეიკრა. ახლა საჭირო იყო გამოძიებას დახმარებოდნენ და ისეთი მტკიცებულებები შეეგროვებინათ, რომლის უარყოფასაც ვერ შეძლებდა ბანდის ვერცერთი წევრი.

კვირადღემ მშვიდობიანად ჩაიარა, ხოლო ორშაბათს დილით კორნილოვს დაურეკა შეშფოთებულმა ბელიანჩიკოვმა;

— იგორ ვასილიჩ, ხილკოვი დღეს სამსახურში არ გამოცხადებულა. მისი ცვლა დილის ექვს საათზე იწყებს მუშაობას. პარკიდან მას შინ დაურეკეს, ტელეფონი დუმს. რა ვქნათ?

კორნილოვმა პასუხი დააყოვნა. სიტუაცია რთულდებოდა...

— აი რა, ბელიანჩიკოვო, — თქვა ბოლოს მან. — გაგზავნე ვინმე ხილკოვთან. დაე შეუმჩნეველად გამოარკვიოს, შინ არის თუ არა. იქნებ ყურმილს არ იღებს. თუ შინ არ არის, ეცადე შეიტყო, როდის ნახეს ბოლოს. მაშინვე მომახსენე, — და ყურმილი დადო.

„რა შეიძლებოდა მომხდარიყო? — ფიქრობდა იგორ ვასილის ძე. — ვითომ მოცოცხა? ნაკლებ სარწმუნოა, მაგრამ არ არის შეუძლებელი. ეს კია, შეშფოთების მიზეზი არ უნდა ჰქონოდა... ან იქნებ კიდევ ერთი მანქანის გადასაყვანად წავიდა? უკანასკნელი ორი დღეა არცერთი „ვოლგა" არ გაუტაცნიათ. სმას და ქეიფს გადაჰყვა? კითხვები ბევრი იყო, პასუხი კი ერთი უნდა ყოფილიყო.

კორნილოვმა დაურეკა ბუგაევს და სთხოვა, შეამოწმე ხილკოვი „ლენინგრადის" 636-ე ნომერში ხომ არ არის, სადაც უგოევი ცხოვრობსო, აგრეთვე დააზუსტე, სად არის ამჟამად ლავროვა, ხილკოვის სატრფო, რომელიც მაჯლაჯუნამაც მოიხსენიაო.

ბუგაევმა თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ დაურეკა და შეატყობინა, ლავროვა დილიდან ეფიცხება მზეს პეტრეპავლეს ციხე-სიმაგრის პლაჟზე, ხოლო ექვსას ოცდამეთექვსმეტე ნომერში მარტო უგოევია, მან საუზმე ნომერში დაუკვეთაო. იგორ ვასილის ძემ ის იყო ყურმილი დადო, რომ ტელეფონი კვლავ აწკარუნდა და ბელიანჩიკოვმა მოახსენა, ხილკოვის ბინაში არც დარეკვაზე და არც კარის კაკუნზე არავინ გამოგვეხმაურაო.

— ბინას ვინმემ უთვალთვალოს, — უთხრა მას კორნილოვმა. — ნახეთ, ვინ მოვა. იქნებ რომელიმე ძმაკაცი გამოჩნდეს.

„რა არის? შემთხვევითობაა თუ შეცდომა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგვივიდა? — ფიქრობდა იგი. — თუ შევცდით, სად და რაში შევცდით? მაჭლაჭუნას არ შეეძლო ხილკოვისთვის რამე შეეტყობინებინა. მას მკაცრად უთვალთვალებენ. ნუთუ მარიიკინს ნერვიულობა დაეტყო და უფროსმა უგოევმა ყურები ცქვიტა? არა, შეუძლებელია. მაშ რა მოხდა?“ — იგი წამოდგა მაგიდიდან, კაბინეტში ბოლთის ცემა დაიწყო. მერე ფანჯარასთან შეჩერდა. მზის სხივებით განათებული ქუჩა ხმაურობდა. „მთავარია ახლა — ყველაფერი კარგად მოვიფიქროთ, რომ საქმე არ წავახდინოთ ნაჩქარევი მოქმედებით. უგოევსა და ლავროვს კვლავ *კონტროლი უნდა გავუწიოთ, ნიკოლაევის ძებნა* კი გავაგრძელოთ და ველოდოთ. ვიცადოთ საღამომდე მაინც, — ფიქრობდა იგორ ვასილის ძე. — ლავროვი ახლა ბლაფუნია, მაშასადამე, მშვიდად არის. ესე იგი ხილკოვი ბანკას არ მოუცავს, არ გაქცეულა...“

მაგრამ სიტუაცია საღამოსაც არ შეიცვალა. ლავროვი უწინდებურად მშვიდად იქცეოდა. ბლაუიდან შინ დაბრუნდა, და მხოლოდ რამდენჯერმე გამოვიდა ტელეფონზე დასარეკად. მაგრამ, ეტყობა, ნომერი პასუხს არ იძლეოდა. ალბათ ისიც ხილკოვს ურეკავდა. არ შეშფოთებულა. გიორგი უგოევი მთელი დღე ნომრიდან არ გამოსულა. ხუთ საათზე მას ორი კაცი ეხტუმრა. ეტყობა, ბანკოს თამაში გაჩაღდებოდა. ამ ორ კაცს მილიცია უკვე იცნობდა — მისი მუდმივი პარტნიორები იყვნენ.

რვა საათზე კორნილოვმა გენერალს სთხოვა-ნება დამრთეთ თქვენთან მოვიდე მოსახსენებლადო. გენერალმა მოუსმინა იგორ ვასილის ძეს და ჰკითხა, რას აპირებო.

— ჩემი აზრით, დაუყოვნებლივ უნდა დავაპატიმროთ უგოევები, უფროსიც და უმცროსიც, აგრეთვე ლავროვა, გამოვაცხადოთ ხილკოვის ძებნა...

— გამომძიებელიც ამასვე ფიქრობს? — ჰკითხა ვლადიმერ სტეფანეს ძემ.

— ეს ჩვენი ერთობლივი თვალსაზრისია, — მიუგო კორნილოვმა.

— საკმაო მასალა თუ გაქვთ? — ვლადიმერ სტეფანეს ძემ ანიშნა, საქაღალდეზე, რომელიც კორნილოვს ხელში ეჭირა.

იგორ ვასილის ძემ გახსნა იგი.

— გვაქვს კვალიფიციური ხულიგნობის გამო დაპატიმრებული ლიტკინის აღიარება ხილკოვთან ერთად ხუთი „ვოლგის“ მოპარვის შესახებ. აქედან ოთხი ბორის უგოევს მიეყიდა, ხოჭის მკვიდრისთვის. ერთი—გიორგი უგოევს. ორი მანქანა ხოჭში გადაიყვანა ლიტკინმა, სამი — ხილკოვმა. ეს ლიტკინის აღიარების მიხედვით. მაგრამ ჩვენ ვეჭვობთ, რომ ხილკოვმა სულ ცოტა რვა მანქანა მაინც გადაიყვანა გასაყიდად. ეს კიდევ შესამოწმებელია. ჯერჯერობით კი მისთვის სამიც კმარა. ჩვენმა თანამშრომელმა მარიიკინმა შეისწავლა იმ „ვოლგების“ დოკუმენტები, რომლებიც გაიყიდა უკანასკნელ ექვს თვეში სოჭისა და სოხუმის საკომისიო მაღაზიების მეშვეობით, შემდეგ შეამოწმა, გამოუშვა თუ არა ქარხანამ მანქანები მოტორის, ძარისა და შარსის ნომრების მსგავსი შეხამებით...

— ასე, ასე და ამგვარად... — წაიდუდუნა დაინტერესებულმა გენერალმა — მერე, *რა გამოვიდა აქედან?*

— აღმოჩნდა, რომ ოთხი იმ „ვოლგათაგანი“, რომლებმაც საკომისიო მაღაზია გაიარეს, ქარხნის კონვეიერიდან არასოდეს ჩამოსულა, გამარჯვებული სახით თქვა კორნილოვმა. — ქარხნის ნომრები ყალბია, ამხანაგო გენერალო! ორი მანქანა უკვე ჩამოერთვათ ახალ მფლობელებს. ექსპერტიზამ აღადგინა ნამდვილი ნომრები. ერთი მანქანა ინჟინერ გუსაროვს ეკუთვნოდა, მეორე — ჟურნალისტ ვლასოვს.

— ერთი შეხედეთ! — გაოცდა გენერალი. — მალე კი იპოვეთ მისი მანქანა?

— ახლახანს გაყიდეს, ვლადიმერ სტეფანეს ძევ, საკომისიო მაღაზიის მეშვეობით სოჭში. მარიიკინი მაშინვე წააწყდა. ერთი „ვოლგა“ ბორის უგოევმა გაასალა, მეორე თავად ხილკოვმა სოჭის მკვიდრის რომანოვის დოკუმენტებით. ამ რომანოვმა ეს მანეთად მიმყიდა ხილკოვს თავისი დიდი ხნის წინათ დაკარგული მანქანის პასპორტი და დოკუმენტები... ხილკოვმა დოკუმენტებში ახალი ნომრები ჩაწერა. ახლა დანარჩენი მანქანები მოწმდება. — კორნილოვი შეჩერდა და გენერალს შეხედა.

— განაგრძეთ, განაგრძეთ... თუ შეტი აღარაფერი გაქვთ სათქმელი?

— არის კიდევ ზოგი რამ, —უპასუხა კორნილოვმა, — მაგრამ არც თუ იმდენი, რაც მსურდა.

დადგინდა, რომ ერთი ავტომანქანა საკომისიო მაღაზიაში უგოევების პაპის, ტიხონ პავლეს ძე უგოევის მეშვეობით გაიყიდა. პაპა ოთხმოცი წლისაა. მანქანაზე არასოდეს მჯდარა. ჩვენ მოვძებნეთ ამ „ვოლგის“ მყიდველი. იგი ქალაქ მარიში ცხოვრობს. ქარხნის ნომრებიც შეცვლილია. ექსპერტიზამ აღადგინა ძველი ნომრები. მანქანა 17 მაისს მოპპარეს კულტურის სასახლის ადმინისტრაციას.

— სწორედ იმ „მოპადრაკეს“ ანა? — იკითხა გენერალმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დიახ.... — გაიცინა კორნილოვმა. — ქურდის ქურდი ცხონებულიაო — შემდეგ მან საქმიანი ტონით განაგრძო: — გვაქვს დაწერილებითი ჩვენება ქალაქ მარის მცხოვრებისა, რომელმაც მანქანა იყიდა, გარიგებას იგი ბორის უგოევთან აწარმოებდა, პაპა შემცვლელი პირია. მგონი რომ, სულ ეს არის... ვფიქრობ, დღედღეზე სხვა მანქანებსაც ვიპოვით. ჩვენი თანამშრომლები ამთავრებენ ოპერატიულ მუშაობას მეორე ტაქსმოტორის პარკში. შეისწავლეს ხილკოვის, ლიტკინისა და ნიკოლაევის მუშაობის გრაფიკი პარკში — ათ შემთხვევაში თორმეტიდან, როცა მაქანების გატაცება ხდებოდა, ამ სამეულიდან ერთ-ერთი აუცილებლად დამით მუშაობდა. ხილკოვს რვაჯერ აქვს აღებული მოკლევადიანი შვებულება სწორედ იმ დროს, როცა რეგისტრირებულია მანქანების გატაცება. ხილკოვის მიერ სამი ავტომანქანის გადაყვანის თარიღები, რომლებიც თავის ჩვენებაში დაასახელა ლიტკინმა, ემთხვევა ხილკოვის მოკლევადიანი შვებულებების თარიღებს...

— მაშასადამე, წინადადება შემოგაქვთ ახლავე დავაპატიმროთ ყველა ცნობილი თანამონაწილე? — ჰკითხა გენერალმა და განსაკუთრებულად ხაზგასმით წარმოთქვა „ცნობილი“.

— დიახ, სხვა გზა არა გვაქვს, — გადაჭრით მიუგო კორნილოვმა. — თუ ხილკოვმა საფრთხე იგრძნო, მას შეუძლია სხვებიც ააწრიალოს. ამიტომ იგი დღესვე უნდა დავაპატიმროთ, ერთდროულად სოჭში დაპატიმრებენ უფროს უგოევს.

— კარგით, აიღეთ დაპატიმრების სანქცია, — უთხრა გენერალმა.

— ხილკოვის ბინის ჩხრეკისაც, — დაუმატა კორნილოვმა.

— დიახ, რა თქმა უნდა.

კორნილოვმა თავი დაუქნია.

პროკურორისგან ეჭვმიტანილების დაპატიმრებისა და ხილკოვის ბინის ჩხრეკის სანქციის მიღების შემდეგ კორნილოვმა თავის კაბინეტში შეკრიბა ოპერატიული ჯგუფი.

— მე ვფიქრობ, რომ დაპატიმრების დროს არავითარი. გართულება არ უნდა შეგვხვდეს, — დაამთავრა მან თავისი სიტყვა. — ერთი პირობა — დაე დაპატიმრებულებმა დაინახონ ერთმანეთი... შორიდან მოჰკრან ერთმანეთს თვალი. შემდეგ კი მკაცრ იზოლაციაში ვამყოფოთ. სოჭში უკვე შევატყობინე. უფროსი უგოევი ალბათ დაპატიმრებულია. სხვათა შორის, უმცროს უგოევს შეიძლება ვუთხრათ ეს.

— ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, ბანქოს მოთამაშეებს რაღა ვუყოთ? — იკითხა ბუგაევმა. — ექვსასოცდამეთექვსმეტე ნომერში ახლა ბანქოს თამაშია გაჩაღებული.

— დაადგინეთ ვინ არიან მოთამაშენი. შეადგინეთ ოქმი, აღნიშნეთ ვის რამდენი ფული ჰქონდა დაკავების მომენტში.. და გაუშვით. ისე გააკეთეთ, რომ არც ადმინისტრატორმა გაიგოს რაზე და არც სართულის მორიგემ. მხოლოდ დირექტორმა და მისმა მოადგილემ იცოდნენ. სართულის მორიგე მათ გამოიძახონ თავისთან ცოტა ხნით. ნომერში სადღეღამისო მორიგეობა დაწესდეს. გასაღები მორიგეს უნდა ჰქონდეს. ისე უნდა მოხდეს, თითქოს უგოევი მისი არყოფნის დროს წავიდა. ლავროვას სახლს უთვალთვალეთ. შეიძლება ხილკოვი მივიდეს. მასთან... ყველაფერი სასწრაფოდ მომახსენეთ. მაგათზე უარესებიც გვინახავს.

ყველა წავიდ-წამოვიდა. და კორნილოვი ისევ მარტო დარჩა. ბოლით გამოვსებულ თავის კაბინეტში. მან კედლის კარადიდან გამოიღო პატარა ელექტროჩაიდანი და გრაფინიდან წყალი ჩაასხა. შემდეგ ჩაიდანი გამორეცხა ჩაის დასაყენებლად. კაბინეტში ბოლთას სცემდა, ყურს უგდებდა ჩაიდნის სტვენას და ბანქოს მოთამაშეებზე ფიქრობდა. მცირე ჯგუფებად იკრიბებიან, და მსხვილ, ძალიან დიდ თანხაზე კი თამაშობენ, ანუ ხდებოდა წინათაც. მაგრამ რას იზამ? შეეცადე და დაამტკიცე, რომ თავის ხელფასს კი არ აგებს, არამედ ძალზე საეჭვო გზებით ნაშოვნ ფულს, თუმცაღა ამისი გამოჩხრეკა და დასაბუთებაც შეიძლება, მაგრამ რამდენი დრო იკარგება. უფროსები კი უკმაყოფილებას გამოთქვამენ, თქვენ ბანქოს მოთამაშეებს დასდევთ, ხოლო ცხვირწინ ავტომანქანებს იპარავენო. არა, ეს პოზიცია მთლად სწორი არ არის. ბანქოს მოთამაშეებსაც უნდა ვდიოთ, და იმათაც, ვინც თავისი შრომითი შემოსავლით არ ცხოვრობს. მაშინ ქურდობაც ნაკლები იქნება. ვერ იცოცხლებს საზოგადოებაში მომხვეჭელობის ეს საზიზღარი ბაცილა უცბად გამოღვიძებული მისწრაფება ბოროტი გზით გამდიდრებისაკენ. აგარაკები, მანქანები, ბროლი და ოქროს ბეჭდები! ეჰ, ყველა ეს მომხვეჭელი თითქოსდა ჩვენს შორის ცხოვრობს, სუნთქავს, მოძრაობს... მაგრამ ისინი ცოცხლად არიან დამარხულები.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

იუსტიციის

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი

სექტემბერში ა. კარანაძის თავმჯდომარეობით გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მორიგი პლენუმი.

პლენუმმა განიხილა საკითხი „მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოზე აღდგენის სასამართლო პრაქტიკისა და ამ დავების თავიდან აცილებაში სასამართლო ორგანოების ამოცანების შესახებ". მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრმა ა. ღუღუნიშვილმა.

პლენუმზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკის სასამართლოები ძირითადად სწორად განიხილავენ ამ კატეგორიის საქმეებს, გამოაქვთ დასაბუთებული, კანონის შესაბამისი გადაწყვეტილებები და იღებენ ზომებს ასეთი დავების წარმოშობის მიზეზების აღმოსაფხვრელად.

რესპუბლიკაში შრომის კანონმდებლობის დაცვის საკითხები უკანასკნელ წლებში რამდენჯერმე იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მსჯელობის საგანი და დაისახა ღონისძიებები მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოდან უკანონოდ განთავისუფლების შემთხვევების აღმოსაფხვრელად, მაგრამ მაინც არ მცირდება სამუშაოდან უკანონოდ განთავისუფლებულთა რიცხვი, რადგან თანამდებობის პირები ჯერ კიდევ არ იცავენ შრომის კანონმდებლობას, უხეშად არღვევენ მას.

განსაკუთრებით ბევრ მუშა-მოსამსახურეს ითხოვენ უკანონოდ საავტომობილო ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის, ჯანმრთელობის დაცვის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, სახელმწიფო ვაჭრობის და ცეკავშირის სისტემაში შემავალ საწარმო-დაწესებულებებიდან.

სშირია პროფკავშირის საფაბრიკო-საქარხნო ადგილობრივი კომიტეტების წინასწარი თანხმობის გარეშე მუშაკთა განთავისუფლების შემთხვევები.

პლენუმზე ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ სასამართლოები იშვიათად მიმართავენ თანამდებობის პირებისადმი მატერიალური პასუხისმგებლობის დაკისრების ღონისძიებას, როდესაც მათი ბრალით უკანონოდ ხდება მუშაკთა სამუშაოდან განთავისუფლება. ზოგჯერ თანამდებობის პირები თვითნებურად აჭიანურებენ სასამართლო ორგანოთა გადაწყვეტილებების აღსრულებას.

სასამართლოებში ირღვევა სამუშაოზე აღდგენის საქმეთა განხილვის ვადები. სასამართლოები ყოველთვის არ ამოწმებენ, თუ რა რეაგირებას ახდენენ საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელები მათ მიერ გამოტანილ კერძო განჩინებებზე.

პლენუმზე საგანგებოდ გამახვილდა ყურადღება იმაზე, რომ რესპუბლიკის სასასამართლო ორგანოები ჯერ კიდევ საკმაოდ ეფექტიანად არ იბრძვიან შრომის კანონმდებლობის განუხრელად დაცვის უზრუნველსაყოფად.

პლენუმმა განიხილა აგრეთვე თანამდებობრივი დანაშაულის საქმეთა სასამართლო პრაქტიკის ზოგიერთი საკითხი.

ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრმა ა. ხონიაკინამ.

აღინიშნა, რომ ამ ბოლო დროს რესპუბლიკის სასამართლოებმა საგრძნობლად გააძლიერეს ბრძოლა ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების, ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების, დაუდევრობისა და თანამდებობრივი სიყალბეს წინააღმდეგ. სასამართლოები ძირითადად სწორად, კანონის შესაბამისად წყვეტენ ამ კატეგორიის საქმეებს. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა დასჯითი პრაქტიკა. გაიზარდა განაჩენთა სტაბილობა. მეტი ყურადღება ექცევა ხსენებული დანაშაულის მიზეზებისა და პირობების გამორკვევასა და თავიდან აცილებას.

მაგრამ, როგორც პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების შედეგებმა ცხადყო, სასამართლოები ჯერ კიდევ არ დგანან გაზრდილ მოთხოვნათა დონეზე. ამიტომ არის, რომ მათს მუშაობაში გვხვდება სერიოზული ნაკლოვანებები, რაც უარყოფითად მოქმედებს თანამდებობრივი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობაზე.

სასამართლოები ზოგჯერ ვერ ახერხებენ გამიჯნონ თანამდებობრივი დანაშაული მძიმე დანაშაულისაგან — თანამდებობის ბოროტად გამოყენებით სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცებისაგან. თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნამდებობას პირის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებასთან ერთად სხვა დანაშაულის ჩადენის დროს ყოველთვის არ ხდება ჩადენილი ქმედობების დანაშაულთა ერთობლიობის წესით დაკვალიფიცირება, ყველაფერ ამას კი შედეგად მოსდევს შეცდომები კვალიფიკაციაში და სასჯელის არასწორად დანიშვნა. სახამართლოები არ იყენებენ დამატებითს სასჯელებს, მაგალითად, გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევას. აუცილებელ შემთხვევებში სასამართლოებს ყოველთვის არ გამოაქვთ კერძო განჩინებები თანამდებობრივი დანაშაულის გამომწვევი მიზეზებისა და პირობების აღმოსაფხვრელად.

საკმაო სისრულით არ ხდება თანამდებობრივი დანაშაულის გამომწვევი პირობების— პროტექციონიზმის, მაამებლობის, ბიუროკრატიზმის, საქმის გაჭიანურების, უსულგულობის, მშრომელთა კანონიერი მოთხოვნებისადმი უყურადღებობის გამოვლინება. დამნაშავეებს ყოველითვის არ სჯიან კანონის შესაბამისად.

პლენუმმა საგანგებოდ გაამახვილა ყურადღება იმაზე, რომ საკასაციო კოლეგიებში ყოველთვის არ ხერხდება ქვემდგომ სასამართლოთა შეცდომების გამოსწორება, რასაც შედეგად მოსდევს საქმეთა ზედამხედველობის წესით განხილვა. ეს კი, თავის მხრით, ზრდის საჩივართა რიცხვს.

პლენუმმა მოისმინა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის ლ. ისაკაძის ინფორმაცია „საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ“.

განხილულ საკითხებზე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილებები.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა განიხილა აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის და საქართველოს სსრ პროკურორის პროტესტები სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ პროკურორი ლ. თალაკვაძე.

პლენუმს დაეხმარნენ ზოგიერთი რაიონების სახალხო მოსამართლეები და სასწარმო-დაწესებულების იურიდიული სამსახურის მუშაკები.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი ს. ილინი.

გავაძლიეროთ საპროკურორო ზედამხედველობა მეჭრთამეობის წინააღმდეგ

გაიმართა საქართველოს სსრ პროკურატურის გაფართოებული კოლეგიის სხდომა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქისა და რაიონების პროკურორებმა. კოლეგიამ განიხილა საკითხი, თუ როგორ ხორციელდება საპროკურორო ზედამხედველობა განსაკუთრებით საშიში დანაშაულის — მეჭრთამეობის წინააღმდეგ. მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილემ ა. ბარაბაძემ. მოხსენების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს: აჭარის ასსრ პროკურორმა გ. ბორჩხაძემ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურორმა ზ. კვირკველიამ, ქ. თბილისის პროკურორმა ვ. რაზმაძემ, ქ. ქუთაისის პროკურორმა რ. ხმალაძემ, გეგეჭკორის რაიონის პროკურორმა ი. ხელაიამ, საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების უფროსებმა რ. ყიფიანმა, თ. ფოცხვერიამ და სხვებმა.

დასასრულს სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ პროკურორი ლ. თალაკვაძე.

როგორც მოხსენებაში, ისე მონაწილეთა გამოსვლებში აღინიშნა, რომ ბოლო ხანს რესპუბლიკის ადმინისტრაციულმა ორგანოებმა პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობით გარკვეული მუშაობა გასწიეს მეჭრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისათვის. ეს იმით გამოიხატა, რომ ბრძოლა უფრო მიზანდასახული, პრინციპული გახდა, რის შედეგადაც მხილებულია და პასუხისგებაშია მიცემულნი ქრთამის ამღებთა დიდი ჯგუფები, მათ შორის არიან პასუხსაგები თანამდებობის პირები, რომლებიც ეწეოდნენ ქრთამის გამოძალვას წლების განმავლობა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში. კერძოდ, მხილებული და პასუხისგებაში მიცემული მექრთამეთა დიდი ჯგუფი „ვარაზისხევ-172-ში", თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში, თბილისის ფარმაცევტიულ სასწავლებელში. მხილებული არიან და პასუხისგებაში მიეცენ ქრთამის ამღებნი, ქრთამის მიცემაში შუამავლები და ქრთამის მიმცემნი, რომლებმაც თავიანთი მოქმედებით სახელი გაუტეხეს საბჭოთა და სახელმწიფო ორგანოების დიდ ავტორიტეტს და ვიწრო ანგარებითი ინტერესების გამო ხელყვეს საერთო-სახალხო, საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესები.

მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა განხორციელება შეუძლებელი გახდა იმის შედეგად, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა პრინციპულად დაგმო ის შეცდომები, რომლებიც რამდენიმე წლის წინათ იყო რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელობის პრაქტიკაში გადამწყვეტი ბრძოლა გამოუცადა ამ ნეგატიურ მოვლენებს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1975 წელს მიიღო სპეციალური დადგენილება, რომელიც წარმართავს რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და ადმინისტრაციული ორგანოების მთელ საქმიანობას ამ დიდი ბოროტების აღმოსაფხვრელად.

ამასთან ერთად, როგორც კოლეგიის სხდომაზე აღინიშნა, ადგილებზე საპროკურორო ზედამხედველობა მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციაში ჯერ კიდევ არ დგას სათანადო დონეზე. ამით უნდა აიხსნას ის, რომ ამბროლაურის, გეგეჭკორის, ორჯონიკიძის (ხარაგაულის), წალენჯიხის, ლენტეხის, ყაზბეგის, თიანეთის რაიონების პროკურატურის ორგანოების მიერ ბოლო შვიდი წლის განმავლობაში მექრთამეობის არცერთი საქმე არ წარმართულა სასამართლოში. ალიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, მახარაძის, მაიაკოვსკის, ონის, ცაგერის და სხვა რაიონებში საკმაოდ შესუსტდა ეს ბრძოლა.

რესპუბლიკის ბევრ ქალაქსა და რაიონში ჯერ კიდევ სრულად არა აქვთ შეგნებული, ამ სამარცხვინო მოვლენის პოლიტიკური, სოციალური და ფსიქოლოგიური შედეგები, უმკაცრეს ბრძოლას არ ეწევიან მექრთამეობის წინააღმდეგ, არ ავლენენ მექრთამეობის ხელშემწყობ მიზეზებსა და პირობებს.

სათანადოდ არ არის გამოყენებული საპროკურორო ზედამხედველობის და შინაგან საქმეთა ორგანოების ოპერატიული მონაცემები; სუსტია ადმინისტრაციული ორგანოების კონტაქტი მექრთამეობის ფაქტების შესახებ შემოსული განცხადებებისა და შეტყობინებების შესამოწმებლად, ბევრ სამინისტროში, უწყებაში და მათდამი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში შემოწმება კანონთა აღსრულებაზე ჯერ კიდევ ფორმალურია, ზერელეა, რის გმოც არ ვლინდება და არ აღიკვეთება მიზეზები და პირობები, რომლებიც ხელს უწყობს სამართალდარღვევის ფაქტებს, კერძოდ მექრთამეობისა და გამოძალვის ფაქტს.

დაბალია მექრთამეობის საქმეთა გამოძიების ხარისხი. არ არის აღმოფხვრილი ამ კატეგორიის საქმეთა გამოძიების გაჭიანურება. ყოველი მეოთხე საქმე გამოძიებულია ვადის დარღვევით (აფხაზეთის ასს, აჭარის ასსრ, ქ. თბილისი), გამომძიებლები და პროკურორები ყოველთვის ღრმად არ არკვევენ გარემოებებს, რომლებიც ხელს უწყობს მექრთამეობას, არ ავლენენ და პასუხისგებაში არ აძლევენ ყველა იმ პირებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ამ დანაშაულში.

საგამოძიებო და ოპერატიული ღონისძიებების განხორციელებაში საქმიანი კონტაქტებისა და კოორდინაციის არარსებობის გამო იშლებოდა მექრთამეობის შესახებ შემოსული შეტყობინებებისა და სიგნალების რეალიზაცია. მექრთამეობის შესახებ საქმეთა მნიშვნელოვანი ნაწილი კი წარმოებით წყდება (23, 6 პროცენტი).

არსებითი შეცდომებია სასამართლოებში მექრთამეობის საქმეთა განხილვაზე საპროკურორო ზედამხედველობის განხორციელებაში. პროკურორები ყოველთვის არ იჩენენ ინიციატივას, რომ მექრთამეობის საქმეები განიხილებოდეს გამსვლელ სესიებზე. ამითუნდა იხსნას ის, რომ გამსვლელ სესიებზე განხილულია ამ კატეგორიის საქმეების, 8,7 პროცენტი. სასამართლოების მიერ მექრთამეობის საქმეებზე სასჯელის ღონისძიებათა გამოყენება ყოველთვის არ შეესაბამება ამ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანებს. ყოველ მეოთხე მსჯავრდებულს შეფარდებული აქვს მინიმუმზე ნაკლები სასჯელი, ამასთან, ასეთი ლიბერალური განაჩენების დიდი წაწილი გამოტანილია სახელმწიფო ბრალმდებლების მოთხოვნებით.

სახელმწიფო ბრალდების დაბალი დონით უნდა აიხსნას ის, რომ სახელმწიფო ბრალმდებლები ყოველთვის არ აყენებენ მსჯავრდებულთათვის დამატებითი ღონისძიების შეფარდების საკითხს, ხოლო სასამართლოები არ იყენებენ კონფისკაციას მაშინაც კი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა ამას კანონი მოითხოვს. ბევრი განაჩენი უქმდება და იცვლება საკასაციო ინსტანციების მიერ მსჯავრდებულთა საჩივრებისა და არა პროკურორების პროტესტების საფუძველზე განაჩენების შეცვლის და გაუქმების მიზეზია ვამოძიების არასისრულე. ბრალდების მცდარი კვალიფიკაცია, აგრეთვე სახჯელის ღონისძიების უსწოროდ განსაზღვრა.

ზოგიერთი ქალაქისა და რაიონის პროკურორების უპრინციპობისა და დაქვემდებარებულთა მიმართ სრული უკონტროლობის პირობებში, პროკურატურის ზოგიერთი მუშაკი, რომელიც სამსახურებრივი მდგომარეობის გამო მოვალეა უკომპრომისო ბრძოლას ეწეოდეს მექრთამეობის წინააღმდეგ, თვითონ დგება დანაშაულის გზაზე. მაგალითად, ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის პროკურატურის სტაჟიორ-გამომძიებელმა კ. დოხტურიშვილმა 1977 წლის სექტემბერში აიღო ქრთამი, რის გამოც იგი დაპატიმრებულია და მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში არსებული ხარვეზები და ნაკლოვანებები მწიშვნელოვანწილად ანალიტიკური მუშაობის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის შედეგია. პროკურორები ადგილებზე სისტემატურად არ უკეთებენ ანალიზს მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლის საგამომძიებო, საპროკურორო და სასამართლო პრაქტიკას, არ ავლენენ მუშაობის სუსტ მხარეებს და არ სახავენ ზომებს მათს აღმოსაფხვრელად. სუსტად გამოიყურება პრესის, რადიოს და ტელევიზიის საშუალებები. მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე იშვიათად ტარდება ლექციები და საუბრები.

კოლეგიამ დასახა კონკრეტული ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების სქმეში საპროკურორო ზედამხედველობის გაძლიერებისა და ამ სფეროში დანაშაულის თავიდან აცილებისაკენ.

ი. გერძენიშვილი

თათბირი საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროში

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროში გაიმართა თათბირი, რომელშიც განიხილა საკითხი „რესპუბლიკის სახალხო სასამართლოების 1977 წლის ექვსი თვის მუშაობის შედეგები და მორიგი ამოცანები". თათბირზე მოწვეული იყვნენ აჭარის ასსრ და აფხაზეთის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო სასამართლოების თავმჯდომარეები, მოსამართლეები, აღმასრულებლები.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის პროკურორი ლ. თალაკვაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილე გ. ტუღუშელიაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეები დ. ლორია და გ. იოსავა, აჭარის ასსრ იუსტიციის მინისტრი ჯ. ბაჯელიძე, აფხაზეთის ასსრ იუსტიციის მინისტრი კ. სიმონავა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის იუსტიციის განყოფილების უფროსი ხ. გაგლოევი.

მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილე ა. აბესაძე.

წლევანდელი საიუბილეო წელი — თქვა მომხსენებელმა — რომელსაც საზეიმო ელფერი კიდევ უფრო შემატა უდიდესი ისტორიული დოკუმენტის, საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის გამოქვეყნებამ, მისმა საყოველთაო-სახალხო განხილვამ, ისტორიაში შევა როგორც ჩვენი ხალხის სწორუპოვარი, გმირული შრომის ამსახველი წელი. მთავარი, რაც წითელ ზოლად გასდევს იუბილეს, არის თვითეული პატიოსანი მოქალაქის, შრომითი კოლექტივის, სამინისტროს თუ უწყების მეტი მონდომება, რწმენა იმისა, რომ მეათე ხუთწლედის მეორე წლის დავალებებიც გადაჭარბებით შესრულდება.

ასეთ პირობებში ახალი, გადიდებული მოთხოვნები წარედგინება ადმინისტრაციულ ორგანოებს, მათ შორის სახალხო სასამართლოებს. ეს ამოცანები დასახულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბოლო დროის ისეთ მნიშვნელოვან დადგენილებებში, რომლებიც ეხებიან არასრულწლოვანთა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას, სამართლის პროპაგანდისა და მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის გაუმჯობესებას, მიწერების წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციას, შრომის კანონმდებლობის დარღვევათა აღმოფხვრას და სხვა ისეთ სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კითხებს, რომელთა ცხოვრებაში გატარებისათვის სასამართლოს მუშაკებს სისტემატიური და დაძაბული მუშაობა მართებთ.

წლეულს დამთავრდა გურჯაანისა და მცხეთის რაიონების სახალხო სასამართლოებისათვის შესანიშნავი შენობების აგება. ეს არის ხელისუფლების საქმით გამოხატული ზრუნვა სასამართლო ორგანოებისადმი, რაც კიდევ უფრო მეტ მოთხოვნილებებს უყენებს მის ყველა მუშაკს.

მომხსენებელი ვრცლად ლაპარაკობს იმ წარმატებებზე, რასაც რესპუბლიკამ უკანასკნელ წლებში მიაღწია.

ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების დიდი ყურადღებითა და დახმარებით რესპუბლიკაში იგრძნობა პოზიტიური ძვრები დანაშაულობასთან ბრძოლის საქმეშიც. 1975 წლიდან ჩვენში ყოველწლიურად კლებულობს როგორც სასამართლოებში განხილული სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეთა რაოდენობა, ისე მსჯავრდებულ პირთა რიცხვი. ეს ტენდენცია არც წლეულს დარღვეულა. გაუმჯობესდა აგრეთვე განაჩენებისა და გადაწყვეტილებების სტაბილობა.

სტატისტიკის მიხედვით მიმდინარე წლის პირველ ნახევარში უკეთესი მაჩვენებლებია კერძო განჩინებების გამოტანის ხაზით, ასევე საქმეთა განხილვა საზოგადოებრივი ბრალმდებლებისა და საზოგადოებრივი დამცველების მონაწილეობით გაიზარდა.

ამ ციფრებისა და სტატისტიკური მონაცემების მიუხედავად — ამბობს ა. აბესაძე — სასამართლო ორგანოების ზოგიერთი მუშაკი ჯერ კიდევ ვერ ამართლებს თავის მაღალ დანიშნულებას. ზოგიერთს უანგივით აქვს მოკიდებული თავდაცვის იმუნიტეტი, დაკავებულია მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე ფიქრით და რატომღაც დარწმუნებულია, რომ იგი მომავალ არჩევნებამდე ხელშეუხებელია.

ამ რწმენითა და განწყობილებით მუშაობას, რასაც გაუოყოჩება ჰქვია, ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ვ. ი. ლენინი ქრთამთან და ბიუროკრატიზმთან ერთად მიიჩნევდა ჩვენი საერთო საქმის დაღუპვის წინაპირობად. ეს დებულება ძალაშია დღესაც, ვინაიდან ჯერ კიდევ არის მექრთამეობის ფაქტები და ამაზე დაუფარავად ითქვა ამასწინათ პარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართულ თათბირზე.

სამართალდამცველი ორგანოების ბრძოლის შესუსტებას მოწმობს ის ტენდენციები, რაც რესპუბლიკაში შეინიშნება ჩადენილი დანაშაულების ანალიზის საფუძველზე. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ გაიზარდა სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების, სპეკულაციის და ზოგიერთი სხვა კატეგორიის დანაშაულობანი. სათანადო ბრძოლა არ წარმოებს აგრეთვე მექრთამეობასთან, მიწერებთან, ავტოავარიებთან, უხარისხო და არასტანდარტული პროდუქციის გამოშვებასთან, ნარკომანიასთან და სხვა.

ბევრ სასამართლოს ჯერ კიდევ არ მოუხდენია მოცემულ რაიონსა და ქალაქში მსჯავრდებულთა სოციალური შემადგენლობის ანალიზი, არ დაუდგენია ვის ხარჯზე იზრდება დანაშაული და რით არის გამოწვეული, რომ ქალაქად ჩადენილი დანაშაულის ხვედრითი წონა ჩვენს რესპუბლიკაში ძალიან მაღალია, შესამჩნევად უსწრებს საკავშირო მაჩვენებლებს.

განა შეიძლება მოეძებნოს რაიმე ობიექტური ახსნა იმას, რომ ჩვენი სასამართლოები თითქმის არ იყენებენ მსჯავრდებულთა მიმართ საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომებს?! საზოგადოებრივი აზრი სწორედ ამისათვის აფასებს უარყოფითად სასამართლო ორგანოების მუშაობას. ამ აზრის განმტკიცებას ზოგჯერ თვით სასამართლოს მუშაკთა არაკეთილსინდისიერი ქცევაც უწყობს ხელს.

მომხსენებელმა საფუძვლიანად მიმოიხილა რესპუბლიკის სახალხო სასამართლოებში შექმნილი მდგომარეობა. ყურადღება გამახვილა საქმეთა განხილვის ვადებზე, დასჯით პრაქტიკაზე, კერძო განჩინებების გამოტანაზე, გამსვლელ სესიებზე, მოსამართლეთა მიერ მოსახლეობაში წაკითხული ლექციების ხარისხსა და რაოდენობაზე, მთხოვნელთა მიღებაზე, სასამართლოების მიერ ჩატარებულ პროფილაქტიკურ მუშაობაზე, საქმეთა განხილვაში პროკურორისა და ადვოკატის მონაწილეობაზე, გადაწყვეტილებათა აღსრულებაზე, მოქალაქეთა საჩივრებისა და განცხადებების რეგისტრაციაზე და სხვ. ილაპარაკა იმაზე თუ როგორია მოსამართლეთა წერის კულტურა, განაჩენებისა და გადაწყვეტილებების ხარისხი, მოიყვანა კონკრეტული მაგალითები, დაასახელა მოწინავე და ჩამორჩენილი სახალხო სასამართლოები.

მომხსენებელი ცალკე შეჩერდა თბილისის ქალაქის სასამართლოზე, რომლის მუშაობაშიც შეინიშნება მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებანი. კერძოდ, უფრო ღრმა და ზუსტი ანალიზია საჭირო იმ მიზეზების დასადგენად, რაც იწვევს ქალაქის სასამართლოს მიერ სახალხო სასამართლოთა გადაწყვეტილებების ხშირ გაუქმებას, სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიროა გადაისინჯოს კოლეგიების შემადგენლობა, გაძლიერდეს პარტიული ორგანიზაციის როლი და ამაღლდეს თავმჯდომარის მოადგილეთა პერსონალური პასუხისმგებლობა.

მოხსენების დასასრულს ა. აბესაძე ვრცლად შეეხო კადრებთან მუშაობის რთულ და პასუხსაგებ საქმეს, მოიყვანა მაგალითები იმისა, რომ იუსტიციის ორგანოებში მოხვედრას ცდილობდნენ საამისოდ შეუფერებელი პირები, რაც ზოგიერთი არაჯანსაღი ტენდენციის ბრალია. მომხსენებელმა გამოთქვა რწმენა, რომ კადრების აღზრდის, სწავლების და განაწილების საქმე კიდევ უფრო გაუმჯობესდება, უფრო პრინციპული და საქმიანი გახდება მათდამი მიდგომა, რადგან სამინისტროს ხელმძღვანელობას ამოძრავებს მხოლოდ ერთი მიზანი — ყველა ღონე იხმაროს კვალიფიციური, ნიჭიერი, საქმისმცოდნე სპეციალისტების დასაწინაურებლად.

მოხსენების ირგვლივ გაიმართა კამათი.

სიტყვას ამბობს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ზაქარაია. მან თათბირის მონაწილეებს გააცნო აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს მიერ 1977 წლის ექვს თვეში გაწეული მუშაობის შედეგები და აღნიშნა, რომ მართალია რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო თავის მოღვაწეობაში დროულად და მართებულად იყენებს სადირექტივო ორგანოების მითითებებს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნაკლოვანებები არ გვქონდეს. დაუფარავად უნდა ვთქვათ, რომ ჩვენი მუშაობა ჯერ კიდევ მთლიანად ვერ პასუხობს იმ მოთხოვნებს, რასაც საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი უყენებს ადმინისტრაციულ ორგანოებს. შეუწყნარებლად დაბალია სასამართლო პროცესების ჩატარების კულტურა, არასაკმარისია განხორციელებული პროფილაქტიკური და აღმზრდელობითი ზომები, ხშირად სასამართლოების ღონისძიებები ფორმალური ხასიათისაა.

რაიმე განსაკუთრებული პრეტენზიები საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსა და რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს მიმართ არ გვაქვს, რადგან ისინი ყოველთვის საქმიან და კვალიფიციურ დახმარებას გვიწევენ დაშვებული შეცდომების გამოსასწორებლად. აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს მუშაკებიც ენერგიასა და ცოდნას არ იშურებენ, რათა საიმედოდ იდგნენ კანონიერების დაცვის სადარაჯოზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ გ. იოსავამ ილაპარაკა იმ არსებით ნაკლოვანებებზე, რასაც ვხვდებით სამოქალაქო სამართლის საქმეთა განხილვის დროს და მოიყვანა ამის კონკრეტული მაგალითები.

ახლადარჩეული სახალხო მოსამართლეები— თქვა გ. იოსავამ — არ ცდილობენ ცოდნის გაღრმავებას, ცოტას კითხულობენ და ნაკლებად იხედებიან კომენტარებში. ამას კი კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებების მიღება მოსდევს. იყო შემთხვევა, როდესაც ერთ საქმეზე მოსამართლემ სამი სხვადასხვა გადაწყვეტილება გამოიტანა. რატომღაც მოსამართლეთა უმრავლესობა დასახიჩრების საქმეებზე ბრალს არ ამტკიცებს, რაც მრავალ უხერხულობას იწვევს. ბრალის დაუმტკიცებლად თითქმის შეუძლებელია ზარალის ანაზღაურება, რადგან კანონს რომ თავი დავანებოთ, უბრალო ლოგიკითაც, ვინმეს ჯერ ბრალი უნდა წავუყენოთ ზიანის მიყენებაში და შემდეგ კი მისი გადახდა დავაკისროთ. სამოქალაქო სამართლის საქმეთა 80 პროცენტი უმაღლეს სასამართლოში სწორედ ამ მიზეზითაა გაუქმებული.

საჭიროა სახალხო მოსამართლეებმა თამამად ჩაებან წარმოების ხელმძღვანელები მესამე პირებად. ამას მოითხოვს კანონიც და დღევანდელი ვითარებაც. კანონისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება არავის უნდა ვაპატიოთ, ვინც არ უნდა იყოს იგი, გინდ დირექტორი, გინდ მთავარი ინჟინერი, და თუნდაც უფრო მაღალი თანამდებობის პირი. აბა რა მოსამართლეა ის, ვინც სამუშაოდან უკანონოდ განთავისუფლებულ პირს დაუყოვნებლივ არ აღადგენს და იქვე გაბედულად არ ჩააბამს მესამე პირად დამნაშავეს შრომის კანონმდებლობის დარღვევაში.

გალის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარემ რ. სიჯინავამ თათბირის მონაწილეებს გააცნო ის სიძნელეები, რასაც ხვდება თავის მუშაობაში. ეს კი ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ მათ ტერიტორიაზე მოთავსებულია საერთო რეჟიმის შრომა გასწორებითი დაწესებულება, საიდანაც განსახილველად შემოდის საქმეები. მსჯავრდებულთა ვადამდე და პირობით განთავისუფლებაზე. ამ კატეგორიის საქმეთა რაოდენობა თითქმის ყოველწლიურად იზრდება, რაც ბუნებრივია მოსამართლეთა გადატვირთვას იწვევს. სამ მოსამართლეს და ამდენივე აღმასრულებელს კი ემსახურება მხოლოდ ერთი მბეჭდავი-მემანქანე, რომელიც ვერ აუდის საქმეს. ეს წვრილმანი არ არის და ამ მიზეზით ხშირად ხდება მასალების დაგვიანება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამას ემატება გალის სასამართლო შენობის სავალალო მდგომარეობა. იგი ნახევრად დაინგრა და შეკეთება შეუძლებელია. საჭიროა აშენდეს ახალი ტიპიური შენობა, რომლის საჭირო ტექნიკური დოკუმენტაცია მზად არის. საამისოდ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ თავისი ავტორიტეტული სიტყვა უნდა თქვას.

რესპუბლიკის პროკურატურის საგამოძიებო განყოფილების უფროსის მოადგილე ლ. ლეშავა შეეხო სასამართლოებში გაფლანგვა-მტაცებლობის საქმეთა განხილვის მდგომარეობას და აღნიშნა, რომ ამ კატეგორიის საქმეებზე არც თუ იშვიათად ვხვდებით ლმობიერ განაჩენებს, სისხლის სამართლის კოდექსის 45-ე მუხლის უსაფუძვლოდ გამოყენების შემთხვევებს და სხვა. ამის გამოსწორებისათვის რესპუბლიკის პროკურატურამ შეიმუშავა და განახორციელა მთელი რიგი ღონისძიებანი, მაგრამ არსებითი გარდატეხა მაინც არ მომხდარა. დამნაშავე პირებს კვლავ არ ეფარდებათ ქონების კონფისკაცია, ხშირად არ გამოიყენება დამატებითი სასჯელები — გარკვეული თანამდებობის დაკავების უფლების აკრძალვა. ამიტომ იწერება პროტესტები და არც თუ უსაფუძვლოდ და უშედეგოდ.

სამტრედიის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე ო. სტურუა დაეთანხმა მოხსენებაში მათი მისამართით გამოთქმულ შენიშვნებს, რაც განაჩენებისა და გადაწყვეტილებების ხშირ გაუქმებაში გამოიხატება და აღუთქვა თათბირის მონაწილეებს, რომ სამტრედიის სახალხო სასამართლოს მუშაკები ყველაფერს გააკეთებენ ამის გამოსასწორებლად.

საინტერესო იყო მახარაძის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარის რ. გოგბრონიძის გამოსვლა, რომელმაც არასწორად მიიჩნია ყოველი გაუქმებული განაჩენის დროს კერძო განჩინების გამოტანა მოსამართლის მიმართ. ხდება ისიც — თქვა რ. გოგბრონიძემ — რომ განაჩენი უქმდება უმიზეზოდ და უსაფუძვლოდ. ამ დროს მოსამართლის დასჯა არაფრით არ არის გამართლებული. რ. გოგბრონიძემ მოიყვანა მაგალითი იმისა, თუ ზოგჯერ როგორ შეჰყავთ შეცდომაში ზემდგომი ორგანოები გაქნილ და თაღლით ადამიანებს. ასეთ დროს საჭიროა მოსამართლის ავტორიტეტს გავუფრთხილდეთ, დაუმსახურებლად არ მივაყენოთ ზიანი მას და არ ავყვეთ განაწყენებულ ადამიანთა ინტრიგებს.

გურჯაანის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარემ გ. მათიაშვილმა აღნიშნა, რომ რაიონის სახალხო სასამართლომ განვლილ პერიოდში განახორციელა მთელი რიგი ღონისძიებანი სადირექტივო ორგანოების შესაბამისი გადაწყვეტილებების შესასრულებლად. ამის შედეგია, რომ არ ირღვევა საქმეები, განხილვის ვადები, სწორად ხორციელდება დასჯითი პრაქტიკა, მინიმუმამდეა დაყვანილი განაჩენების გაუქმების შემთხვევები. მომავალში ჩვენ კიდევ უფრო გავაუმჯობესებთ მუშაობას, საამისო პირობები გურჯაანის სახალხო სასამართლოს დღეისათვის ნამდვილად აქვს.

ქალაქ ბათუმის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარემ ი. სურმანიძემ ვრცლად გააანალიზა ქალაქის სასამართლოს მონაცემები მიმდინარე წლის ექვსი თვის მანძილზე, რომელიც შედარებით უკეთესია გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მაგრამ მუშაობაში მაინც გვაქვს სერიოზული ნაკლოვანებები. სასამართლოს საქმიანობა ჯერ კიდევ მთლიანად ვერ პასუხობს დღევანდელობას, დაბალია სასამართლო პროცესების ორგანიზაციის დონე და ოპერატიულობა, საქმეები ყოველთვის არ იხილება დანიშნულ დღეს. ხშირია მათი გაუმართლებელი გადადების ფაქტები, ეს კი იწვევს პროცესის მონაწილეთა მოცდენასა და მათ სამართლიან უკმაყოფილებას.

ჯერ კიდევ არ არის დამაკმაყოფილებელი სასამართლოს პროფილაქტიკურ გამაფრთხილებელი მუშაობა, იშვიათად ეწყობა გამსვლელი სესიები და საქმეთა განხილვაში ნაკლებად მონაწილეობენ საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, პროფილაქტიკურ ღონისძიებებს კი აკლია ეფექტურობა. განსაკუთრებით უნდა გაუმჯობესდეს რეაგირება გამოტანილ კერძო განჩინებებზე.

კამათში მონაწილეობა მიიღეს ავრეთვე ახალციხის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარემ ლ. ჯღარკავამ და რესპუბლიკის პროკურორის თანაშემწემ ნ. აბესაძემ.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილემ გ. ტყეშელიაძემ.

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრმა ა. შუშანაშვილმა.

ა. არსენაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხეილ ყარამანის-ძე ლომიძე



საქართველოს საზოგადოებრიობამ მძიმე დანაკლისი განიცადა, — გარდაიცვალა იუსტიციის ღვაწლმოსილი ვეტერანი, საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი 1921 წლიდან მიხეილ ყარამანის ძე ლომიძე.

მ. ლომიძის ცხოვრებისეული გზა ტიპიური პიოგრაფიაა ადამიანისა, რომელიც საბჭოთა წყობილების პირობებში ჩამოყალიბდა და დაწინაურდა. იგი დაიბადა 1899 წელს ხაჩხერის რაიონის სოფელ ლიჩში, ღარიბი გლეხის ოჯახში. სწავლობდა იქვე, დაწყებითი სკოლაში, შემდეგ ჭიათურაში. 1910 წელს დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური კურსები და სახალხო მასწავლებლის წოდება მიიღო. მასწავლებლობდა მშობლიურ სოფელში, მუშაობდა სოფლის დაწყებითი სკოლების გამგედ.

1921 წელს მ. ლომიძე კომუნისტური პარტიის რიგებში შევიდა. 1922 წლიდან იგი სამუშაოდ გაგზავნეს საგანგებო კომისიის ორგანოებში, სადაც შვიდი წელი დაჰყო. 1929 წლიდან მუშაობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისიის პარტგამომძიებლად, მუშურ-გლეხური ინსპექციის ორგანოებში, სამგორის მტს-ის პოლიტგანყოფილების უფროსად, ხოლო 1934-1938 წლებში — პარტიის თბილისის რაიკომის მეორე მდივნად. 1938 წლიდან — იწყება მ. ლომიძის მოღვაწეობა იუსტიციის ორგანოებში. უმაღლესი იურიდიული განათლების მიღების შემდეგ მან სახელოვანი გზა გაიარა საბჭოთა მართლმსაჯულების სამსახურში. წლების განმავლობაში ეჭირა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის, ამიერკავკასიის რკინიგზის სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარის, ამიერკავკასიის რკინიგზის სამხედრო პროკურორის პოსტები. 1949 წლიდან მ. ლომიძე მუშაობდა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის, რესპუბლიკის პროკურორის, იუსტიციის მინისტრის მოადგილის თანამდებობებზე. 1954-1957 წლებში იგი საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრია, ხოლო 1957-1959 წლებში — კვლავ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე. 1959 წლიდან დაწყებული ათი წლის განმავლობაში მ. ლომიძე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიას ხელმძღვანელობდა, 1969 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს აპარატში მუშაობდა უფროსი რეფერენტის თანამდებობაზე.

მ. ლომიძე ღრმად ერუდირებული სპეციალისტი იყო და თავის ცოდნას შესანიშნავად იყენებდა რთული პრაქტიკული საკითხების გადასაჭრელად. იგი აქტიურად მონაწილეობდა უმნიშვნელოვანესი საკანონმდებლო აქტების შემუშავებაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი როლი სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსების მომზადებაში, დიდ მუშაობას ეწეოდა საკოდიფიკაციო საქმიანობაში. აქტიურად მონაწილეობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მუშაობაში. როგორც ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს წევრი,

ლექტორი და სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე.

მ. ლომიძე იყო მთელი რიგი მეცნიერულ-პოპულარული შრომებისა და სტატიების ავტორი, 1957-1962 წლებში შეთავსებით რედაქტორობდა ჟურნალ „საბჭოთა სამართალს". აქტიურად მუშაობდა რესპუბლიკის პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში, რამდენჯერმე იყო არჩეული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატად და სარევიზიო კომისიის წევრად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დიდად დააფასეს მ. ლომიძის ნაყოფიერი მოღვაწეობა იუსტიციის პრაქტიკულ და თეორიულ დარგებში, საზოგადოებრივ ასპარეზზე. მას მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის წოდება. დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორი ორდენით, მედლებით.

დიდია მ. ლომიძის დამსახურება სამშობლოს წინაშე. ყველგან, ყველა უბანზე, სადაც კი მას უმუშავნია, მთელ თავის ღრმა ცოდნასა და დიდ გამოცდილებას ახმარდა პარტიის, ხალხის ინტერესებს, საბჭოთა მართლმსაჯულების განმტკიცების კეთილშობილურ საქმეს.

აღნიშვნის ღირსია მ. ლომიძის შესანიშნავი ადამიანური თვისებები — მისი მაღალი პარტიული ზნეობა, პრინციპულობა, მომთხოვნელობა, იშვიათი თავმდაბლობა, სისადავე. ამ თვისებებმა მას საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა მოუხვეჭა.

მ. ლომიძის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ყველას გულში, ვინც ამ შესანიშნავ ადამიანს იცნობდა, ვისაც მასთან ერთად უმუშავნია.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო; საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო, საქართველოს სსრ პროკურატურა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობა, საქართველოს კომპარტიის ვეტერანთა საბჭო, ჟურნალ „საბჭოთა სამართლის" რედაქცია.

ღვაწლმოსილი

უდიდესი გულისტკივილით გამოეთხოვა რესპუბლიკის საზოგადოებრიობა ღვაწლმოსილ პიროვნებას, ხალხისა და ქვეყნის წინაშე განუზომლად ვალმოხდილ ადამიანს, ღრმად პატივცემულ მიხეილ ყარამანის ძე ლომიძეს.

მ. ყ. ლომიძის მიერ განვლილი საკმაოდ ხანგრძლივი ცხოვრების გზა, სისხლხორცეულად გადაჯაჭვული იყო ჩვენი სამშობლოს განვითარების გზასთან. იგი თვით წარმოადგენდა ჩვენი ქვეყნის ცოცხალ ისტორიას.

ჩვენი დროის ბოლო სინამდვილეში, თუ კი ვინმეს შეეფერებოდა ყველაზე ზეამაღლებული ტიტული — ნათელი, გონიერი, დაუშვრელი და უწმინდესი პიროვნებისა, მათ შორის ერთ-ერთი პირველთაგანი ვფიქრობ ძვირფას მიხეილ. ყარამნის ძეს ეკუთვნოდა.

ბატონი მიხეილის მთელი შეგნებული ცხოვრება შრომითა და ჯაფით იყო განპირობებული. ეს უპირველესი თვისება, კეთილი საწყისი ყველა კარგი თვისებებისა, ყრმობიდანვე თანაუმგზავრა მშობლიური სოფლის — ლიჩის მიწა-წყალთან გლეხკაცურმა ხელშეხებამ. სწორედ ამ ნიშანმა გამოატარა იგი შრომისა და ბრძოლის რთულ, ზოგჯერ აღმართ, ზოგჯერ დაღმართ, ფართოსა და ვიწრო გზაზე, ასე უმწიკვლოდ, ასე ნაყოფმომკილად, ასე აღიარებულად და ამაღლებულად.

ცხოვრებისეული დიდი გამოცდილების, ფართო ერუდიციის, მაღალი პრინციპულობისა და კომუნისტობის გამო, პარტიისა და ხელისუფლების მიერ რამდენიმე ათეული წლის მანძილზე, სხვადასხვა დროს იგი არერთხელ გახლდათ განწესებული მართლმსაჯულების და იუსტიციის ორგანოების სახელმძღვანე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლო საჭეებთან და ამ მოვალეობებს ასრულებდა ენერგიის დაუზოგავად, შეუბღალავად, პარტიული, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის შემართებით, როგორც სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის რულმოუკიდებელი დარაჯი. ყოველივე ეს საფუძველს იძლეოდა, არერთგზის აერჩიათ იგი პარტიისა და ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებში.

ჩვენ კი, ვინც სამსახურებრივ ურთიერთობაში ახლო, მეგობრულ დამოკიდებულებაში ვიყავით განსვენებულ მიხეილთან, გვხიბლავდა და გვიტაცებდა მასში ინტერესების ფართო წრე, ზოგადი თუ სპეციალური — კონკრეტული საკითხების სიღრმისეულის გააზრება, იურიდიული განსჯადობა, ჰუმანიზმი, წიგნიერება, მუდმივი ხალისიანობა, დახვეწილი იუმორი, კოლეგებთან გამოცდილების გაზიარების დაუზარლობა, თანამოღვაწეთა და გარემომცველთა მიმართ ფაქიზი, ყურადღებიანი დამოკიდებულება, ღირსეული მეოჯახეობა, ერთი სიტყვით ყველაფერი, რაც ასე მდიდრულად იყო წარმოდგენილი და შერწყმული მის ფართო და ადამიანურ ნატურაში.

და, როცა შესანიშნავ თვისებათა მთელ ამ კომპლექსს ვიხსენებთ, უნებურად მოგონებათა სამყარო გვიხმობს და მეც ზოგი რამ მინდა აღვიდგინო გონებაში. მე, ბატონი მიხეილი, ისე როგორც სხვა ზოგიერთს, ჩემს მასწავლებლად მყავდა აღიარებული და მაგალითად მიმაჩნდა. და ეს შეგირდ-ოსტატობა თითქმის 25 წლის წინ დაიწყო, როცა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთი დავალების გამო, მე მას პროკურატურაში ვეახელი, სადაც იგი რესპუბლიკის პროკურორის პოსტზე მოღვაწეობდა. მე მაშინ გამაოცა ამ ტანმორჩილმა კაცმა თავისი გლობალურობით, შეურყევლობით, ოლიმპიური სიმშვიდით, ტაქტით და მომტევებლობით. მიუხედავად ზოგიერთი გათვითცნობიერებულობისა, მაშინ გამოვარკვიე რომ, და ესეც როგორც იტყვიან კვლავ ბატონი მიხეილის წყალობით, საპროკურორო საქმიანობიდან ბევრი რამ მანამდე თურმე ჩემთვის უცნობი ყოფილა.

შემდეგ, ჩვენ კარგა ხანს ვიმუშავეთ ერთად მართლმსაჯულების უმაღლეს ორგანოში. იგი ხელმძღვანელი ბრძანდებოდა, ჩვენ კი უფლებამოსილი ხელქვეითნი გახლდით.

თუ პროფესიათა და მოვალეობათა რაიმე ურთულესი უბანი არსებობს, მათ შორის მართლმსაჯულების აღმსრულებლობაცაა. და ჩვენ, პატივცემული მიხეილი თავს გვადგა, როგორც მრჩეველი, პირუთვნელი აზრის მომწოდებელი, ცხარე მოკამათე, კანონით დაწესებული ზედამხედველი. მისი თაოსნობით ჩატარებული სასამართლო კოლეგიათა და პრეზიდიუმის სხდომები მართლმსაჯულების განხორციელების უბადლო სკოლას წარმოადგენდა მათთვის, ვინც ამ საქმისადმი სინდისით და მოწოდებით იყო ნაზიარები. თუ შედარება მოსატანია, იგი სნეულების უტყუარად გამომცნობ უბადლო ექიმს ჰგავდა და ამიტომ, მისი დიაგნოზიც უმეტესზე უმეტესად ზუსტი იყო. იმ ხანად, მიხეილ ყარამანის ძეს საზოგადოებრივი დავალებით დაეკისრა ახლად დაარსებული ჟურნალის — „საბჭოთა სამართლის" რედაქტორობა და იგი მისთვის ჩვეული ენერგიით და პასუხისმგებლობით მოეკიდა ამ ვალდებულების შესრულებას, რაც საკმაო სირთულეებთან იყო დაკავშირებული. მე მახსენდება, როგორ შემოგვიკრიბა მან თავის გარშემო რამდენიმე ენთუზიასტი და როგორ დაგვაავადა ჟურნალის დროულად და მაღალპროფესიულ დონეზე გამოცემის განუზომელი სურვილით. მაშინ, ჩვენ ყველამ ერთად შევიცანით ბატონ მიხეილში არა მარტო იურიდიულ პრობლემებში განსწავლული პიროვნება, არამედ, როგორც შესანიშნავი მოქართულე, სტილისტი, კალმოსანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა მიხეილ ყარამანის ძე იურიდიულ კომისიას ჩაუდგა სათავეში, მაშინ ჩვენ ქვეყანაში ინტენსიურად, ფართოდ გაიშალა საკანონმდებლო მოღვაწეობა და შემოქმედების ამ უბანზე კვლავ მთელი სისრულით გამოჩნდა მისი უნარი. ამ ოცი წლის მანძილზე თითქმის არ ყოფილა მიღებული არცერთი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტი, რომლის შემუშავებაში მას უშუალოდ არ მიეღოს აქტიური მონაწილეობა. ამიტომაც იყო, რომ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 1960 წლის გამოცემას ხატოვნად უწოდებენ ლომიძისეულ გამოცემას.

განსვენებულ მიხეილ ყარამანის ძეს გულწრფელად მიულოცეს დაბადების 70 წლისთვის შესრულება. რესპუბლიკის იურიდიული საზოგადოებისათვის თითქმის ზეიმად გადაიქცა ეს თარიღი. მას შემდეგ იგი ნაყოფიერად მუშაობდა საქართველოს მთავრობაში რეფერენტის თანამდებობაზე და შესანიშნავად უთავსებდა ამ საქმიანობას იურიდიულ დარგში მოღვაწეობას, როგორც ავტორი რიგი შრომებისა, თავმჯდომარე სახელმწიფო საგამოცდო კომისიისა, წევრი ჟურნალის რედკოლეგიისა, მონაწილე სხვადასხვა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციებისა, სამართლის პროპაგანდისტი.

მას გულმართლად ახარებდა ის პოზიტიური ძვრები და გარდაქმნები, რაც აგრერიგად დამკვიდრდა ჩვენი რესპუბლიკის ბოლო წლების ცხოვრებაში და პირველ რიგში ის, რომ ჩვენთან, სამართალს, სამართლებრივ წარმოდგენებს დაუბრუნდა თავისი სოციალური ღირებულება და ამას იგი საჯაროდ ღადადებდა.

ხალისიანი იყოო ვახსენეთ და აკი ამ სიხალისეში დასრულდა კიდეც მისი ცხოვრების გზა. ბატონი მიხეილი, როგორც გამართულად მავალი კაცი, უხდებოდა ამ ქვეყანას, ამშვენებდა ჩვენს თანამედროვეობას და ამიტომაც ასე სანაცვლო მადლიერებით დამშვენდა მისი უკანასკნელი გზაც.

მშვიდობით ძვირფასო მიხეილ ყარამანის ძევ, მსუბუქად გადაგეფაროთ თქვენი სანუკვარი სამშობლოს მიწა.

ზურაბ რატიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ მკითხველთა დაუსწრებელი კონფერენცია

ძვირფასო მეგობარო!

ჟურნალ „საბჭოთა სამართალს“ არა აქვს შესაძლებლობა შეხვდეს თავის ყველა მკითხველს, მოისმინოს მათი აზრი ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიების, რეცენზიებისა თუ სხვა მასალის შესახებ, გაეცნოს და გაითვალისწინოს ყველა შენიშვნა და წინადადება. ეს კი აუცილებელია ჟურნალის იდეურ-პროფესიული დონის ამაღლების, მისი შინაარსის გამდიდრებისა და გამრავალფეროვნებისათვის. რედაქციას სურს იცოდეს მკითხველთა მოსაზრებები, განსაკუთრებით კი ის, თუ რა მოსწონს და რა არ მოსწონს მკითხველს, მომავლისათვის რის გათვალისწინება მიაჩნია მას საჭიროდ.

გთხოვთ ყველას, უპირველესად კი ჩვენს მუდმივ მკითხველებს, გამოგვეხმაუროთ, მოგვწეროთ თქვენი აზრი ამის შესახებ. თქვენს წინადადებებსა და შენიშვნებს გამოვაქვეყნებთ ჟურნალის ახალ რუბრიკაში — „მკითხველის შენიშვნა, რჩევა, წინადადება“ და გავითვალისწინებთ რედაქციის 1978 წლის სამუშაო გეგმის შემუშავებისას.

ჩვენი მისამართია: თბილისი, პლეხანოვის პროსპექტი № 103, ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ რედაქცია.

ველით თქვენს წერილებს

მიიღება ხელმოწერა საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებულზე 1978 წლისათვის

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებულს გამოსცემს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო. მასში ქვეყნდება ზოგადი მნიშვნელობის მქონე ან ნორმატიული დადგენილებები. კრებული ორ თვეში ერთხელ გამოდის. ხელმოწერის ფასი წელიწადში 3 მანეთია. ქართული გამოცემის ინდექსია 76187, რუსულისა — 76188.

ხელმოწერა 1978 წლისათვის მიიღება „სოიუზპეჩატის“ საქალაქო და რაიონულ სააგენტოებში, კავშირგაბმულობის განყოფილებებში, აგრეთვე საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში ხელმოწერის მიმღებ რწმუნებულებთან.

8-0/6

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 50 კაპ. ИНДЕКС 70185

САБЧОТА САМАРТАЛИ № 5

(на грузинском языке)

Орган Верховного Суда ГССР, Прокуратуры ГССР
и Министерства Юстиции Грузинской ССР